საქართველოს პარლამენტის ბიბლიოთეკა

GIOC
საქართველოს ნავთობის საერთაშორისო კორპორაცია
Georgian International Oil Corportion

საქართველოს რესპუბლიკა

Rustavcement
შეიძინეთ მხოლოდ ამ ნიშნით!

გამოდის 1990 წლის დეკემბრიდან. №83 (3124) სამშაბათი, 30 მარტი, 1999 წელი. ფასი შეთანხმებით.

„ქართველი საზოგადოების ნებისმიერ წევრს, პრეზიდენტით დაწყებული, არ გააჩნია იმაზე დიდი ფუნქცია და მოვალეობა, ვიდრე საქართველოში ეროვნული თანხმობის აღდგენა და სამოქალაქო მშვიდობაა"

საქართველოს პრეზიდენტის ედუარდ შევარდნაძის 29 მარტის რადიოინტერვიუ

— განვლილ კვირაში თბილისს გადადებული ვიზიტის შემდეგ ისრაელის პრემიერ-მინისტრი ბენიამინ ნეთანიაჰუ ეწვია. ვიზიტი საკმაოდ ხანმოკლე იყო და, ვფიქრობთ, არა მხოლოდ სიმბოლური... ამას ერთობლივი კომუნიკეც ადასტურებს და, ალბათ, თქვენი პირისპირ საუბრები და შეხვედრები თუ დელეგაციათა შეხვედრები. საუბარი ეხებოდა ორი ქვეყნის ეკონომიკურ კავშირურთიერთობას და გამოიკვეთა რამდენიმე საინტერესო სფერო, თუმცა საერთოდ ეკონომიკური ვითარება კვლავ დაძაბულია. ისევ და ისევ იგულისხმება საგადასახადო და საბაჟო სამსახურების მუშაობა... — ჟურნალისტის **ნატო ონიანის** თხოვნით, ამ თემაზე საუბრით დაიწყო თავისი ტრადიციული ორშაბათის რადიოინტერვიუ საქართველოს პრეზიდენტმა **ედუარდ შევარდნაძემ**:

— როგორც მოგეხსენებათ, არაერთგზის მითქვამს: რაოდენ გულწრფელიც უნდა იყოს (არის კიდეც), ქართველთა და ებრაელთა მეგობრობა, სახელმწიფოთაშორისი ურთიერთობა მხოლოდ და მხოლოდ უაღრესად რაციონალურ, პრაგმატულ საფუძველზე ანუ თანხვედრილ ინტერესებზე შეიძლება აიგოს.

იხ. მე-2 გვ.

კანონმდებლები

დღის წესრიგშია სამეწარმეო საქმიანობის ლიცენზირების და ნავთობისა და გაზის შესახებ უმნიშვნელოვანესი კანონპროექტები

გაიმართა საქართველოს პარლამენტის ბიუროს სხდომა, რომელსაც პარლამენტის თავმჯდომარე ზურაბ ჟვანია უძღვებოდა. განიხილეს 30 მარტი – 2 აპრილის პლენარული სხდომების დღის წესრიგი. მათ შორის, კანონპროექტი „სამეწარმეო საქმიანობის ლიცენზირების შესახებ". საკონსტიტუციო, იურიდიულ საკითხთა და კანონიერების, ეკონომიკური პოლიტიკისა და რეფორმების საპარლამენტო კომიტეტების თავმჯდომარეებმა აღნიშნეს, რომ პროექტის ირგვლივ შენიშვნების პაკეტი არსებობს, საკუთარი შენიშვნები იუსტიციის სამინისტროსაც გააჩნია. ბიუროს წევრთა საერთო აზრით, სამეწარმეო საქმიანობის ლიცენზირებას არ შეიძლება ახდენდეს ის უწყება, რომელიც იმავე სექტორში ერთ-ერთ თანამფლობელ ფირმას წარმოადგენს. ზურაბ ჟვანიას წინადადებით, დღევანდელი სესია ამ საკითხზე დებატებით გაიხსნება, რაც მის პოლიტიკურ არსს გამოკვეთს, – აუცილებელია, ლიცენზირების პროცესი მაქსიმალურად გამჭვირვალე გახდეს, რაც მასში სხვადასხვა უწყების

იხ. მე-3 გვ.

ახალგაზრდობა

მამების მცდარ პოლიტიკას შვილები არ უნდა შეეწირონ

კონფერენცია: „ეთნოკონფლიქტები კავკასიაში და ახალგაზრდობის როლი მათ მოგვარებაში". გადამწყვეტი სიტყვა მშვიდობამ უნდა თქვას.

ახალგაზრდები უპირველეს ყოვლისა სრულად აღიქვამენ მათი ასაკის ბედნიერებას; იმავდროულად კარგიცაა, როცა ისინი ქვეყნის მომავლისათვის თავიანთ პასუხისმგებლობას გააცნობიერებენ. თავისუფალი არჩევანის საკითხი, რა თქმა უნდა, მათი ნებაა, ხელისუფლება კი ხელისშემწყობია ამ რთული არჩევანის განსაზღვრისას; სწორედ საქართველოს, აზერბაიჯანისა და სომხეთის სახელმწიფოთა ხელისუფლების თანხმობით მიმდინარეობდა 3 დღე თბილისში, კრწანისის სამთავრობო რეზიდენციაში კონფერენცია: – „ეთნოკონფლიქტები კავკასიაში და ახალგაზრდობის როლი მათ მოგვარებაში".

იხ. მე-10 გვ.

პარლამენტის თავმჯდომარე

ხუთმიმართულებიანი პროგრამა განხორციელდება

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარემ ზურაბ ჟვანიამ ამერიკის შეერთებული შტატების ელჩს საქართველოში კენეთ სპენსერ იალოვიცს მიიღო. შეხვედრაზე ისაუბრეს საქართველოსა და ამერიკის შეერთებული შტატების მრავალმხრივი ერთობლივი პროგრამების შესახებ.

USAID-ის მიერ წარმოდგენილი თანამშრომლობის ხუთმიმართულებიანი პროგრამა შეიცავს ფინანსური მდგომარეობის გაუმჯობესების, მცირე და საშუალო საწარმოების ხელშეწყობის, მიწის პასპორტიზაციის, პრივატიზაციის, კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის პროექტებს. კენეთ სპენსერ იალოვიცის თქმით, ერთობლივი სამუშაო ჯგუფები ქართველი და ამერიკელი სპეციალისტებით დაკომპლექტდება. საქართველოს მხრიდან, მათში შესაბამისი სამინისტროების პირველი პირები გაერთიანდებიან. ელჩის აზრით, ძირითადი მონაწილეების შეხვედრა რეფორმის მიზნების განსაზღვრისათვის, შეძლებისდაგვარად, მოკლე ვადებში მოხდება და სავარაუდოდ, მათ საქართველოს პრეზიდენტი უხელმძღვანელებს. „მჯერა, რომ ამერიკის შეერთებული შტატების მონაწილეობა გაგებული იქნება როგორც მხარდაჭერა საქართველოს ხელმძღვანელობისადმი რეფორმებისათვის ახალი სიცოცხლის მინიჭებაში" – აღნიშნა სტუმარმა.

ზურაბ ჟვანიამ, საქართველოს პარლამენტის სახელით, ელჩს თანადგომა აღუთქვა **USAID**-ის განვითარების ახალი პროგრამის განხორციელებაში, რომელიც პირველ რიგში, საქართველოს მთავრობის ინიციატივად აღიქმება. მანვე აღნიშნა, რომ პროგრამა, ქვეყნის ხელისუფლებას კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლაში, უდაოდ ხელს შეუწყობს.

შეხვედრაზე, პარლამენტის თავმჯდომარის ინიციატივით, გადაწყდა პროგრამაში არასამთავრობო ორგანიზაციების ჩართვა, რაც ამ პროცესს მოსახლეობისათვის ადვილად გასაგებსა და უფრო მისაწვდომს გახდის.

პარლამენტის პრესსამსახური.

მიმართვა

ეროვნული თანხმობის გარეშე ქვეყანას მომავალი არ გააჩნია

მასმედიის, ტელერადიოკომპანიების, სააგენტოების ხელმძღვანელებს, დამოუკიდებელ ჟურნალისტებს

ეროვნული თანხმობის დარბაზმა მუშაობა განაახლა. საზოგადოების, პოლიტიკური ძალების, მასმედიის დამოკიდებულება დარბაზისადმი არაერთგვაროვანია. ასევე არაერთგვაროვანია დარბაზის მონაწილეთა როგორც შეხედულებანი, ისე პოზიციები. აღსანიშნავია ერთი რამ – ურთიერთსაწინააღმდეგო აზრთა ცივილური ფორმით გაზიარება ამ დარბაზში საუკეთესო არეალს ქმნის ახალი ცნობიერების დასამკვიდრებლად. ამ ცნობიერებისა, რომელიც სცილდება პიროვნულ „მე-ს" ჩარჩოებს და იძლევა რეალური ურთიერთობის საშუალებას.

დღეს ყველა ძალა ერთხმად აღიარებს: **ეროვნული თანხმობის გარეშე ქვეყანას მომავალი არ გააჩნია**. მართალია, მძიმედ, ზიგზაგებით, მაგრამ ქვეყანაში ეროვნული თანხმობის პროცესი დაიწყო.

ახლა მთავარია, საზოგადოების ფართო ფენებისათვის ამ იდეის, ცნობიერების, განწყობის ისეთი ფორმით მიწოდება, რომ ის თითოეულმა მოქალაქემ გაითავისოს. ეს კი თქვენი, მეოთხე ხელისუფლების წარმომადგენლების ხელდასმითაა შესაძლებელი და პირდაპირ კავშირშია იმასთან, თითოეულ თქვენგანს პიროვნულად რა დამოკიდებულება აქვს (ექნება) ეროვნული თანხმობის იდეისადმი და როგორ, რა ფორმით გამოხატავთ თქვენს მხარდაჭერას.

იხ. მე-3 გვ.

ინფორმაცია

მესამე სხდომა – ერევანში

26-28 მარტს ერევანში გაიმართა საქართველოს პარლამენტისა და სომხეთის რესპუბლიკის ეროვნული კრების ორმხრივი თანამშრომლობის საპარლამენტთაშორისო კომისიის მესამე სხდომა. კომისიის თანათავმჯდომარეები არიან საქართველოს პარლამენტის ვიცე-სპიკერი ვახტანგ ყოლბაია და მისი სომეხი კოლეგა იური ბახშიანი.

კომისიის სხდომაზე განიხილეს ეკოლოგიის, ენერგეტიკის, ტრანსპორტის, კულტურის, სპორტის, ტურიზმის სფეროებში, ახალგაზრდულ ორგანიზაციებს შორის თანამშრომლობის საკითხები, გაცვალეს ინფორმაცია საგადასახადო და საბაჟო კანონმდებლობასთან დაკავშირებით; ხაზი გაესვა აღმასრულებელი ხელისუფლების ორგანოების თანამშრომლობის დიდ მნიშვნელობას, პარლამენტების მაკონტროლებელი ფუნქციისა და როლის ამაღლებას. კომისიის მეოთხე სხდომაში, რომელიც თბილისში სექტემბერში გაიმართება, მონაწილეობას მიიღებენ აღმასრულებელი ხელისუფლების პირველი პირებიც.

სურვილიც აქვთ და გამოცდილებაც

სამხედრო სფეროში ორ ქვეყანას შორის თანამშრომლობის განვითარების და გაღრმავების მზადყოფნა გამოხატეს საქართველოსა და უზბეკეთის თავდაცვის მინისტრებმა, ხიკმატულა ტურსუნოვმა და დავით თევზაძემ გუშინ პირისპირ გამართულ შეხვედრაზე.

როგორც პრაიმ-ნიუსს სამინისტროში უთხრეს, საქართველოს და უზბეკეთს ნატოს „პარტნიორობა მშვიდობისათვის" პროგრამის ფარგლებში მოწყობილ სამშვიდობო სწავლებებში ერთობლივი მონაწილეობის კარგი გამოცდილება აქვთ.

საზღვარი – პრიორიტეტი

აშშ მთავრობას საქართველოში სასაზღვრო პოლიტიკის განვითარება პრიორიტეტად მიაჩნია და ამ მიზნით, მიმდინარე წელს დახმარების სახით 12 მლნ აშშ დოლარზე მეტია გამოყოფილი, – თქვა საქართველოს საზღვრის დაცვის სახელმწიფო დეპარტამენტის თავმჯდომარემ ვალერი ჩხეიძემ გუშინ გამართულ პრესკონფერენციაზე.

დახმარების პროექტის რეალიზაცია უკვე დაწყებულია, „მიმდინარეობს ფოთის დივიზიონისთვის ყაზარმების მშენებლობა, შეძენილია რამდენიმე მცურავი საშუალება და საწვავ-საპოხი მასალები, უკრაინისაგან შეძენილია ერთი ვერტმფრენი, რაც ერთ მილიონ აშშ დოლარზე მეტი დაჯდა, ქუთაისის ავიაქარხანაში მიმდინარეობს სამუშაოები მეხუთე თაობის თვითმფრინავის „მერკურის" აწყობაზე, რომლის ღირებულებაც 400.000 დოლარია.

როკის გვირაბსა და ზემო ლარსის საგუშაგოზე წესრიგის დასამყარებლად

საქართველოს საბაჟო სახელმწიფო დეპარტამენტის თავმჯდომარემ თამაზ მაღლაკელიძემ ვლადიკავკაზში საქართველოს მთავრობის სახელით გვირგვინით შეამკო ქალაქის ცენტრალურ ბაზარში მომხდარი აფეთქების ადგილი.

რუსეთის საბაჟო კომიტეტის ჩრდილოეთ ოსეთის საბაჟო სამმართველოს უფროსთან ბუდზი ბასიევთან და ჩრდილოეთ ოსეთის პრემიერ-მინისტრთან შეხვედრებისას საუბარი ძირითადად როკის გზით საქართველოში შემომავალი კონტრაბანდული ტვირთების და ზემო ლარსის საგუშაგოზე აქციზური ხაზის აღდგენის საკითხებს შეეხო. გადაწყდა შეიქმნას ერთობლივი კომისია, რომელიც საკითხის მოსაგვარებლად უმოკლეს ვადაში შექმნის სპეციალურ დოკუმენტს.

„ამალთეა" – ჩვილებისათვის

საქართველოში რძის უმსხვილესმა მწარმოებელმა სააქციო საზოგადოება „ამალთეა – დიდების რძემ", გუშინ თავისი ახალი პროდუქტის – ნატურალური რძიდან დამზადებული ფერმენტიზირებული მაწონის პრეზენტაცია მოაწყო.

ფერმენტიზირებული მაწონის გამოშვება განსაკუთრებული ტექნოლოგიით წარმოებს, რომელიც საქართველოს ჯანდაცვის სამინისტროს თბილისის პედიატრიის ინსტიტუტთან ერთობლივად შემუშავდა და ჩვილი ბავშვებისთვისაც არის რეკომენდირებული.

მაწონის წარმოება ამჟამად დღეში 2 ტონას შეადგენს, რომელიც მიმდინარე წელს საგრძნობლად გაიზრდება – თქვა მან.

ლარის კურსი არ შეცვლილა

თბილისის ბანკთაშორისი სავალუტო ბირჟის გუშინდელ ვაჭრობაში 13 კომერციული ბანკი და ქუთაისის ბანკთაშორისი სავალუტო ბირჟა მონაწილეობდა, – აცნობებს პრაიმ-ნიუსს საქართველოს ეროვნული ბანკის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამმართველოში.

საბირჟო სესიაზე 12 გარიგება დაიდო, რის შემდეგაც ბრუნვის საერთო მოცულობამ 185.000 აშშ დოლარს მიაღწია. თავდაპირველი მოთხოვნა 465.000 აშშ დოლარით განისაზღვრა.

ლარის კურსი წინა საბირჟო სესიაზე (26 მარტი) დაფიქსირებულ კურსთან შედარებით არ შეცვლილა.

ვახტანგ გოგუაძის ლოგიკით!

31 მარტს სახალხო პატრიოტული კავშირი საპროტესტო აქციას გამართავს საქართველოში აშშ საელჩოს წინ ნატოს მიერ იუგოსლავიის სამხედრო ობიექტების დაბომბვასთან დაკავშირებით. სახალხო-პატრიოტული კავშირის ერთ-ერთმა ლიდერმა ვახტანგ გოგუაძემ, პრაიმ-ნიუსს განუცხადა, რომ სახალხო-პატრიოტული კავშირი სერბი ხალხის მხარდამჭერ რეზოლუციებს ამზადებს, რომლებსაც სერბიის პატრიარქთან, აგრეთვე, მსოფლიოს სხვადასხვა ორგანიზაციებში გააგზავნიან. გოგუაძის აზრით, კეთილშობილურია იმ ქართველთა სურვილი, რომლებიც მზად არიან მოხალისედ წავიდნენ იუგოსლავიაში. „თუმცა, სერბიაში ჯარისკაცების პრობლემა ამჟამად არ დგას, იქ მოთხოვნილება უფრო სამხედრო ტექნიკაზე არსებობს". ლოგიკურად: როცა გაჩნდება მოთხოვნა ჯარისკაცებზე, ვახტანგ გოგუაძე პირად მაგალითს მისცემს მოხალისეებს.

სახალხო დამცველს უსმენენ

საქართველოს სახალხო დამცველი დავით სალარიძე ამ დღეებში ზუგდიდის მოსახლეობას შეხვდა. ომბუდსმენის ანგარიში პარლამენტში დაგეგმილია 1 აპრილს, ამდენად სახალხო დამცველმა გადაწყვიტა საჯაროდ მის წაკითხვამდე, ხლებოდა იმ რეგიონსაც, რომელიც ადამიანთა უფლებების დარღვევის მხრივ, სამწუხაროდ, გამორჩეულია – აფხაზეთიდან დევნილი მოსახლეობა აქ ხომ კომპაქტურად არის ჩასახლებული.

ომბუდსმენმა ზუგდიდელებს უთხრა, თუ რისი გაკეთება შეძლო სახალხო დამცველის აპარატმა არსებობის მოკლე დროის მანძილზე. დავით სალარიძემ დახმარება აღუთქვა გოჩა ჯიქიას ჭირისუფლებს მკვლელების კანონიერად დასჯის საქმეში. როგორც ცნობილია, გოჩა ჯიქიას მკვლელები თავს არიდებენ პასუხისმგებლობას. ზუგდიდის მოსახლეობამ და განსაკუთრებით დევნილებმა, მოითხოვეს რომ მსგავსი შეხვედრები ხშირად გაიმართოს.

ინფორმაციები მოგვაწოდეს: პრაიმ-ნიუსმა, ჩვენმა კორესპონდენტებმა.

უკანასკნელ საათს

დღეს მოსკოვის დროით 10 საათზე, რუსეთის პრეზიდენტ ელცინის დავალებით ბელგრადში სლობოდან მილოშევიჩთან მოსახვედრად გაემგზავრებიან პრემიერი ევგენი პრიმაკოვი, საგარეო საქმეთა და თავდაცვის მინისტრები ივანოვი და სერგეევი, დაზვერვის სამსახურების ხელმძღვანელები. იმედოვნებენ, რომ მათი ვიზიტის დროს ნატო თავს შეიკავებს იუგოსლავიის დაბომბვისგან.

რუსეთის პრეზიდენტი ბორის ელცინი გუშინ ტელეფონით ესაუბრა საერთაშორისო სავალუტო ფონდის დირექტორ-განმკარგულებელს მიშელ კამდესიუს. რუსეთმა ამ ფონდისგან 4,8 მილიარდი დოლარი მიიღო.

გუშინ მკვეთრად გამწვავდა სიტუაცია ჩეჩნეთ-დაღესტნის საზღვარზე. სასაზღვრო ზონაში შეჩერებულია ჩეჩნეთის რესპუბლიკის 500-ზე მეტი მოქალაქე და 200-მდე ავტომობილი.

თურქეთის პრემიერ-მინისტრმა ბულენთ ეჯევითმა გუშინ განაცხადა, რომ უცხოელი მოქალაქენი არ დაიშვებიან მეთვალყურეებად ქურთ მუშათა პარტიის ლიდერის აბდულა ოჯალანის სასამართლოზე.

პრეზიდენტის ფოსტიდან

საქართველოს პრეზიდენტს ბატონ ედუარდ შევარდნაძეს

თქვენო აღმატებულებავ ბატონო პრეზიდენტო,

მთავრობის და ჩემი სახელით მინდა მადლობა გადავუხადო თქვენს აღმატებულებას სამძიმრის წერილისათვის, რომელიც გამოგვიგზავნეთ იმ ეროვნულ ტრაგედიასთან დაკავშირებით ქარიშხალმა „მიჩმა" რომ დაგვატეხა თავს.

საერთაშორისო თანამშრომლობის და სოლიდარობის წყალობით დიდად გაადვილდა აღმშენებლობის პროცესი, რომელიც ახლა მიმდინარეობს და რომელშიც საკმაო წარმატებებს ვაღწევთ.

ბატონო პრეზიდენტო, კიდევ ერთხელ გიხდით მადლობას და გიგზავნით გვატემალის ხალხის და მთავრობის მხურვალე სალამს

განსაკუთრებული პატივისცემით,

ალვარო არსუ,
გვატემალის პრეზიდენტი
1999 წლის 19 თებერვალი.

დოკუმენტი

საქართველოს კანონი

საქართველოს სამოქალაქო კოდექსში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს პარლამენტი ადგენს:

I. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის (პარლამენტის უწყებანი, № 31, 24 ივლისი, 1997) 1511-ე მუხლის პირველ პუნქტში სიტყვები „1 იანვრამდე" შეიცვალოს სიტყვებით „1 სექტემბრამდე".

II. ეს კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს პრეზიდენტი
ედუარდ შევარდნაძე.
თბილისი, 1999 წლის 19 მარტი.

განცხადება

პოლიტიკური სპეკულაცია არანაირად არ წაადგება საერთო საქვეყნო საქმეს

ქვეყნის მასობრივი ინფორმაციის საშუალებებით გამოქვეყნდა მასალები, რომლებიც დაკავშირებულია ქვეყნის ფარგლებს გარეთ ავიაბომბების გატანასთან.

აღნიშნულთან დაკავშირებით საქართველოს თავდაცვის და იუსტიციის სამინისტროები უფლებამოსილი არიან განაცხადონ შემდეგი: ქვეყნის ძალოვანი სტრუქტურების ბაზებში და საწყობებში დაგროვილია უამრავი

იხ. მე-3 გვ.

კონფლიქტი

რა სტკივა რუსეთს იუგოსლავიაში?

იუგოსლავიის დაბომბვა ერთი შეხედვით არაფრით განსხვავდება ანალოგიური მოქმედებისაგან ერაყის მიმართ. ორივე შემთხვევაში ამერიკის შეერთებული შტატები და მათი ნატოელი მოკავშირეები ცდილობენ უარესი შედეგების თავიდან აცილების მიზნით, სამხედრო პოტენციალის განადგურების გზით შეაჩერონ აგრესორი ქვეყნის ხელმძღვანელობის დანაშაულებრივი მოქმედება.

ორივე შემთხვევაში რუსეთის პრეზიდენტმა და მთავრობამ სცნეს ამ სახელმწიფოების მიერ დანაშაულებრივი პოლიტიკის განხორციელების ფაქტი, მაგრამ, თუ ერაყის მიმართ საბრძოლო ოპერაციები ხაზგასმით

იხ. მე-3 გვ.

საეკლესიო კალენდარი

წმინდა ამბროსი აღმსარებელი

29 მარტს აღინიშნა სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ამბროსი აღმსარებლის (1927) ხსენების დღე

წმინდა ამბროსი აღმსარებელი – სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი (1927). ერისკაცობაში ბესარიონ ხელაია, დაიბადა 1861 წელს. პირველდაწყებითი განათლება სამეგრელოს სასულიერო სასწავლებელში მიიღო, შემდეგ კი სწავლობდა თბილისის სასულიერო სემინარიაში. იგი იყო უაღრესად მოყვარე თავისი სამშობლო ქვეყნის, თავისი ერის, ქართული მწერლობისა და საქართველოს ისტორიისა. წმინდა ამბროსი დიაკვნად აკურთხა სოხუმის ეპისკოპოსმა.

1897 წელს წმინდა ამბროსი შევიდა ყაზანის სასულიერო-აკადემიაში. მისი ნაცნობები იგონებდნენ, რომ ის იყო ნიჭიერი, უაღრესად პატიოსანი, კეთილი, სათნო და ერთგული ადამიანი. მომზადებული ჰქონდა რამდენიმე ისტორიული თუ სხვა ხასიათის ნარკვევები. მისმა საკანდიდატო დისერტაციამ – „ქრისტიანობის ბრძოლა ისლამთან საქართველოში" ისეთი ყურადღება დაიმსახურა, რომ პროფესორს უთხოვია, შეევსო ზოგიერთი თავი და წარედგინა მაგისტრის ხარისხის მოსაპოვებლად.

იხ. მე-10 გვ.

ყურადღება, აქციზური მარკები!

მიმდინარე წლის 20 მარტიდან აკრძალულია არამარკირებული ალკოჰოლიანი სასმელების გაყიდვა, 30 მარტიდან — თამბაქოს ნაწარმის!

აქციზური მარკები უზრუნველყოფს ბიუჯეტის შევსებას, ჯანსაღი კონკურენციის პირობების ჩამოყალიბებას, ხელს უშლის კონტრაბანდული და ფალსიფიცირებული პროდუქციის გამოჩენას ბაზარზე.

აქციზური მარკის სავალდებულო დართვას დაქვემდებარებული საქონლის აქციზური მარკის გარეშე გამოშვება, რეალიზაცია ან შენახვა ისჯება სისხლის სამართლის პასუხისმგებლობით ვადით 1-დან 10 წლამდე.

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს აქციზური მარკების სამსახური აგრძელებს დადგენილი წესით აქციზური მარკების რეალიზაციას შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, თამარ მეფის გამზირი № 14.

საქართველოს ფინანსთა სამინისტრო;
საქართველოს სახელმწიფო საგადასახადო დეპარტამენტი.

ფინანსები

ლარის კურსი

საქართველოს ეროვნულმა ბანკმა 1999 წლის 30 მარტიდან დაადგინა ლარის მიმართ უცხოური ვალუტის შემდეგი კურსები:

ინგლისური სტერლინგი	1	3.5347 ლარი
გერმანული მარკა	1	1.1980 ლარი
აშშ დოლარი	1	2.1800 ლარი
ფრანგული ფრანკი	1	0.3572 ლარი
თურქული ლირა	10,000	0.0585 ლარი
რუსული რუბლი	1	0.0826 ლარი

საბაჟო

ბიუჯეტში შეიტანეს

გუშინდელი ოპერატიული ინფორმაციით, ადგილობრივი საბაჟო ორგანოებიდან ბიუჯეტში შეტანილია 12 665,2 ათასი ლარი. დღის საბიუჯეტო შემოსავლებმა შეადგინა 1 158,9 ათასი ლარი.

საბაჟო დეპარტამენტის ოპერატიულმა სამსახურმა გამოავლინა საბაჟო წესების დარღვევის 1 ფაქტი. მოკვლევის პროცესში ბიუჯეტის სასარგებლოდ დამატებით მოქცეულია 28 400 ლარი.

დღეს

დასავლეთ საქართველოში

ცვალებადი მოღრუბლულობა, ზოგან წვიმა, მაღალ მთაში თოვლი. აღმოსავლეთის ქარი 10-15 მეტრი წამში.
ბარში: ღამით +8+13;
დღისით +13+18.
მთაში: ღამით +2+7; დღისით +8+13.
მაღალ მთაში: ღამით -3+2;
დღისით +1+6.

აღმოსავლეთ საქართველოში

ცვალებადი მოღრუბლულობა, ზოგან წვიმა და ნისლი.
ბარში: ღამით +1+6;
დღისით +8+13.
მთაში: ღამით: 0+5;
დღისით +4+9.
მაღალ მთაში: ღამით -2-7;
დღისით 0+5.

თბილისში

ცვალებადი მოღრუბლულობა.
ღამით +2+4; დღისით +11+13.

საქართველოს ჰიდრომეტცენტრი.

„ქართველი საზოგადოების ნებისმიერ წევრს, პრეზიდენტით დაწყებული, არ გააჩნია იმაზე დიდი ფუნქცია და მოვალეობა, ვიდრე საქართველოში ეროვნული თანხმობის აღდგენა და სამოქალაქო მშვიდობაა“

(პირველი გვერდიდან)

ისრაელის პრემიერ-მინისტრის ბატონ ბენიამინ ნეთანიაჰუს ვიზიტი ჩვენს ქვეყანაში უდავოდ წარმატებული იყო და ჩვენთვის სასიხარულოა არა მარტო სიმბოლურობის, არამედ უშუალო, ხელშესახები შედეგის გამო, რასაც საქართველოს თითოეული მოქალაქე უეჭველად იგრძნობს უახლოეს მომავალში.

ჩვენს ქვეყნებს შორის საქონელბრუნვის მოცულობა წინა წლებთან შედარებით მნიშვნელოვნად გაიზარდა; ისრაელი ერთ-ერთი უმთავრესი ინვესტორია, გამოიკვეთა ბაქო-ჯეიჰანისა და ტრანსკასპიური გაზსადენის პროექტებში ისრაელის ჩართვის პერსპექტივა. მოგეხსენებათ, ამ პროექტის რეალიზაციაში (უწინარესად მხედველობაში მაქვს ტრანსკასპიური გაზსადენი) აქტიურად მონაწილეობს ფირმა „მერჰავი“. ისრაელი დაინტერესებულია საქართველოს სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის რეკონსტრუქციითა და განვითარებით.

ამავდროულად, ისრაელის ფირმა „ბეიტმანი“ მონაწილეობს ზესტაფონ-ჭიათურის სამრეწველო კომპლექსის რეაბილიტაციაში. ყველას კარგად გვესმის, თუ რა მნიშვნელობა აქვს ამ პროექტს ჩვენი ქვეყნისათვის.

თანამშრომლობის ერთ-ერთი ყველაზე პერსპექტიული სფერო ტურიზმია. მით უმეტეს, რომ ეს დარგი საქართველოში უდავოდ აღმავლობის გზას ადგას, ვინაიდან მას ძალიან ნიჭიერი, შრომისმოყვარე და, როგორც იტყვიან, საქმის მკეთებელი კაცი ჩაუდგა სათავეში.

აქვე უნდა შევნიშნო, რომ ბატონი ვაჟა მებლაძე — დეპარტამენტის ხელმძღვანელი, აირჩიეს დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის ტურიზმის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარედ, — ეს ძალზე ნიშანდობლივი ფაქტია, რადგან ამ სფეროშიც საქართველო, ტურიზმის განვითარების თვალსაზრისით, ერთ-ერთ პერსპექტიულ სახელმწიფოდ მიაჩნიათ.

ტურიზმის დეპარტამენტის ძალისხმევით თბილისში გაიხსნა მსოფლიოს ერთ-ერთი უდიდესი ტურისტულ-კომპანიის „თომას კუკის“ წარმომადგენლობა. საქართველოსადმი ამ ტრანსნაციონალური გიგანტის ყურადღება მრავალმილიონიან ინვესტიციებს მოასწავებს.

ახლა, რაც შეეხება საბიუჯეტო შემოსავალს.

ეს თემა ჩვენი საუბრების დღის წესრიგში მუდმივად დგას, რაც არც არის გასაკვირი, ვინაიდან, რაოდენ პარადოქსულიც უნდა იყოს, იმ პირობებში, როცა საქართველოს არ ახასიათებს ეკონომიკური კრიზისისათვის ჩვეული სიმპტომები (პირიქით, მაგალითად, იანვარ-მარტში სამრეწველო პროდუქციის წარმოებამ საკმაოდ სწრაფი ტემპით იწყო მატება), — საფინანსო-საბიუჯეტო სფეროში კვლავ სერიოზული სირთულეებია, ვინაიდან მაინც გრძელდება ის საზარელი პროცესი, რომელსაც მე „საბიუჯეტო ტერორი“ ვუწოდე.

ჩამოყალიბდა კორუმპირებულ საქმოსანთა, სწორედ საქმოსანთა, ვაი-ბიზნესმენთა კასტა, რომელნიც, ალბათ, უკვე უნდა ვაიძულოთ გადაიხადონ გადასახადი, რადგან ისინი, ფაქტობრივად, ლუკმაპურს ართმევენ მასწავლებელს, პენსიონერს, ჯარისკაცს, თავად კი ფუფუნებაში ცხოვრობენ.

ღმერთმა დაგვიფაროს კვლავ გათანაბრებისათვის მოვუწოდებდეთ ვინმეს. „სოციალური სამართლიანობა“ იმ გაგებით, როგორც ეს წინა ეპოქაში ესმოდათ, ამჟამად დაუშვებელიც არის და შეუძლებელიც.

მაგრამ მწარედ ცდება ის, ვინც ფიქრობს, თითქოს დემოკრატიულ ქვეყანაში, ლიბერალური საბაზრო ეკონომიკის სახელმწიფოში, სამოქალაქო საზოგადოებაში არ არსებობდეს სოციალური სამართლიანობის პრინციპი.

ოღონდ ამ შემთხვევაში ეს პრინციპი სწორედ იმით გამოიხატება, რომ ბიზნესმენმა, მეწარმემ, ვისაც დიდი შემოსავალი აქვს (და, ღმერთმა შეარგოს კანონიერი ხერხებით, ნიჭითა და შრომით მოპოვებული თუნდაც დიდძალი ქონება), იმავდროულად, აუცილებლად უნდა გადაიხადონ გადასახადი სახელმწიფო ბიუჯეტს, რათა, თავის მხრივ, სახელმწიფოს ჰქონდეს საშუალება დაიცვას, დააპუროს დავრდომილი, უმწეო ადამიანები, გასცეს პენსია, დახმარება, აღზარდოს მომავალი თაობა, შექმნას დამოუკიდებლობის მატერიალური ბაზა.

აქედან გამომდინარე, კორუმპირებულთა კასტა, ყოველგვარი გადაჭარბების გარეშე, უკურნებელი სიმსივნეა საზოგადოების სხეულზე და ეს სიმსივნე უნდა მოიკვეთოს, და მოიკვეთება კიდეც! მე ეს აღრეც მითქვამს, მაგრამ ახლა უკვე დადგა პრაქტიკული მოქმედების დრო. ამას იმიტომ მოგახსენებთ, რომ ეს არ არის მორიგი, ჩვეულებრივი განცხადება.

მე კატეგორიულად მოვითხოვ, რომ შინაგან საქმეთა, უშიშროების სამინისტროებმა და გენერალურმა პროკურორმა კანონის ფარგლებში უმკაცრესი, უსასტიკესი ზომები მიიღონ ამ ხორცმეტთა მოსაკვეთად, და თითოეული ფაქტი ცნობილი უნდა გახდეს ჩვენი საზოგადოებისათვის ტელევიზიისა და პრესის მეშვეობით, ინფორმაციის მიღების სხვადასხვა არხებით.

გადასახადების ურჩ გადამხდელთა, კონტრაბანდისტთა, ფალსიფიკატორთა და კორუმპირებულ მოხელეთა სახით ისეთ უზნეო სუბიექტებთან გვაქვს საქმე, რომელთაც ყოველთვის ესმოდათ მხოლოდ ძალისა და მხოლოდ ძალას სცემდნენ პატივს.

თუ ასეა, მათს უზნეობას ხელისუფლება კანონის ძალას დაუპირისპირებს.

ამით შემოვფარგლავდი ჩემს ეკონომიკურ მიმოხილვას.

— გასული კვირის კიდევ ერთი ფაქტი: ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობისა და საქართველოს მთავრობის ერთობლივ ჯგუფში იყო საუბარი კრიზისიდან საქართველოს გამოსვლის შესახებ. შემუშავებულია ხუთი მიმართულება. ამ სამუშაო კომისიას უხელმძღვანელებენ ბატონი ვაჟა ლორთქიფანიძე — სახელმწიფო მინისტრი და კენეტ იალოვიცი — ამერიკის შეერთებული შტატების საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი საქართველოში. თავისთავად, ამერიკის მხრივ საქართველოს მიმართ ასეთი ყურადღება უკვე ძალიან ბევრს ნიშნავს...

— ეს რით არის განპირობებული: თქვენ იცით, რომ ამ ბოლო წლებში, მას შემდეგ, რაც საქართველო დამოუკიდებელი, დემოკრატიული განვითარების გზას დაადგა, ამერიკის შეერთებული შტატები უპრეცედენტო დახმარებას უწევს საქართველოს — პირდაპირი, ასე ვთქვათ, ჰუმანიტარული დახმარება, ათიათასობით და ასიათასობით ტონა მარცვლეულის საჩუქრად გამოყოფა, შემდეგ, ის კრედიტები და პირდაპირი დახმარება, კონგრესი რომ გამოჰყოფს საქართველოსათვის. წელს, მაგალითად, სხვადასხვა მიზნებისათვის გამოყოფილი ეს დახმარება 90 მილიონ დოლარს აღემატება. ბუნებრივია, ამას მოჰყვა ამერიკის ადმინისტრაციის წარმომადგენელთა სურვილი, რომ ყველაფერი დანიშნულებისამებრ დაიხარჯოს და ეს მოხდეს გეგმით გათვალისწინებულ საფუძველზე. ეს ინიციატივა ეკუთვნის ამერიკის შეერთებული შტატების ელჩს, რომელმაც ამერიკის სახელმწიფო დეპარტამენტის მითითებით და, ალბათ, მისი რჩევით ჩამოაყალიბა ქვეყნის ეკონომიკური გამოცოცხლებისა და აღმავლობის ეს ხუთი მიმართულება, კერძოდ, ამერიკის კაპიტალის მონაწილეობით. ჩვენთან მუშაობს სპეციალური ჯგუფი, კომისია ბატონ ვაჟა ლორთქიფანიძის ხელმძღვანელობით. სამუშაო, ეგრეთ წოდებული ხუთი მიმართულების დაკონკრეტება დამთავრდა და, ალბათ, ერთ-ორ კვირაში შევუდგებით პრაქტიკულ განხორციელებას.

ვფიქრობ, ეს ძალიან კარგი ფორმაა იმისათვის, თუ როგორ უნდა გამოვიყენოთ მიზანმიმართულად უცხოური მხარდაჭერა და უცხოური დახმარება.

— გასულ კვირას თურქეთში, სამსუნში დამთავრდა სასამართლო პროცესი და ქართველი ბავშვები სასამართლო პროცესების გაჭიანურებისა და საბოლოოდ დამთავრების შემდეგ სამშობლოში დაბრუნდნენ. სხვათა შორის, ნიშანდობლივია ორი მომენტი: ჩვენს ბავშვებს, მიუხედავად მცირე ასაკისა, თავი ვაჟკაცურად ეჭირათ და, მეორე: ისინი ამბობენ, რომ თურქეთის მხარე, რამდენადაც კი შეიძლება ადამიანს საპატიმროში ნორმალური პირობები ჰქონდეს, მათ მაქსიმალურად კარგ პირობებს უქმნიდა...

— უპირველეს ყოვლისა, ვულოცავ ქართველი ბავშვების მშობლებს, ახლობლებს, მეგობრებს, თვით ამ ყმაწვილებს, რომელთაც წინ ცხოვრების დიდი გზა აქვთ გასავლელი. თქვენ მოგეხსენებათ, ისინი ლტოლვილი ოჯახების შვილები არიან.

რა თქმა უნდა, მთელი ამ დროის განმავლობაში, სანამ ჩვენი პატარა მოქალაქენი სამსუნის ციხეში იყვნენ, ყველანი, მთელი საზოგადოება და, ბუნებრივია, პრეზიდენტი შეშფოთებით ვადევნებდით თვალს მოვლენათა განვითარებას.

ამ თემაზე ორჯერ ვესაუბრე ბატონ სულეიმან დემირელს.

თავს ვალდებულად ვთვლი, მთელი ჩვენი საზოგადოების სახელით დიდი მადლობა მოვახსენო თურქეთის რესპუბლიკის პრეზიდენტს იმ ყურადღებისათვის, რომელიც მან ჩვენი ბავშვების მიმართ გამოიჩინა.

რა თქმა უნდა, სასამართლო თურქეთში დამოუკიდებელია ისევე, როგორც ნებისმიერ სხვა დემოკრატიულ ქვეყანაში, მაგრამ, ვფიქრობ, აქ სასამართლო კოლეგიისა და პრეზიდენტის შეხედულებანი, მათი აზრი ერთმანეთს დაემთხვა.

ასეთი დამთხვევის გარეშე კი ძალიან ძნელი იქნებოდა გადაწყვეტილების მიღება.

ეს არ იყო იოლი გადაწყვეტილება.

მე ძალიან ვთხოვ მთელ ჩვენს საზოგადოებას, ყველას, ვინც ამ საკითხზე მსჯელობს, ნუ დაივიწყებენ, რომ ტრაგიკული ინციდენტის შედეგად დაიღუპა თურქი ბავშვი, ჩაქრა პატარა სიცოცხლე, ანუ მოხდა გამოუსწორებელი ტრაგედია.

ისევ და ისევ მთელი ჩვენი ქვეყნის, მთელი საზოგადოების სახელით გულწრფელ სამძიმარს ვუცხადებ დაღუპული თურქი ბიჭუნას მშობლებს. ძნელია დაამშვიდო და სანუგეშო სიტყვები იპოვო, როდესაც მშობელი შვილს კარგავს, ღმერთმა ყველას აშოროს ასეთი უბედურება. ჩვენი მხრივ, საქართველოს ხელისუფლება ყველაფერს იღონებს, რათა შეძლებისდაგვარად შევუმსუბუქოთ ეს უდიდესი ტკივილი.

— გასულ კვირას საქართველოში იმყოფებოდა რუსეთის ყოფილი პრემიერ-მინისტრი სერგეი კირიენკო. ოფიციალური ვერსიის თანახმად, მან სკოლა სოხუმში დაამთავრა, იქ უნდა ჩასულიყო და, როგორც ჩვენთან ინტერვიუში განაცხადა, მოენახულებინა მშობლიური ადგილები. რას ნიშნავს ყოფილი პრემიერის ჩამოსვლა საქართველოსათვის საერთოდ? იგი უმაღლეს დონეზე მიიღეს, შეხვდით თქვენ, პარლამენტის თავმჯდომარესაც, სახელმწიფო მინისტრსაც და ასე შემდეგ...

— მინდა ასე გიპასუხოთ, რომ რუსეთთან ჩვენი ურთიერთობა ყოველთვის იყო, არის და იქნება ჩვენი საგარეო და, თუნდაც, საშინაო პოლიტიკის ერთ-ერთი უმთავრესი საზრუნავი, და როგორც ამბობენ, პრიორიტეტი და, რაც გნებავთ, ის დაარქვით. გვინდა თუ არ გვინდა, ეს ასეა.

როცა ჩვენ რუსეთზე ვლაპარაკობთ, ვგულისხმობთ მის პრეზიდენტსაც, მის პრემიერსაც, მინისტრებსაც და ვგულისხმობთ საზოგადო, პოლიტიკურ მოღვაწეებს, რომლებიც უკვე ან იყვნენ მთავრობაში, ან აწი უნდა მოვიდნენ და ასე ვთქვათ, ვმუშაობთ მასშტაბურად. ეს მასშტაბური მუშაობა ძალიან საინტერესოა, რადგან დღეს ერთია პრემიერი, ხვალ შეიძლება მეორე იყოს. იგივე კირიენკო — იგი ძალიან საინტერესო ახალგაზრდა კაცია, უკვე უდიდესი გამოცდილების მქონე, ძალიან ხალად, საინტერესოდ და ორიგინალურად მოაზროვნე. მე, მაგალითად, მასთან საუბარმა დიდი სიამოვნება მომანიჭა იმიტომ, რომ იგი არა სტანდარტულად, არამედ ორიგინალურად აზროვნებს და ასევე საინტერესოდ უყურებს რუსეთ-საქართველოს ურთიერთობას სწორედ იმ პრინციპების შესაბამისად, რა პრინციპებიც ჩვენ ჩამოვაყალიბეთ რუსეთთან ურთიერთობის სფეროში საგარეო პოლიტიკის დარგში. ესე იგი, კირიენკოსთან შეხვედრა რუსეთის მიმართ ჩვენი პოლიტიკის ერთი გამოხატულება გახდა. მაგრამ კირიენკო არ არის გამონაკლისი. ბევრი საზოგადო და პოლიტიკური მოღვაწე ყოფილა საქართველოში, ბევრი აწიც აპირებს ჩამოსვლას, თითქმის ყველას აქვს ასეთი სურვილი. ბატონმა ჟირინოვსკიმაც კი მოისურვა ერთხელ ჩამოსვლა. მაგრამ მერე გადადო. ასევე, ჩვენი პოლიტიკოსები ხშირად არიან მოსკოვში, პეტერბურგში, სხვა ოლქებში, გუბერნიებსა და ქალაქებში. ორი ქვეყნის ურთიერთობა საკმაოდ საინტერესოდ ვითარდება.

— ერთი ფრაზა იყო საინტერესო ჩვენთან კირიენკოს ექსკლუზიურ ინტერვიუში. მან თქვა, რომ კოლექტიური უშიშროების ხელშეკრულებასთან დაკავშირებით იყო შეკითხვა: როცა ასეთი სიტუაცია იქმნება, აქ არ შეიძლება დამნაშავე იყოს მარტო ერთი მხარე და, იმის გამო არ გადაიდგა ეს ნაბიჯი, რომ საქართველოს უბრალოდ ასე სურდა. რა თქმა უნდა, მოხდა იმიტომ, რომ იყო ამისათვის რაღაც ობიექტური პირობები... საინტერესო პასუხია...

— იმიტომაც ვთქვი, რომ იგი ორიგინალურად მოაზროვნე კაცია, გაბედული და ეს თქვენი გამონათქვამიც, ვფიქრობ, ადასტურებს იმას, რომ სწორედ ამ კატეგორიის ადამიანთან გვაქვს საქმე.

— და გასული კვირის, ალბათ, უმთავრესი მოვლენა ის იყო, რომ არა მარტო რეგიონის ქვეყნების, არამედ საერთოდ მთელი მსოფლიოს ყურადღება მიიპყრო კოსოვომ, სადაც ნატო სამხედრო ოპერაციებს ახორციელებს. სხვათა შორის, საკმაოდ საინტერესოა რუსეთის რეაქცია ალბანელთა ტრაგედიის მიმართ, თანაც აბსოლუტურად განსხვავებული, ვიდრე თავის დროზე ჰქონდა ცხინვალის, აფხაზეთის თუ სხვა, ეგრეთ წოდებული ეთნოკონფლიქტებისადმი, რადგან თუკი მაშინ პრესაში იბეჭდებოდა საქართველოს საწინააღმდეგო შეფასებანი, აქ უკვე პირიქით არის: რუსეთის დამოკიდებულება ძალიან ერთმნიშვნელოვანი, ცალმხრივი და პროსერბულია. ესე იგი, თქვენ ხშირად გიყვართ ხოლმე ამ ტერმინის გამოყენება — ორმაგი სტანდარტი პოლიტიკასა და დიპლომატიაში. ერთი მხრივ, საქართველო თავისი ცხინვალითა და აფხაზეთით და, მეორე მხრივ, — სერბეთი სარაევოსა და კოსოვოსთან მიმართებაში.

— მე, ალბათ, იძულებული ვიქნები გავიმეორო ის, რაც უკვე ვთქვი, ოღონდ ოდნავ უფრო ვრცლად. თუმცა, რაც ვთქვი, ერთ-ერთი ტელეარხის შეფასებით ძალიან ბუნდოვანი იყო. ახლა, თუ არ ჩაუფიქრდები და წესიერად არ წაიკითხავ, ყველაზე ნათელი შეიძლება ბუნდოვნად მოგეჩვენოს.

ბალკანეთში მიმდინარე მოვლენები დღეს, ალბათ, ყველა მოაზროვნე ადამიანის საფიქრალია ჩვენს პლანეტაზე.

უწინარესად, უნდა დაისვას კითხვა: რატომ გახდა ეს ყოველივე აუცილებელი, ანდა რატომ გახდა ეს შესაძლებელი?

ჩემი აზრით, რაოდენ მტკივნეულიც უნდა იყოს ეს სიმართლე, მთავარი მიზეზი იმისა, რაც ხდება (ყველაფერი ეს უფრო ფართო პლანით უნდა განვიხილოთ), იმაში უნდა ვეძებოთ, რომ საერთაშორისო უშიშროების სისტემა სრულყოფილი არ არის.

კვლავ ვიმეორებ: დიდად სამწუხაროდ, უშიშროების საბჭომ ვერ შეძლო მშვიდობის იძულებით დამყარების იმ მექანიზმების ამუშავება; კერძოდ, კოსოვოში, რომლებიც გაეროს წესდების შესაბამისად ამ პროცესებს უნდა არეგულირებდეს. თავის დროზე გაერთიანებული ერების ორგანიზაციის შემქმნელებმა, წესდების შემქმნელებმა ეს მექანიზმები გაითვალისწინეს წესდებაში, მაგრამ რეალურად მათი ამოქმედება, სამწუხაროდ, უშიშროების საბჭომ ვერ შეძლო. სხვათა შორის, წესდებაში საკმაოდ ნათლად არის გათვალისწინებული ინსტრუმენტებიც, ამ ინსტრუმენტებზე წარმოდგენა და ეს მექანიზმი. მთავარია მისი ამოქმედება. მაგრამ ამისათვის არც ნებისყოფა აღმოაჩნდათ სხვადასხვა დროს უშიშროების საბჭოს წევრებსა თუ გენერალურ მდივანს. ვფიქრობ, რომ სწორედ ეს ინერცია გრძელდება ახლაც, ინერცია, რომელსაც ხშირად დამღუპველი შედეგები მოაქვს.

კვლავ ვიმეორებ, რომ, დიდად სამწუხაროდ, უშიშროების საბჭომ ეს მექანიზმი ვერ აამუშავა და თუ იგი არ აამუშავდა, ასეთი მოვლენები კვლავაც განვითარდება მომავალშიც, იმიტომ რომ, ძნელია წარმოიდგინოს, შეეგუოს, ვთქვათ, ევროპა, ნატო, მარტო ამერიკის შეერთებულ შტატებზე ხომ არ არის ლაპარაკი, მთელი ევროპა თითქმის ერთსულოვანია, იმას, რომ ევროპის ცენტრში ასეთი ხანძარია, რომელიც შეიძლება ხვალ სხვასაც გადაედოს. ამიტომ ეს, უწინარესად, უშიშროების საბჭოს საზრუნავი და საფიქრალი უნდა იყოს. იქმნება უშიშროების საბჭოს უმწეობის შეგრძნება.

ამ უმწეობის შედეგი ჩვენც გამოვცადეთ, ჩვენც შესანიშნავად ვიცით, რას ნიშნავს და რას მოასწავებს იმ ორგანოს უმწეობა, რომელიც უპირველესად პასუხისმგებელია პლანეტაზე სამართლიანი მშვიდობისა და უშიშროების შენარჩუნებისათვის.

14-15 რეზოლუციაა მიღებული აფხაზეთის შესახებ და, მითხარით, რომელი მუშაობს? მე უმადურობას კი არ ვიჩენ, თავისთავად ეს შეფასებანიც მნიშვნელოვანია, მაგრამ უფრო მნიშვნელოვანი პრაქტიკული მოქმედებაა.

ეს პირველი დებულება.

მეორე: როგორც უნდა განვითარდეს მოვლენები ბალკანეთში, ამან არ უნდა იმოქმედოს გლობალურად საერთაშორისო ვითარებაზე. არ უნდა განაპირობოს დაძაბულობის ზრდა სახელმწიფოთა, განსაკუთრებით, დიდ სახელმწიფოთა შორის და არ უნდა დაარღვიოს ცივი ომის დამთავრების შემდეგ უკვე დამკვიდრებული წინააღმდეგობათა დაძლევის პროცესში ურთიერთნდობის, ურთიერთგაგების ატმოსფერო, რომელიც, ვიმეორებ, ასე თუ ისე, დამკვიდრდა.

და მესამე: საქართველოში (და ეს სავსებით ბუნებრივია) დიდი ყურადღებით ადევნებენ თვალს ბალკანეთში მოვლენების განვითარებას.

ჩვენ, აგრეთვე, ყურადღებით შევისწავლეთ დოკუმენტი, რომელიც კონფლიქტში ჩართულ მხარეებს შესთავაზეს პარიზის, რამბუიეს კონფერენციაზე.

ვფიქრობ, კომპრომისი, რომელიც საფუძვლად დაედო დოკუმენტს, სავსებით რეალურია (ყოველ შემთხვევაში, ჩემი შეფასება ასეთია), კეთილმობილურია თავისი არსით და უდავოდ პოზიტიურია შესაძლო შედეგით. ამიტომ კომპრომისის აღიარება და მასთან შერიგება უნდა სცადოს ყველამ, ვისაც მართლაც სურს მშვიდობის დამყარება ამ მრავალტანჯულ მიწაზე.

და, ბოლოს: ისეთი მოვლენების შეფასებისას, როგორიც არის „მშვიდობისადმი იძულების“ ამგვარ მეთოდებზე მსჯელობა და სხვა, ყველა სახელმწიფო იმ ელემენტარული ჭეშმარიტებით უნდა ხელმძღვანელობდეს, რომ საერთაშორისო პოლიტიკაში დაუშვებელია ორმაგი სტანდარტი, როგორც თქვენს შეკითხვაში ბრძანეთ.

საქართველოს პრეზიდენტს ნამდვილად აქვს უფლება თავისი ხალხის სახელით ეს აზრი გამოთქვას.

ჩვენს ქვეყანას არასდროს დაავიწყდება 1956 წლის 9 მარტის (მე იქით აღარ მივდივარ), 1989 წლის 9 აპრილის, შემდეგ აფხაზეთის ტრაგედიები. ამიტომ ჩვენ ყოველთვის მკაცრად გავილაშქრებთ ნებისმიერი ორმაგი სტანდარტის წინააღმდეგ, სხვათა შორის, ალბათ, ხვდებით, ვისი მისამართითაც არის ეს ნათქვამი. მინდა შეგახსენოთ, 9 აპრილს, ვინც პირველი ჩამოვიდა რუსეთიდან, ეს ბორის ელცინი იყო საპროტესტოდ იმ პოლიტიკისა, რომელიც მაშინ რეალურად განხორციელდა დემონსტრანტთა მიმართ, და ასეთი მოღვაწეები რუსეთში ძალიან ბევრია. ამიტომ ისტორიული მეხსიერება ძალიან მნიშვნელოვანია და ყოველთვის უნდა ცდილობდეს სახელმწიფო იმას, რომ ისტორიაში შავი წერტილები არ დარჩეს, დღეს არ უნდა განახორციელო ის, რასაც ჰქვია ორმაგი სტანდარტი, ორმაგი მიდგომა ამა თუ იმ მოვლენის მიმართ.

— თუმცა, მოგვიანებით აფხაზეთის მოვლენებში ასევე ორმაგი სტანდარტი გამოიჩინა რუსეთის პრეზიდენტმა ბორის ელცინმა.

— სამწუხაროდ.

— მიმდინარე კვირაში საქართველოს ყოფილი პრეზიდენტის ზვიად გამსახურდიას დაბადების დღეა — 31 მარტს მას 60 წელი შეუსრულდებოდა და ეს დღე საქართველოს რეფერენდუმის დღეს ემთხვევა. პრინციპში, როგორც ჩანს, ამ მოვლენის აღნიშვნის მიმართ ხელისუფლების მხრივ წინააღმდეგობას არ იგრძნობა, პირიქით. აქედან გამომდინარე, აქტუალური ხდება ის თემა, რომელსაც საერთო-ეროვნული თანხმობის, შერიგების თემა ჰქვია. „სახალხო-დემოკრატიულმა კავშირმა“ ამას წინათ საზოგადოებას განსახილველად შესთავაზა ასეთი დოკუმენტის პროექტი, რომელსაც საერთო-ეროვნული სინანულის აქტი ეწოდება. თქვენი კომენტარი ამასთან დაკავშირებით.

— გაკვრით ამ თემასთან დაკავშირებით წინა ინტერვიუშიც გიპასუხეთ ზოგიერთ საკითხზე. ახლა ზოგიერთ რამეს გავიმეორებ და რამდენადმე უფრო ვრცლად ვილაპარაკებ.

1991 წლის 31 მარტის რეფერენდუმი უდავოდ ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი მოვლენაა საქართველოს უახლეს ისტორიაში.

იმ დღეს სრულიად საქართველოს მოსახლეობამ მთელი ქვეყნის ტერიტორიაზე გამოხატა თავისი ნება, რათა საქართველო ახლადდაფუძნებულიყო როგორც დამოუკიდებელი სახელმწიფო.

რეფერენდუმის შედეგი ჩვენი სახელმწიფოებრიობის, საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის უმძლავრესი იურიდიული საყრდენია, რომელსაც ვერავითარი ძალა ვერ მოშლის, ვინაიდან საქართველოს მოსახლეობამ, საქართველოს ხალხმა, ქართველ ხალხთან ერთად — საქართველოში მცხოვრებმა ყველა ეროვნების წარმომადგენლებმა, ისტორიის წინაშე, მთელი მსოფლიოს თვალწინ დაადასტურეს თავიანთი გადაწყვეტილება.

უაღრესად მნიშვნელოვანია, რომ ამ საკითხში ქართველი საზოგადოება, მთლიანად ჩვენი საზოგადოება უეჭველად ერთიანი იყო.

აქედან გამომდინარე, როდესაც ეროვნულ თანხმობაზე, შერიგებაზე, საზოგადოების გამთლიანებაზე ვლაპარაკობთ, იმთავითვე თვალწინ გვაქვს ბრწყინვალე მაგალითი, რომელიც იმავდროულად ნებისმიერი საერთო-ეროვნული კეთილისმყოფელი პროცესის უმტკიცესი, შეურყეველი საფუძველია.

უწინარესად ეროვნული თანხმობის მიღწევა მაქვს მხედველობაში.

ამგვარი საფუძველია 1991 წლის 31 მარტს გამოხატული საერთო-ეროვნული ნება და 1995 წლის 24 აგვისტოს მიღებული ჩვენი კონსტიტუცია და მის საფუძველზე შექმნილი დამოუკიდებელი, დემოკრატიული სახელმწიფო.

აი, ამ საფუძველზე, ამ ნიადაგზე, ამ სიღრმისეულ, ფუნდამენტურ დებულებათა გათვალისწინებით, მე, როგორც ქვეყნის პრეზიდენტი, მზად ვარ ვითანამშრომლო ყველა პოლიტიკურ ორგანიზაციასთან, ყველა პარტიასთან, ყველა საზოგადო მოღვაწესთან, და, როგორც იტყვიან, ყველას ხელი გავუწოდო.

ქართველი საზოგადოების ნებისმიერ წევრს, პრეზიდენტით დაწყებული, არ გააჩნია იმაზე დიდი ფუნქცია და მოვალეობა, ვიდრე საქართველოში ეროვნული თანხმობის აღდგენა და სამოქალაქო მშვიდობაა.

უნდა დამთავრდეს ჩვენი მრავალტანჯული, მრავალჭირგამოვლილი ქვეყნის მოქალაქეთა დაყოფა ცალკეულ, თუნდაც გამორჩეულ პიროვნებათა მომხრეებად და მოწინააღმდეგეებად. საზოგადოების ასე დაყოფა წარმოუდგენელია.

დიდი ქართული საზოგადოებრივი შეთანხმებისათვის საუკეთესო საფუძველია ქვეყნის დამოუკიდებლობა და დამოუკიდებელი საქართველოს დემოკრატიული კონსტიტუცია.

ეს უნივერსალური ღირებულებაა, რომელიც არ შეიძლება იყოს ერთი რომელიმე პიროვნების, თუ ერთი რომელიმე საზოგადოებრივი დაჯგუფების პრიორიტეტული კუთვნილება.

წარმოუდგენელია, შეუძლებელია, დაუშვებელია, რომ დამოუკიდებლობის კეთილმობილური იდეა განაპირობებდეს დაპირისპირებას, ურთიერთსიძულვილს, მტრობას, რაც საბოლოო ანგარიშით, ისევ და ისევ დამოუკიდებლობას ჩასცემს ლახვარს.

ასეთი მოქმედება იმათი შეურაცხყოფა იქნება, ვინც სხვადასხვა დროს, სხვადასხვა ეპოქაში, სხვადასხვა ათასწლეულსა, საუკუნესა თუ ათასწლეულში სიცოცხლე გაწირა სამშობლოსა და თავისუფლებისათვის.

ყველა პიროვნება, რომელსაც წვლილი შეუტანია დამოუკიდებელი საქართველოს დაფუძნებაში, ღირსეულად უნდა დაფასდეს. დამსახურება და ღირსება მათ არ უნდა დავუკარგოთ. მით უმეტეს, როდესაც საქმე ეხება ახალი საქართველოს პირველ პრეზიდენტს, რომელმაც უდავოდ დიდი წვლილი შეიტანა 31 მარტის რეფერენდუმის მოწყობაში. მე წინა ინტერვიუში ვთქვი, რომ ისტორია ყველას თავის ადგილს მიუჩენს და, ალბათ, რამდენადმე უფრო საერთო და საბოლოო შეფასებებს მომავალი თაობები მისცემს.

ასეთი შეფასება სრულიადაც არ ნიშნავს, რომ არ შეიძლება არსებობდეს სხვადასხვა აზრი ამ პიროვნების, მისი მოღვაწეობის მიმართ, და სხვადასხვა აზრის არსებობა სავსებით ნორმალური და კანონზომიერია.

სწორედ ამიტომ დღევანდელ დამოუკიდებელ, დემოკრატიულ საქართველოში არც ერთი პიროვნება არ არის გაბულადებული და არავის ეკრძალება გამოთქვას თავისი აზრი ნებისმიერ საკითხზე, თუნდაც ეს აზრი სხვებისათვის ან თვით პრეზიდენტისათვისაც მიუღებელი იყოს.

აქვე უნდა ვთქვა ისიც, რომ ერის გაბზარული აზროვნების გამთლიანება, ისევე, როგორც ტერიტორიული მთლიანობა, ჩემთვის არასდროს ყოფილა კონიუნქტურული მოსაზრებებით ნაკარნახევი, ან საჭადრაკო სვლათა ასპარეზი, — თუ ასეთ მეტაფორას მივმართავთ.

ეს ისეთი საკითხია, როცა პოლიტიკაც კი კარგავს თავის ძლევამოსილებას, ვინაიდან ეროვნული თანხმობის გარეშე საქართველოს მომავალი არა აქვს, არ გააჩნია.

არა მარტო დღევანდელობა, არამედ ჩვენი ქვეყნის ისტორიაც არ გვიტოვებს ალტერნატივას, არ ცნობს სხვა მოსაზრებას, სხვა პლატფორმას.

ჩვენი ერის თვალსაჩინო წარმომადგენლები, ერის სულიერი მოძღვარნი თუ პოლიტიკური წინამძღოლნი, სხვადასხვა ეპოქაში, სხვადასხვა დროს განსხვავებული ხერხებითა და მეთოდებით ცდილობდნენ ქვეყნის დამოუკიდებლობის, სახელმწიფოებრიობის შენარჩუნებას.

კვლავ გავიხსენებ დიდი ილიას გენიალურ მოსაზრებას: „იმიტომ გადავრჩით, რომ დროის თარგზე მორგებულნი ვიყავით“. ეროვნული მთლიანობის პრობლემა ყველა ეპოქაში აქტუალური იყო. დაქუცმაცება გახლდათ სწორედ ქართული უბედურების მიზეზთა მიზეზი. მე დღეს შემთხვევით არ ვამახვილებ ყურადღებას ცალკეულ მოვლენათა ფონზე ამ საკითხთან დაკავშირებით.

თვალი გადავავლოთ ჩვენს ისტორიას: ყველაფერი იყო — სასიკვდილოდ წაკიდებული ძმების ჭეშმარიტი შერიგებაც და სამშობლოს გადასარჩენად, მისი მთლიანობის შესანარჩუნებლად ან ძალაუფლების მოსაპოვებლად თავების წაცლის პრაქტიკაც.

თუმცა, ისტორიული ანალოგიები და ამ ანალოგიათა ანალიზი შორს წაგვიყვანს.

დღევანდელი დღე — ახალი საქართველოს არსებობა ახალ მსოფლიოში, ახალ გეოპოლიტიკურ ვითარებაში, ახალ პერსპექტივათა გათვალისწინებით, განვითარების საკაცობრიო პროცესი რომ გვიხსნის, — გვაძლევს უნიკალურ შანსს ერთხელ და სამუდამოდ, შვილებისა და შვილიშვილებისათვის, მომავალი საქართველოს თავისუფლების, ბედნიერებისა და აყვავებისათვის ახლავე მივაღწიოთ ერის გამთლიანებას, ნამდვილ სამოქალაქო თანხმობას. ეს არის საქართველოში ჭეშმარიტი ეროვნული მოძრაობის ალფა და ომეგა, რომელსაც უკავშირდება უკლებლივ ყველა საზოგადოებრივი თუ სახელმწიფოებრივი პრობლემა, მათ შორის უმთავრესი: ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა.

ამიტომაც ხელს ვუწვდი შერიგების, შეთანხმებისა და გაერთიანებისათვის ყველას, ვინც ამ საფუძველზე დგას, ამ ფუნდამენტზე დგას, ვინც ამ იდეას იზიარებს.

ის, ვინც საქართველოს თავისუფლებისათვის იბრძვის, რომელ ბანაკშიც უნდა იყოს, ჩემს თანამოაზრედ და თანამებრძოლად მიმაჩნია.

იგი არ არის ჩვენი მტერი, გნებავთ ზვიადისტი იყოს, გნებავთ სხვა რომელიმე მიმართულების მიმდევარი.

ქვეყნის ორგული და ავის მოსურნე ის არის, ვინც დღეს საქართველოს დამოუკიდებლობას უთხრის ძირს და ამით კიდევ ერთი სამოქალაქო ომისაკენ უბიძგებს ქვეყანას, რომელმაც ძლივს მოიშუშა ეს იარები და ყველაფერი ბოლომდე მოშუშებული კიდევ არ არის.

ქვეყნის ორგული ის არის, ვისაც სურს დაგვაბრუნოს უკეთურ წარსულში, ტოტალიტარულ წარსულში, რომელიც უკვე გაიარა საქართველომ, ქართველმა ერმა მთელ კაცობრიობასთან ერთად.

ისინი ეროვნული ნიჰილისტები, იმპერიის ჩაფარ-მქადაგებელნი არიან. მათ ვერასდროს შევურიგდებით, ვერავითარ შემთხვევაში ვერ შევურიგდებით. ისინი ერის ნებას არ გამოხატავენ, ვინაიდან მოსწყდნენ ერის გამაერთიანებელ საფუძველს.

სხვა მხრივ, პოლიტიკურ შეხედულებათა რადიკალური განსხვავებაც კი არ უნდა იყოს ერის გათიშვის საფუძველი.

დემოკრატიული პროცესი, დემოკრატიული ქვეყნის ცხოველმყოფელობა წარმოუდგენელია დისკუსიის, აზრთა და შეხედულებათა პაექრობის გარეშე.

ახლოვდება პარლამენტისა და პრეზიდენტის არჩევნები. გუშინ მე, როგორც იტყვიან, ახალი შთაბეჭდილება შემექმნა, ვესწრებოდი მოქალაქეთა კავშირის ხელმძღვანელობის გაფართოებულ სხდომას, გვიან ღამემდე შემორჩით, სწორედ ამ პრობლემებზე ვმსჯელობდით და ამიტომაც ცოტა გამიგრძელდა საუბარი ახლა ამ თემაზე.

როგორც ვთქვი, ახლოვდება პარლამენტისა და პრეზიდენტის არჩევნები. დაე, საქართველოს მოსახლეობამ სრულად გამოიყენოს ეს ყველაზე ღირსეული და ცივილიზებული საშუალება, რათა გამოთქვას, გამოხატოს საკუთარი აზრი. ვისაც ეს აზრი აქვს, მოდით, შევთანხმდეთ, რომ ვიბრძოლოთ ამ აზრის გამოსახატავად საარჩევნო ყუთებთან და მხოლოდ და მხოლოდ ამ მეთოდით და ამ გზით, და ნურავინ ნუ აალაპარაკებს იარაღს. თავი დაანებოს ყველამ ტერაქტებზე, დივერსიებსა და სხვა მსგავს მოვლენებზე ლაპარაკს.

კვლავ და კვლავ მივესალმები ყველა ინიციატივას, თუ იგი მიზნად ისახავს თანხმობასა და შერიგებას 31 მარტის რეფერენდუმისა და 24 აგვისტოს კონსტიტუციის საფუძველზე.

გარდა ამისა, ნება მიბოძეთ, შევახსენო ყველას, რომ ჯერ კიდევ 1992 წლის ზაფხულში, როცა საქართველოში სამოქალაქო ომი მძვინვარებდა, ხოლო დამოუკიდებელი ქართული სახელმწიფო თითქმის უმწეო და უსუსური იყო, სწორედ მე გახლდით, თანამოაზრეებთან ერთად, ინიციატორი შერიგებისაკენ მიმართული ცნობილი მანიფესტის გამოქვეყნებისა და ეს მოხდა, მიუხედავად იმისა, რომ მოწინააღმდეგეც ჰყავდა, ზოგიერთმა მერე გვიღალატა კიდეც. მაინც შევძელით, რომ ეს ისტორიული ნაბიჯი გადაიდგა.

იმ ნაბიჯმა არა ფიზიკური, არამედ ზნეობრივი ძალა შეიძინა, ვინაიდან დიდი მიზნის მისაღწევად, ქვეყნის გასამთლიანებლად შერიგება, თუნდაც კომპრომისი, ძლიერთა ხვედრია. მე თავს არ ვიქებ, ეს ჩემი თანამოაზრეების ნაფიქრიც და მათ მიერ მიღებული გადაწყვეტილებაც იყო.

ეს სრულებითაც არ ნიშნავს უკანონობას, კანონიერების დაკნინებას. არავითარ შემთხვევაში! საქართველოს კონსტიტუცია, „დიდი ეროვნული რეფერენდუმი“ აფუძნებენ ახალ ქართულ სახელმწიფოს, რომელიც თითოეული მოქალაქის, ისევე როგორც მთელი ჩვენი საზოგადოების, სულიერი სიმშვიდის, თანხმობისა და თავისუფლების უმთავრესი გარანტია გახლავთ.

და, სხვათა შორის, თქვენ ახსენეთ ქალბატონ ნესტან კირთაძის ინიციატივა — „ეროვნული სინანული“. მე შერიგებას ვამარობ, იქ სინანულია. ჩვენი მიდგომა განსხვავებულია, მაგრამ ყველას, ვინც უნდა იყოს, როგორც ზემოთ ვთქვი, ხელს ვუწვდი და ყველასთან თანამშრომლობისათვის მზად ვარ.

— გასულ კვირას ტელერადიოკორპორაციის ხელმძღვანელმა ბატონმა არჩილ გოგელიამ მოგმართათ თხოვნით თანამდებობიდან განთავისუფლების შესახებ. რამდენადაც ვიცით, ეს თხოვნა უკვე დაკმაყოფილებულია...

— ბატონი არჩილის თხოვნა გადადგომის შესახებ საკმაოდ არგუმენტირებული იყო და ამიტომ მე იგი დავაკმაყოფილე. მაგრამ განცხადებას თან ერთვის ჩემი რეზოლუცია, რომლითაც მადლობას ვუცხადებ ბატონ არჩილ გოგელიას, აჩიკო გოგელიას.

კვლავ უნდა გავიმეორო ის, რაც ჩემს განკარგულებაში ჩავწერე. მან უდავოდ ძალიან დიდი წვლილი შეიტანა ქართული დემოკრატიული მასმედიის დაფუძნებაში და ეს დაიწყო მაშინ, როცა ამაზე ლაპარაკიც და ფიქრიც კი ძნელი იყო.

ჯერ კიდევ იმ ეპოქაში, როდესაც დემოკრატიულ პრესაზე ლაპარაკი მართლაც შეუძლებელი იყო, აჩიკო გოგელიას გაზეთები და ჟურნალები, რომელთაც იგი ხელმძღვანელობდა, გამოირჩეოდა ჟურნალისტური სტილის სინატიფით, პატიოსნებით, პროფესიონალიზმით, პირდაპირობითა და გამბედაობით.

ურთულესი შვიდი წელი გაატარა მან საქართველოს ტელევიზიაში, თუ არ ვცდები, შვიდი წელი. ბევრ განსაცდელსაც გაუძლო ჩვენთან ერთად, მთელ საზოგადოებასთან და ქვეყანასთან ერთად. ყველაფრისათვის მას კაცურ მადლობას მოვახსენებ.

რაც შეეხება ზაზა შენგელიას, რომელიც მე დავნიშნე კორპორაციის ხელმძღვანელად, იგი შედარებით ახალი თაობის, მე ასე ვიტყოდი, შესანიშნავი მოღვაწე, მოაზროვნე და ნოვატორია. საოცრად კომუნიკაბელური და მიზანმიმართული, ძალიან მიზანმიმართული, იცის, რა უნდა და როგორ მიაღწიოს ამ საწადელს. მინდა წარმატება ვუსურვო მას და მასთან ერთად ტელევიზიისა და რადიოს მთელ კოლექტივს, ყველა პროგრამასა და ყველას, არის ამ საშვილიშვილო საქმეში.

საქინფორმი.

კანონმდებლები

დღის წესრიგშია სამეწარმეო საქმიანობის ლიცენზირების და ნავთობისა და გაზის შესახებ უმნიშვნელოვანესი კანონპროექტები

(პირველი გვერდიდან)

მონაწილეობას საგრძნობლად შეამცირებს, პარლამენტის თავმჯდომარის თქმით, განხილვისას, რომელშიც ყველა დაინტერესებული სამინისტრო და უწყება მიიღებს მონაწილეობას, პარლამენტმა კანონშემოქმედებითი პრეროგატივა აქტიურად უნდა გამოიყენოს, რადგან ზურაბ ჟვანიას განცხადებით, კანონპროექტის პრინციპულ საკითხებთან დაკავშირებით, პარლამენტის მეხედველება, სამინისტროებისა თუ უწყებების პოზიციისაგან ბევრად განსხვავდება.

მეორე საკითხი, რომელზეც ბიუროს წევრებმა იმსჯელეს, ეხებოდა კანონპროექტს „ნავთობისა და გაზის შესახებ". როგორც ზურაბ ჟვანიამ აღნიშნა, ამერიკის შეერთებული შტატებისა და დიდი ბრიტანეთის მთავრობები, ანუ ის სახელმწიფოები, რომელთაც ნავთობისა და გაზის მრეწველობაში ინვესტიციები ჩადეს, არსებული ხელშეკრულებების კანონმდებლობასთან მისადაგებას პრინციპულად ითხოვენ. აქვე ითქვა, რომ საქართველოში ნავთობისა და გაზის სექტორში მომუშავე კომპანიებისათვის კანონის ამოქმედებამ, მათი მოღვაწეობის მიმართ უკუქმედების ეფექტი არ უნდა გამოიწვიოს. მისივე თქმით, პარლამენტმა ყველა უკვე არსებულ კონტრაქტს უნდა გადახედოს. პარლამენტის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ საქართველოსათვის ნავთობისა და გაზის მოპოვება და რეალიზაცია სწორედ ის სექტორია, რაც სახელმწიფო ბიუჯეტს ასეულობით მილიონი დოლარით შეავსებს და ეს საგანი, არამც და არამც პოლიტიკური დაპირისპირების სფეროდ არ უნდა იქცეს.

პარლამენტის ბიუროს სხდომაზე სხვა მნიშვნელოვან კანონპროექტებსა და რიგ საორგანიზაციო საკითხებზეც იმსჯელეს.

პარლამენტის პრესსამსახური.

მიმართვა

ეროვნული თანხმობის გარეშე ქვეყანას მომავალი არ გააჩნია

(პირველი გვერდიდან)

საუკეთესო შემთხვევაში — ეროვნული თანხმობის იდეის აქტიური მხარდაჭერით თქვენ შეგიძლიათ საზოგადოებაში დიდი რეზონანსი გამოიწვიოთ, თქვენი მართალი, საჭირო სიტყვის ძალით შეკრათ ქართველი ერი.

მეორე შემთხვევაში, თუ გამოიჩენთ ტენდენციურობას (ამის საბაბს საქართველოში რა დალევს), ადვილი შესაძლებელია, ამ იდეის დისკრედიტაცია მოხდეს.

რჩება მესამე ვარიანტი — თქვენი პოზიცია იგნორირებით გამოხატოთ.

თითოეული თქვენგანის არჩევანი, რა თქმა უნდა, უპირველეს ყოვლისა, თქვენს (თქვენი კოლექტივის) მრწამსზეა დამოკიდებული.

ეროვნული თანხმობის დარბაზი ღიაა თანხმობის იდეისადმი კეთილმოსურნედ განწყობილი ყველა საზოგადოებრივ-პოლიტიკური ორგანიზაციისა და პიროვნებისათვის, მზადაა მათთან ურთიერთობისათვის.

ეროვნული თანხმობის დარბაზის პრესსამსახური.

განცხადება

პოლიტიკური სპეკულაცია არანაირად არ წაადგება საერთო საქვეყნო საქმეს

(პირველი გვერდიდან)

საბრძოლო მასალა და ფეთქებადი ნივთიერება, რომლებიც „მემკვიდრეობით" გვერგო. მათი შენახვის, დაცვის, შენარჩუნებისა და ტექნიკური ზედამხედველობის საქმეში [illegible] მდგომარეობა. მათი უმრავლესობა განლაგებულია ღია ცის ქვეშ და არსებობს აფეთქების უმართავი პროცესების წარმოშობის საშიშროება, რაც შესაძლებელია, უმოქმედობის შემთხვევაში ეკოლოგიური კატასტროფაც გამოიწვიოს, აქედან გამომდინარე ყველა შედეგით.

ამის თაობაზე ინფორმირებულია ქვეყნის საზოგადოებრიობა.

საკითხი მართლაც უმნიშვნელოვანესი და უაღრესად საშიშ სახელმწიფო პრობლემად არის ქცეული და იგი გადაუდებლად ითხოვდა ლეგალიზებულ მოწესრიგებას, სპეციალურ ღონისძიებათა განხორციელებას და ამიტომ იგი ორჯერ გახდა მსჯელობის საგანი ეროვნული უშიშროების საბჭოს სამხედრო-ტექნიკურ საკითხთა მუდმივი საუწყებათაშორისო კომისიის სხდომაზე.

აღნიშნული კომისიის რეკომენდაციის საფუძველზე ამ მასალების ვარგისიანობის გამოკვლევას მათი შემდგომი გადამუშავებისა და გამოყენების, უვარგისი საბრძოლო მასალების უტილიზაციის საქმიანობას ახორციელებს საქვეუწყებო დაწესებულების სტატუსის მქონე სახელმწიფო სამხედრო სამეცნიერო-ტექნიკური ცენტრი „დელტა".

დასახული პროგრამის შესაბამისად „დელტას" და თავდაცვის სამინისტროს მიერ შესწავლილ იქნა ვარციხის სამხედრო ბაზაში არსებული განადგურების საავიაციო საშუალებების მდგომარეობა, მათი ნომენკლატურა და მეტად ვადაგასული, მიზნობრივად გამოუყენებელი და უტილიზაციას დაქვემდებარებული განადგურების საავიაციო საშუალებების ნუსხა.

საბრძოლო მასალების უტილიზაციის სამუშაოების ჩასატარებლად მოზიდულ იქნა ინვესტორი და შეიქმნა სპეციალიზებული შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „გამა-ცენტრი".

აღნიშნულ საზოგადოებასა და ბულგარეთის სამხედრო ქარხანა „დუნარიტს" შორის 1998 წლის ნოემბერში დაიდო ხელშეკრულება 2000 წლამდე საუტილიზაციო სამუშაოების ერთობლივად განსახორციელებლად როგორც ბულგარეთში, ასევე, საქართველოში.

საუტილიზაციო ავიაბომბების ქვეყნის ფარგლებს გარეთ გატანის თაობაზე საქართველოს იუსტიციის სამინისტრომ ლიცენზია გასცა ეროვნული უშიშროების საბჭოს სამხედრო-ტექნიკურ საკითხთა მუდმივი საუწყებათაშორისო კომისიის რეკომენდაციის საფუძველზე, „სამხედრო დანიშნულების პროდუქციის, ტექნიკური დოკუმენტაციის, სამუშაოების და მომსახურების ექსპორტისა და იმპორტის ლიცენზირების წესის შესახებ" დებულების შესაბამისად, რომელიც დამტკიცებულია საქართველოს პრეზიდენტის 1997 წლის 15 ოქტომბრის № 582 ბრძანებულებით, რომელიც არეგულირებს საქმიანობას ამ სფეროში ცეცხლსასროლი იარაღისა და სამეწარმეო საქმიანობის ლიცენზირების შესახებ კანონის ამოქმედებამდე. ამჟამად, ამ მხრივ არავითარი კანონსაწინააღმდეგო ქმედებას ადგილი არ ჰქონია.

საუტილიზაციო საავიაციო ბომბების ქვეყნის ფარგლებს გარეთ გატანა ხორციელდებოდა ბულგარეთის ქარხანა „დუნარიტთან" დადებული ზემოთ აღნიშნული ხელშეკრულების პირველი ეტაპის შესაბამისად.

აღნიშნული ბომბები საბჭოთა წარმოებისაა, დამზადებულია 1972-74 წლებში, მათი შენახვის ყველანაირი ვადები გასულია, ისინი უვარგისი და გამოუყენებელია საქართველოს სამხედრო ძალებისათვის, ხოლო მათი უტილიზაცია საქართველოში დღეისათვის და უახლოეს მომავალში ეკონომიკურად და ტექნიკურად შეუძლებელია.

ბომბები ბულგარეთში იგზავნება სწორედ უტილიზაციის ტექნოლოგიის დასამუშავებლად და ამ მიმართებით ერთობლივი საქმიანობის დასაწყებად.

ამ ბომბების ბათუმის ნავსადგურიდან გატანა განპირობებული იყო იმით, რომ დღეისათვის მხოლოდ აქ შემოდის ბულგარეთიდან ის ბორანი, რომელსაც მსგავსი ტვირთების გადატანის ლიცენზია აქვს.

ყოველივე ზემოთ თქმულიდან გამომდინარე, ფრიად დასანანია, რომ აღნიშნული საკითხი პოლიტიკური სპეკულაციების საგანი გახდა და ქვეყანაში არაჯანსაღი მითქმა-მოთქმა გამოიწვია. ეს ყოველმხრივ გაუმართლებელია და არანაირად არ წაადგება საერთო საქვეყნო საქმეს.

საქართველოს თავდაცვის სამინისტრო; საქართველოს იუსტიციის სამინისტრო.

კონფლიქტი

რა სტკივა რუსეთს იუგოსლავიაში?

(პირველი გვერდიდან)

მხოლოდ ლიბერალურ-დემოკრატიული პარტიის ლიდერმა ჟირინოვსკიმ დაგმო რუსეთის სამთავრობო სტრუქტურები და ცალკეული პოლიტიკოსები კი ფაქტობრივად გაუმჟღავნებელი უკმაყოფილებით შემოიფარგლნენ, იუგოსლავიის დაბომბვამ რუსეთის მასობრივი ინფორმაციის საშუალებების დიდი ნაწილი ანტიამერიკულ ფრონტად დარაზმა ისე, როგორც ეს ცივი ომის დროს იყო.

რატომ?

დავიწყოთ იმით, რომ მიუხედავად პრინციპული უთანხმოებისა — რა უნდა გაეკეთებინა რუსეთს ნატოს ამ აქციის საპასუხოდ, სახელმწიფო სათათბიროს ყველა პოლიტიკური ფრაქცია ერთხმად გმობს სამხედრო ოპერაციებს, რაც უკმაყოფილების ზოგადეროვნულ საწყისზე უნდა მიუთითებდეს. სამხედრო ოპერაციების დაწყება, არა მგონია, რომელიმე ქვეყანას გახარებოდა. ვფიქრობ, საკმაოდ თავშეკავებულად, მაგრამ, ამასთანავე, მკაცრად განსაზღვრა შექმნილი სიტუაცია საქართველოს პრეზიდენტმა: იგი შეწუხებულია იმის გამო, რომ ვერ მოხერხდა კოსოვოს კონფლიქტის მოგვარება მშვიდობიანი გზით და რაც არ უთქვამს, მაგრამ იგულისხმებოდა: — ამიტომ აუცილებელი გახდა საერთაშორისო სამხედრო ძალების ამოქმედება.

რუსეთის სახელმწიფო სათათბიროს დეპუტატები კლინტონს ჰიტლერს ადარებენ, ამერიკელებს — ფაშისტებს, უფრო თავშეკავებულები ამერიკელებს უწოდებენ აგრესორებს, ხოლო ამერიკის შეერთებულ შტატებს — მსოფლიო ჟანდარმს. მაშინ, როდესაც სხვა ქვეყნების მიმართ ლანძღვა-გინება ან არ ისმის, ან უაღრესად მოკრძალებულად, ყველას ხომ ვერ გალანძღავ!

მძაფრი ისტერიკის ეროვნული ელფერი ნათელია და არც არავინ მალავს: — რუსეთის პოზიციას არ გაუწიეს ანგარიში, რუსეთს არაფრად აგდებენ — რუსეთი სამხედრო ოპერაციის წინააღმდეგი იყო, ევროპამ კი აშშ-თან ერთად ეს ნაბიჯი მაინც გადადგა (რატომღაც „ავიწყდებათ", რომ იუგოსლავიამ არ გაუწია ანგარიში [illegible] მსოფლიოს წამყვან სახელმწიფოთა თხოვნას თუ მოთხოვნას, მათ შორის, არც რუსეთისას. მეტიც, ბოლო მონაცემებით გაიდარისა და სხვათა სამშვიდობო მისიასთან შეხვედრას ყველა ქვეყნის წამყვანი პოლიტიკოსები დათანხმდნენ, მილოშევიჩი კი დუმს). სულ უფრო ხმამაღლა გაისმის შემდეგი არგუმენტები: ჩაგრავენ ძმურ სლავურ ქვეყანას (თითქოს ჩეხები და ბულგარელები ნაკლები სლავები არიან, თუ მხარს უჭერენ იუგოსლავიის დაბომბვას), რომ ჩაგრავენ პატარა ქვეყანას, რომელსაც რუსეთის იმედი აქვს და ა.შ.

მაგრამ ძირითადი არგუმენტი, ძირითადი მიზეზი, რომელმაც რუსეთის პოლიტიკური ელიტის დაუფარავი რისხვა და, ვიტყოდი, გამძაფრება გამოიწვია, კარგად გამოხატა სახელმწიფო სათათბიროს კომუნისტური ფრაქციის ერთ-ერთმა დეპუტატმა „დუმის" საგანგებო სხდომაზე: თუ ჩრდილოეთ ატლანტიკურმა კავშირმა აშშ-სთან ერთად სამხედრო დარტყმა მიაყენა იუგოსლავიას იმის გამო, რომ მან გააუქმა კოსოვოს ავტონომია და იქ, მათი აზრით, გენოციდს აწარმოებს, ეს ნიშნავს, რომ ხვალ იგივე შეიძლება რუსეთშიც განმეორდეს. მისივე სიტყვებით, რუსეთის 21 სუბიექტიდან 19-ის კონსტიტუციაში შეტანილია ისეთი მუხლები, რომლებიც ძირეულად ეწინააღმდეგება რუსეთის კონსტიტუციას და თუ რუსეთს იუგოსლავიის მსგავსად დასჭირდება ამგვარივე ზომების მიღება, ხომ არ მოინდომებს ნატო იგივე მოიმოქმედოს მის მიმართაც?! მართალია წინადადების მეორე ნაწილი არ თქმულა, მაგრამ იგულისხმებოდა. სხვათა შორის, იმავე სხდომაზე სხვებთან ერთად, არც საქართველო დაუტოვებიათ ყურადღების მიღმა. კერძოდ, განაცხადეს, რომ ნატო, თუ ამისი აუცილებლობა შეიქმნება, სოხუმსაც დაბომბავსო (მადლობთ ყურადღებისთვის, სოხუმს, და არა თბილისს. ძალიან აღელვებული იყო დეპუტატი, თორემ გენოციდის ორგანიზატორებს არ გასთქვამდა).

არ შევაჩერებთ თქვენს ყურადღებას იმაზე, თუ როგორ ეჯიბრებიან კომუნისტები, აგრარული, ლიბერალ-დემოკრატიული და სხვა პარტიის ლიდერები ერთმანეთს საარჩევნო ქულების დაგროვებაში. განსაკუთრებით კომუნისტები, რომლებსაც, დუმის დემოკრატი კოლეგების სიტყვებით რომ ვთქვათ — ხელ-ფეხებზე ჰკიდიათ იუგოსლავია, მთავარია როგორმე ელცინი ჩამოაგდონ, ეტყობა, მას პრიმაკოვსაც მიაყოლებენ და შეურაცხყოფილი ღირსების აღზევებას მიჰყოფენ ხელს. ჰიტლერმაც ხომ თავის ძირითად ლოზუნგად შეურაცხყოფილი გერმანელი ერის აღზევება გაიხადა.

„დუმის" შემარცხენე ფრთა უტევს ყველას, ვინც არ იზიარებს მის პოზიციას. არც საქართველოს პრეზიდენტის შეფასება მოეწონათ, რომელიც ორაზროვნად მონათლეს. არც არის გასაკვირი იმ ფონზე, როდესაც საქმე ბელორუსიისთვის ატომური იარაღის გადაცემამდე მიჰყავთ, ხოლო ჟირინოვსკი ევროპაში არეულობის მისაღწევად ქურთებისათვის იარაღის დარიგებას მოითხოვს.

მიუხედავად იმისა, რომ რუსეთის აღშფოთება ორმაგი სტანდარტის ნათელი გამოვლინებაა, ჩემი აზრით, ერთი გარემოება მაინც აძლევს მას განრისხების საბაბს, კერძოდ ის, რომ თუ ჩრდილოეთატლანტიკური კავშირი გადაწყვეტს, მას შეუძლია განახორციელოს სამხედრო მოქმედება გაერთიანებული ერების ორგანიზაციის, მისი უშიშროების საბჭოს სანქციის გარეშე. მაშინ ვკითხოთ: ვარშავის პაქტი რომ არ დაშლილიყო, მასაც ექნებოდა იგივე უფლება? ამჟამად, ვფიქრობ, უნდა გავარჩიოთ სამხედრო მოქმედების მორალური და სამართლებრივი ასპექტები. აქ კი შეუძლებელია არ გავიხსენოთ საქართველოს პრეზიდენტის არა ერთი და ორი გამონათქვამი იმის შესახებ, რომ დროა, ამოქმედდეს გაეროს წესდებაში ჩადებული მშვიდობის დამყარების იძულების მექანიზმი.

მართლაც, უკანასკნელი ათწლეულის განმავლობაში მსოფლიოში ორმოცამდე მსხვილმასშტაბიანი კონფლიქტი მოხდა. ყველა მათგანი შიდასახელმწიფოებრივი კონფლიქტებია. განვითარებულ ქვეყნებშიც იქმნება საკონფლიქტო სიტუაციები. მაგალითად, ინგლისში — ირლანდია, ესპანეთში — კატალონია, ბასკეთი და სხვა. იქ საბედნიეროდ, დაპირისპირება არ იღებს ომის მასშტაბებს, მაგრამ ისეთი ქვეყნების შიდა კონფლიქტებს, როგორიცაა რუანდა, ბურუნდი და სხვა, ასობით ათასი ადამიანი ეწირება. გავიხსენოთ კამბოჯა, სადაც პოლ-პოტის რეჟიმმა მილიონი თანამემამულე იმსხვერპლა. განა საერთაშორისო თანამეგობრობას არ უნდა შეეძლოს ასეთი ძალადობის ფაქტების მოგერიება იმის გამო, რომ ერთი სახელმწიფო მეორე სახელმწიფოს მოქალაქეებს კი არ ხოცავს, არამედ თავისას? ცხადია, უნდა შეეძლოს და, ალბათ, ვალდებულიც არის ადამიანის უფლებების დაცვის პრინციპიდან გამომდინარე. სამწუხაროდ, ამას ხელს უშლის გაეროს უშიშროების საბჭოს არასრულყოფილება. მსოფლიოს წამყვანი პოლიტოლოგი ადამ როტფელდი ასეთ მაგალითს ასახელებს: მაკედონიამ ტაივანისაგან მიღებული კრედიტის საფასურად სცნო ტაივანი დამოუკიდებელ სახელმწიფოდ. განრისხებულმა ჩინეთმა ამის საპასუხოდ ვეტო დაადო გაეროს ძალების მანდატის გაგრძელებას მაკედონიაში, რითაც გამიზნულად ომის დაწყებას შეუწყო ხელი, გაეროს უშიშროების საბჭო კი იძულებულია დაჰყვეს ჩინეთის ნებას.

კონსენსუსის პრინციპი, როგორც ჩანს, ყოველთვის არ არის მიზანშეწონილი. ვფიქრობ, ქართველები აფხაზეთის პრობლემის მაგალითზე საკუთარ ტყავზე ვგრძნობთ გაეროს სტაგნაციას. ათობით რეზოლუცია აფხაზეთის შესახებ, ფაქტობრივად, უნაყოფოა. აფხაზმა სეპარატისტებმა კარგად იციან, ვიდრე რუსეთი ზურგს უმაგრებთ და ვიდრე მშვიდობის დამყარების იძულების მექანიზმი არ ამოქმედდება, შეუძლიათ არხეინად იყვნენ.

რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრი კი სწორედ აფხაზეთის მაგალითს იშველიებს რუსეთის მშვიდობისმოყვარე, სამართლიანი, კეთილგონიერი პოლიტიკის დასადასტურებლად. აქ, როგორც ამბობენ, კომენტარი ზედმეტია.

მართლდება ედუარდ შევარდნაძის დებულება იმის შესახებ, რომ თანამედროვე ეპოქაში მშვიდობას ძირითადად სეპარატიზმი ემუქრება, რომ ე. წ. შინაური კონფლიქტები შესაძლებელია დიდი ომის მიზეზი გახდეს, რომ საჭიროა სასწრაფოდ იქნას მიღებული ზომები მშვიდობის იძულების გზით დამყარების მექანიზმების ამოქმედებისათვის. ევროპის და აშშ შეცდომა იუგოსლავიაზე გამაფრთხილებელი თავდასხმა კი არ არის, როგორც ამას რუსეთში გაიძახიან, არამედ ის, რომ ეს თავდასხმა ხორციელდება სათანადო იურიდიული საფუძვლის გარეშე, რაც რუსეთს აძლევს საბაბს ლამის მთელი მსოფლიო (გარდა ჩინეთისა და ნამიბიისა, რომლებმაც რუსეთს დაუჭირეს მხარი უშიშროების საბჭოში) აგრესორებად გამოაცხადოს.

ვფიქრობ, ამ მძიმე საერთაშორისო კონფლიქტს, სულ მცირე, ერთი დადებითი შედეგი მაინც ექნება — გაეროს უშიშროების საბჭო დაიწყებს მშვიდობის იძულების მექანიზმის რეალიზებას.

გელა ლეჟავა.
მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი.

პარტიებსა და მოძრაობებში

საქართველოს რეფორმატორთა კავშირი არჩევნებისთვის ემზადება

საპარლამენტო არჩევნებისათვის მზადების დაწყებასთან დაკავშირებით გაიმართა რეფორმატორთა კავშირის პოლიტსაბჭოს სხდომა, რომელზეც გაწეული მუშაობის ანალიზისა და შედეგების განხილვის შემდეგ გადაწყდა კავშირის სტრუქტურული რეორგანიზაცია.

რეფორმატორთა კავშირის პოლიტიკურ მდივნად აირჩიეს პროფესორი მალხაზ ნაჭყებია, საორგანიზაციო მდივნად დოცენტი მამუკა შუბლაძე, პრესმდივნად ჟურნალისტი მედეა კვიცია.

საკითხზე „მოძრაობა „კოლხეთი — საქართველოს ერთიანობისათვის" დაფუძნება და ჩვენი ამოცანები ინფორმაცია გააკეთა კავშირის თავმჯდომარემ ბაკურ გულუამ. ისაუბრა რა დამფუძნებელ ყრილობაზე მიღებულ მთავარ დებულებებზე, მოძრაობის მიზნებსა და ამოცანებზე, ხაზგასმით აღნიშნა, საქართველოს ერთიანობისათვის დაწყებული ახალი მოძრაობის აქტუალობა ქვეყნისათვის.

რეფორმატორთა კავშირის პოლიტსაბჭოს წევრებმა: გიორგი გაჩეჩილაძემ, ამირან ქამაკაშვილმა, გურამ ლიდბარიძემ და სხვებმა მოიწონეს საქართველოს დამოუკიდებლობისა და ერთიანობისათვის დაწყებული ეს ახალი მოძრაობა და აღუთქვეს მათ ორგანიზატორებს ყოველმხრივი თანადგომა და მხარდაჭერა.

კავშირის პოლიტსაბჭომ იმსჯელა ყრილობის მოწვევის თარიღისა და დღის წესრიგის შესახებ, მოუწოდა პირველად და სამხარეო ორგანიზაციებს შეუდგნენ აქტიურ სამზადისს ამ მიმართულებით.

პოლიტსაბჭომ ერთხმად მიიღო ეს წინადადება.

რეფორმატორთა კავშირის პრესცენტრი.

ბათუმის ალიანსი შესაძლოა ოფიციალურად გაფორმდეს

„აღორძინების" კავშირი, სოციალისტური პარტია, სახალხო პარტია, ტრადიციონალისტთა კავშირი და კონსტანტინე გამსახურდიას საზოგადოება კოორდინირებულად მოქმედებენ და არ არის გამორიცხული, კოალიცია დოკუმენტურად გაფორმდეს", — უთხრა პრაიმ-ნიუსს საპარლამენტო ფრაქცია „აღორძინების" თავმჯდომარემ ჯემალ გოგიტიძემ. აღნიშნული პოლიტიკური ძალები შემოდგომაზე დანიშნულ საპარლამენტო არჩევნებში ერთად გამოვლენ თუ ცალ-ცალკე, ტექნიკური საკითხია. მთავარია, რომ მოქმედების საერთო პრინციპებზე შეთანხმება არსებობს.

ფრაქციის თავმჯდომარემ მწუხარება გამოთქვა, რომ ლეიბორისტები „ბათუმურ კონსულტაციებში" აღარ მონაწილეობენ.

გოგიტიძემ დაადასტურა ბათუმის ნავსადგურში ამ დღეებში 242 საავიაციო ბომბის დაკავების ფაქტი. არ არის გამორიცხული, რომ ეს ასაფეთქებელი მასალა ბათუმში პროვოკაციის მიზნით ჩამოიტანეს. ამ ფაქტთან დაკავშირებით აჭარაში მოკვლევა მიმდინარეობს.

გოგიტიძის თქმით, იგი პარლამენტის სხდომებს დაესწრება, მაგრამ კენჭისყრაში მონაწილეობას არ მიიღებს.

აურზაური უვარგისი ბომბების გამო

საქართველოს ტერიტორიიდან უვარგისი საბრძოლო მასალის გატანასთან დაკავშირებით კანონის დარღვევას ადგილი არ ჰქონია, — უთხრა პრაიმ-ნიუსს სახელმწიფო სამეცნიერო-ტექნიკური ცენტრის „დელტას" ხელმძღვანელმა გივი ლეკიშვილმა.

ორიოდე დღის წინათ ბათუმში აჭარის უშიშროების თანამშრომლებმა დააკავეს მანქანაში ჩატვირთული 242 საავიაციო ბომბი, რომელიც ოფიციალური დოკუმენტაციით, საქართველოს ეროვნული უშიშროების საბჭოსთან არსებულ მუდმივმოქმედ უწყებათაშორისო სამხედრო ტექნიკური კომისიის დაქვემდებარებაში მყოფ სახელმწიფო სამეცნიერო-ტექნიკურ ცენტრს ეკუთვნის.

ეს არის უვარგისი, 30-40 წლის ხნის ასაფეთქებელი მასალა, რომლის გამოყენება საბრძოლო დანიშნულებით შეუძლებელია და საჭიროა მისი უტილიზაცია, რასაც არსებული ხელშეკრულების საფუძველზე ბულგარეთის მხარე განახორციელებს.

ტვირთის გატანა ბათუმის ნავსადგურიდან ბულგარეთის ქარხანამ მოითხოვა, სადაც ბულგარეთის ბორანი უნდა შემოსულიყო.

აღნიშნულ ფაქტთან დაკავშირებით, აჭარის უშიშროების სამსახური თავიდანვე ინფორმირებული იყო. ტვირთის გატარება აჭარის ტერიტორიაზე ბათუმის ნავსადგურამდე უპრობლემოდ მოხდა. აჭარის უშიშროების სამსახურმა ტვირთი მას შემდეგ დააკავა, როცა ბულგარეთის ბორანმა ორი დღით დაიგვიანა.

გივი ლეკიშვილის ვარაუდით, საავიაციო ბომბები აჭარის უშიშროების სამსახურმა რუსეთის ერთ-ერთ სამხედრო ბაზაზე განათავსა.

საქართველო — თამბაქოს გარეშე

29 მარტს უკვე მეოთხედ აღინიშნა თამბაქოს წევის საწინააღმდეგო დღე „საქართველო — თამბაქოს გარეშე". ჯანდაცვის მინისტრმა ავთანდილ ჯორბენაძემ გამართა პრესკონფერენცია, რომელზეც კიდევ ერთხელ დააფიქსირა სამინისტროს შეურიგებელი პოზიცია თამბაქოს წევისადმი. მწეველთა რაოდენობის მხრივ ქვეყანაში შეიქმნა კატასტროფული სიტუაცია. მწეველთა ზრდის ტენდენცია მყარია, შეიმჩნევა არასრულწლოვანთა შორის თამბაქოს მომხმარებელთა ძალიან სწრაფი ზრდა.

საქართველოს ვაჟების 48 და გოგონების 22 პროცენტი თამბაქოს მომხმარებელია. მძიმე მდგომარეობაა შექმნილი თბილისში, სადაც ზოგიერთ სკოლაში 14-16 წლის მოზარდებს შორის 84 პროცენტი მწეველია, ასეთივე სურათი გამოიკვეთა ბათუმში, ქუთაისსა და სხვა დიდ ქალაქებში.

განსაკუთრებით საგანგაშოა, რომ თბილისში 17-25 წლის ორსულ ქალებს შორის 28 პროცენტი თამბაქოს მომხმარებელია, ამავე ასაკის მეძუძურ ქალებს შორის 35 პროცენტამდე.

თამბაქოს წევის საწინააღმდეგო ეროვნული ცენტრის დირექტორმა გელა კობეშავიძემ ჟურნალისტებს უამბო ცენტრის მიზნებსა და ამოცანებზე. ამის თაობაზე დაწვრილებითი მასალა ჩვენს გაზეთში გამოქვეყნდება.

ინფორმაციები მოგვაწოდეს: პრაიმ-ნიუსმა და ჩვენმა კორესპონდენტმა.

პატიოსანი ბიზნესისთვის

ლომი ნახტომისთვის ემზადება

ალბათ, მხოლოდ ღმერთმა იცის, რამდენი პარტია, საზოგადოებრივი ორგანიზაცია, მოძრაობა და გაერთიანება მოქმედებს დღეს საქართველოში, უკვე რეგისტრირებული თუ სარეგისტრაციოდ გამზადებული.

ასევე, ალბათ, მხოლოდ ღმერთმა იცის, რა მიზანს ისახავს თითოეული მათგანი, ან უფრო სწორედ, მართლა რაიმე მიზანს ისახავს თუ მთელი ეს ფუსფუსი ოდენ მავანთა ამბიციის (ჰა, „პარტიის" თავმჯდომარე, რაღაცის პრეზიდენტია!) [illegible] ან სახრავ-სახარის [illegible] ნიღაბია.

ერთი სიტყვით, დღეს ხალხი რომ ირონიული ღიმილით, ან სულაც ხელჩაქნევით ხვდება ყოველი ახალი „მხსნელი" პოლიტიკური თუ საზოგადოებრივი საპიპინოს მოვლინებას, ცხადზე უცხადესია.

ამ მღვრიე ნიაღვარში ობოლ [illegible] მოწანწკარებს ჭეშმარიტად ღირებული და დაფუძნებული. ამას წინათ ერთ-ერთი მათგანის გაცნობა მომიხდა.

მოქალაქეთა საზოგადოებრივი გაერთიანება „გადასახადის გადამხდელთა უფლებების დაცვის კავშირი" 1996 წელს შეიქმნა. შარშან ხელახალი რეგისტრაცია გაიარა.

ეს, ფაქტობრივად, მისი ხელახალი დაფუძნება იყო.

გამგეობის თავმჯდომარედ ნიკო ლეკიშვილია არჩეული, ცნობილი პოლიტიკური მოღვაწე, ვის სახელმწიფო მინისტრის პოსტიდან ნებაყოფლობით წასვლასაც [illegible] გადლა მოჰყვა შარშან [illegible] ქვეყნის ფაქტობრივად მესამე პირი თავისით გადადგა, თავისით, კაცო!").

ამ კავშირის საქმიანობის ძირითადი მიზანი და ამოცანაა გადასახადის გადამხდელთა ინტერესების დაცვა, საზოგადოებრივი კონტროლის ქმედითი მექანიზმების ჩამოყალიბება გადამხდელთა უსისტემო და არაობიექტური შემოწმების თავიდან ასაცილებლად, ბიზნესისა და მეწარმეობის განვითარების ხელის შეწყობა.

და კიდევ: მონაწილეობა საგადასახადო პოლიტიკისა და გადასახადების სისტემის ძირითადი მიმართულების განსაზღვრაში და ახალი საკანონმდებლო პროექტების მომზადებაში, კონსტრუქციული თანამშრომლობის დამყარება ხელისუფლებასა და გადამხდელთა შორის, თანამშრომლობა მრეწველთა, ბიზნესმენთა ორგანიზაციებთან, საერთაშორისო-საფინანსო ინსტიტუტებთან, წინადადებებისა და მოსაზრებათა მომზადება პარლამენტის, მთავრობისა და პრეზიდენტისათვის.

ერთი სიტყვით, მისი მიზანია ყველა იმ საკითხის მოწესრიგება, რომლებიც გადამხდელთა ინტერესებიდან გამომდინარეობს.

ეს რომ შეასრულოს, კავშირმა გადამხდელთა ფართო ფენა უნდა მოიცვას ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე. დღესდღეობით მისი ძალისხმევის დიდი ნაწილი ამისკენ არის მიმართული. შექმნილია თითქმის ყველა სამხარეო ორგანიზაცია, უკვე კავშირის წევრია 956 ორგანიზაცია, რომლებიც 60 ათასამდე ადამიანს აერთიანებს.

19 მარტს გადასახადების გადამხდელთა უფლებების დაცვის კავშირის სამცხე-ჯავახეთის სამხარეო ორგანიზაცია დაფუძნდა. დამფუძნებელ კონფერენციაში მონაწილეობის მისაღებად ახალციხეს კავშირის გამგეობის წევრები ესტუმრნენ. ისინი ხელცარიელი არ ჩასულან...

იმ დღეს მეორედ მოსვლას რომ იტყვიან, სწორედ ის იყო ახალციხის საავადმყოფოში: ზღვა ხალხი ირეოდა, დერეფნებში ნემსი არ ჩავარდებოდა. საკაცებითაც მოეყვანათ სნეულნი ახლოდან თუ შორეულ სოფლებიდან.

თბილისის ულტრასაინფორმაციო ცენტრი (ხელმძღვანელი — პროფესორი დავით ტატიშვილი) ამ ერთი თვის წინათ გაერთიანდა გადასახადის გადამხდელთა უფლებების დაცვის კავშირში და უკვე ორჯერ მიიღო მონაწილეობა მის ჰუმანურ ღონისძიებებში: ამ ცოტა ხნის წინათ ფოთში, ამჯერად კი ახალციხეში ჩაიყვანა ექიმთა ბრიგადა.

თითქმის ორიათასმა კაცმა გაიარა იმ დღეს თბილისიდან ჩასულ ყველა სამედიცინო დარგის ცნობილ სპეციალისტთა ხელში. თბილისში თვიანთი საქმეები გადადეს (მათ შორის ოპერაციები) და ახალციხელ სოციალურად დაუცველ ადამიანებს დაეხმარნენ ისეთი გამოჩენილი, უმაღლესი რეგალიების მფლობელი მკურნალები, როგორებიც არიან ბაადურ მოსიძე, მერაბ ბოხუა, იკა კუზანოვი, ვასილ ჩაჩიბაია, ელენე გიორგაძე, ჭია ნატრიაშვილი და სხვები. მათ თან სამედიცინო აპარატურაც ჩამოიყოლეს (ოთხი ცალი მარტო ექოსკოპი).

27 ექიმის ხელში, როგორც ვთქვი, 2000-მდე ადამიანმა გაიარა. მათი უმეტესობა ის ხალხი იყო, ვინც, უსახსრობის გამო, თითქმის ათწლეულია ექიმთან არ მისულა. და აი, ახლა საშუალება მიეცათ უფასოდ გასინჯულიყვნენ, მიეღოთ აღიარებულ სპეციალისტთა კონსულტაცია. უსაზღვრო იყო მათი მადლიერება ექიმთა და ამ ღონისძიების ორგანიზატორთა მიმართ.

ცენტრის ხელმძღვანელმა პროფესორმა დავით ტატიშვილმა ჟურნალისტებს განუცხადა, მედიცინას დღეს დახმარება სჭირდება, მას, უპირველეს ყოვლისა, საქმიანმა ადამიანებმა უნდა დაუჭირონ მხარი; მედიცინა ვერ განვითარდება ინვესტიციების გარეშე, განსაკუთრებით შიდა ინვესტიციების, ადგილობრივი საქმიანი ადამიანების დაინტერესების გარეშე. და ამაში ცენტრს უთუოდ წაადგება გადამხდელთა კავშირი.

იმ დღეს კავშირმა სხვა ქველმოქმედებაც ჩაიდინა: 5000-5000 ლარი მისწირა 130 წლის მესხეთის თეატრს და თამარ მეფის ძეგლის ფონდს (ეს ძეგლი მხარის გუბერნატორის გიგლა ბარამიძის დიდი მონდომებითა და მოსახლეობის შემოწირულებით, 14 მაისს — თამარის ხსენების დღეს აღიმართება ახალციხეში).

სამხარეო ადმინისტრაციის სხდომათა დარბაზში გამართულ გადასახადის გადამხდელთა უფლებების დაცვის კავშირის რეგიონული ორგანიზაციის დამფუძნებელ კონფერენციას ესწრებოდნენ მხარეში შემავალი ექვსივე რაიონის საზოგადოებრიობის წარმომადგენლები, ბიზნესმენები.

მხარეში კავშირის მოღვაწეობის პერსპექტივებზე მოსაზრებები გამოთქვეს სამცხე-ჯავახეთის გუბერნატორმა გიგლა ბარამიძემ, ადგილობრივმა და სტუმარმა მეწარმეებმა ზურაბ ხუციშვილმა, მერაბ ლონდაძემ, იაკოვ გამყრელიძემ, ალექსანდრე გოცირიძემ, ასპინძის, ახალქალაქის, ნინოწმინდის გამგებლებმა ემზარ აბაშიძემ, გენრიხ მურადიანმა, რაფიკ არზუმანიანმა და სხვ.

კავშირის გამგეობის თავმჯდომარემ ნიკო ლეკიშვილმა განაცხადა, რომ მათი საზოგადოებრივი გაერთიანება არ გარდაიქმნება პოლიტიკურ ორგანიზაციად. ამასთან, კავშირი, მართალია, არ გამორიცხავს არც ერთი პოლიტიკური გაერთიანების ინტერესს, მაგრამ არჩევნების დროს დააფიქსირებს თავის პოზიციას მმართველი პარტიის ხელისუფლების, პრეზიდენტის მიმართ. ჩვენ მხარს ვუჭერთ ბატონ ედუარდ შევარდნაძის პოლიტიკურ კურსს, რადგან მიგვაჩნია, რომ ეს კურსი სწორი და მართებულია, — ხაზი გაუსვა მან. კავშირი თანამშრომლობს ხელისუფლებასთან, გვინდა ხელისუფლებაში მომრავლდეს ჩვენი ხალხი, ვინც დაიცავს გადასახადის გადამხდელს. პატიოსანი ბიზნესმენები საიმედო ადამიანები არიან, საქართველოს უბედურებამ მათს მხრებზე გადაიარა. კავშირი იბრძოლებს ფალსიფიკაციისა და კონტრაბანდის წინააღმდეგ. დღეს ღვინის მრეწველობის პროდუქციის 70 პროცენტი და მინერალური წყლებისა და ლიმონათის 80 პროცენტი ფალსიფიცირებულია, რაც დიდ ზარალს აყენებს ბიუჯეტს, პატიოსანი ბიზნესის განვითარებას, მოსახლეობის ჯანმრთელობას, ტექნოლოგიებს. ფალსიფიკაციისა და კონტრაბანდის პრობლემა რომ გადაიჭრას, ბიუჯეტი დამატებით 200 მილიონ ლარს მიიღებს. პრეზიდენტს ვთხოვთ, სამთავრობო სხდომა მიუძღვნას ფალსიფიკაციის საკითხს, ალბათ, კანონმდებლობაშიც შევა ცვლილება ამ მხრივ, კანონი გამკაცრდება ყალბისმქმნელობის მიმართ, — თქვა კავშირის გამგეობის თავმჯდომარემ. ჩვენ მოწოდებული ვართ დავეხმაროთ ნებისმიერ მეწარმეს. ახლა, მაგალითად, ვქმნით მცირე ბიზნესის განვითარების ფონდს, ოღონდ ეს მხარდაჭერა და დახმარება ცივილიზებული ურთიერთობის დონეზე უნდა მოხდეს; ყველამ უნდა გადაიხადოს ის გადასახადი, რის გადახდაც ბიუჯეტის სასარგებლოდ ეკუთვნის. ჩვენს კავშირში გაერთიანებულია ყველა სერიოზული ბიზნესმენი, ყველა სერიოზული ფირმა და ორგანიზაცია, — განაცხადა დასასრულ ბატონმა ნიკომ.

აირჩიეს გადასახადის გადამხდელთა უფლებების დაცვის კავშირის სამცხე-ჯავახეთის რეგიონული ორგანიზაციის საბჭო. საბჭოს თავმჯდომარედ არჩეულია ახალციხელი ბიზნესმენი ვახტანგ გელაშვილი.

ამრიგად, ამ სერიოზულ საზოგადოებრივ გაერთიანებას, რომელსაც ერთობ ანგარიშგასაწევი მიზნები და ამოცანები დაუსახავს საქართველოს ეკონომიკის აღორძინებისათვის, კიდევ ერთი რგოლი შეემატა. იგი მტკიცდება, ძლიერდება.

კავშირის ემბლემაზე ლომია და ლომი ნახტომისათვის ემზადება.

ალიკო ასლანიშვილი.

P.S. სანამ ეს წერილი დაიბეჭდებოდა, გადამხდელთა კავშირმა გორში შიდა ქართლის რეგიონული ორგანიზაცია დააფუძნა. ახლა მას მხოლოდ გურიაში, კახეთსა და თბილისის ზოგიერთ რაიონში დარჩა ასათვისებელი „თეთრი ლაქები".

ა. ა.

საქართველოს რესპუბლიკა
№83. სამშაბათი, 30 მარტი, 1999 წელი.

ნარკვევი

ჩვენს ქვევით მიწაა

„ისე აფრქვევდა რწმენას, როგორც ნათურა – სინათლეს".
სენტ-ეკზიუპერი.

თაქარა ზაფხულის დღეები იდგა და სოფლის ბიჭები დილიდანვე ბერმოულაზე გარბოდნენ საბანაოდ. სამხრობაზე მდინარეზე ნახირს მოლალავდნენ, კამეჩებს წყალში შეურიდნენ, თავადაც შეჰყვებოდნენ, და იყო ერთი კიჟინა, დგაფუნი და წყალში ყურყუმალობა.

იმ დღეს შედღელეთელი ბიჭებიც კარგად გაგრილებულიყვნენ, ახლა წყლიდან ამოსულიყვნენ და მზეზე იმშრალებდნენ ტანს.

შორს, გზაზე, მტვრის ბუღი ავარდა. საბარგო ავტომანქანა გამოჩნდა. საურმე გზა მდინარეს მიუყვებოდა და მანქანამ რომ ჩამოიარა, ბავშვებმა ძარაზე ნაცნობ სახეებს მოჰკრეს თვალი. ზემოსოფლელები იყვნენ. ომში მიდიოდნენ სოფლელები.

– თქვენ იცით, სოფელს უპატრონეთ!

– სკოლაში იარეთ!

– არ გააბეზროთ უფროსები!

შედღელეთელი ვანო სამადალაშვილის ბავშვობაც იმ დღეს დამთავრდა. სახლში რომ მივიდა, უმცროსიც ის იყო და უფროსიც. ერთბაშად ორი თუ სამი ფრონტზე წასულის ქაღალდი მოსულიყო და ბიძებიც ჯარში წასასვლელად ემზადებოდნენ.

ამბობენ, ომი ბავშვობის ხანას ამოკლებს და შენც ისღა დაგრჩენია, ეს ასაკი სწრაფად გაირბინო. უნდა ყველაფერი მოასწრო – უთენია წამოხტე, ცხვარ-ძროხა დაარწყულო, სკოლაში წახვიდე, გაკვეთილები მოამზადო, სიმინდი გათოხნო, ბაღში ფესვებგამომშრალ ხეხილს წყალი მიუგდო და, თუ დრო დაგრჩა, ლობის ძირში, კაკლის ქვეშ წამოწვე, ხელები თავქვეშ ამოიდო და ლურჯ ცას მიაპყრო მზერა.

იმ წლებში მარტო ვანობიჭი არ იყო, ვინც ცაში ეძებდა პასუხს კითხვაზე – ვინ მინდა ვიყო.

ჭაბუკები და ქალიშვილები მასობრივად ამურებდნენ საავიაციო სასწავლებლებსა და პილოტთა სკოლებს, წევრიანდებოდნენ საფრენოსნო კლუბებში. ერთგვარად პროზაული ლოზუნგიც – „ყველაზე შორს, ყველაზე მაღლა, ყველაზე სწრაფად!" – ისეთი რომანტიკული ელფერებით იყო დაფერილი ახალგაზრდა თაობის გონებასა და გულებში, რომ უკანა პლანზე სწევდა ყველა მიწიერ გრძნობასა და გატაცებას. აქ მღეროდნენ კიდევაც „თვითმფრინავი უპირველეს ყოვლისა, გოგონები? – გოგონები მერე".

ეს გატაცება ავიაცია იყო.

ვანო სამადალაშვილსაც, თავისი ეპოქისა და ქვეყნის ღვიძლ შვილს, იკაროსივით ცისკენ მიუწევდა გული. ხელისუფლება დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა ავიაციის განვითარებას. შენდებოდა ქარხნები, იქმნებოდა საკონსტრუქტორო ბიუროები, გამოსაცდელ საფრენ ბილიკებზე უახლესი ტიპის თვითმფრინავები გაჰქონდათ.

წილი ნაყარი იყო: ჩვიდმეტი წლის ვანო სამადალაშვილმა საბჭოთა არმიის რიგებში მოხალისედ შესვლის თაობაზე განცხადება დაწერა. საავიაციო სკოლაში მიუწევდა გული. ერთხელ კიდევაც თქვა: ერთი სული მქონდა, როდის დავამთავრებდი სკოლას რომ ფრონტზე წავსულიყავიო. იქ კი ამ დროს უფროსი თაობის გორელი სამხედრო მფრინავები იბრძოდნენ. სამმა მათგანმა – ავიაციის გენერალ-ლეიტენანტმა ვლადიმერ ნანეიშვილმა (საქართველოს პირველმა საბჭოთა კავშირის გმირმა), პოლკოვნიკებმა ნიკოლოზ იუფეროვმა და ბაგრატ შემბელიძემ მკერდი გმირის ოქროს ვარსკვლავით დაიმშვენეს.

გმირის ვარსკვლავამდე ჯერ ისევ შორს იყო, როგორც იმ ვარსკვლავებამდე, თავზე რომ დაჰნათოდა ყმაწვილს ზამთრის ყინვიან ღამეში „უ-2"-ზე ფრენის დროს. თეორიული მომზადება, პარაშუტით ხტომები, პრაქტიკული მეცადინეობები სასწავლო თვითმფრინავზე. ბოლოს, ეს იყო 1944 წელს, ავიაკურსანტებმა გამოსაშვები გამოცდები ალხტაფის ცაში „ჩააბარეს". პირველ დღეს საგამოცდო ფრენა განხორციელდა, მეორე დღეს პარაშუტით გადმოხტა და სკოლის ვეებერთელა საფრენ მინდორზე ცარცით საგანგებოდ შემოხაზულ წრეში დაეშვა.

გამოცდები ჩაბარებულია, საავიაციო სკოლის დამთავრების მოწმობა ჯიბეში უდევს. რაღა უშლის ხელს იმას, რომ გერმანულ „მესერშმიდტებზე" გულდაგულ იერიში მიიტანოს?! მაგრამ მოხდა მოულოდნელი: საფრონტედ გაბაზირებული საავიაციო სკოლის გამოშვება... ზურგში დატოვეს.

– წითელი არმია მტერს დასავლეთისაკენ, თავისი ბუნაგისაკენ მიერეკება, – უთხრეს მათ, – დაბა-ქალაქები, ქარხანა-ფაბრიკები, შახტები და რკინიგზები დანგრეული და გაძარცულია. მთავრობის დადგენილებით ყველაფერი უნდა აღდგეს და აღორძინდეს, ქვეყანამ ჭრილობები უნდა მოიშუშოს. თქვენი ნიჭი და აქ მიღებული ცოდნა მშვიდობასა და აღმშენებლობას უნდა მოახმაროთ.

ასე დაიწყო ვანო სამადალაშვილის შრომითი საქმიანობა ავიაციაში. ჯერ სასოფლო-სამეურნეო ავიაციის სპეციალურ რაზმში ჩარიცხეს და ვანოც თავისი თვითმფრინავით ხან საქართველოს, ხან სომხეთის, ხანაც აზერბაიჯანის სასოფლო რაიონების ათასობით ჰექტარზე გადაჭიმულ ზვრებს, ხორბლის ნათესებს, ხილის ბაღებს დასტრიალებდა თავს, ფართობებში შეჰქონდა მინერალური სასუქები, სხვადასხვა დანიშნულების მსაწამლი ხსნარები.

1949 წელს, 23 წლის ახალგაზრდამ, ზედიზედ აითვისა სატრანსპორტო სამგზავრო თვითმფრინავები და „პო-2"-დან და „ლი-2"-დან „ილ-12"-ზე და „ილ-14"-ზე გადაჯდა. იმ დროს „ილ"-ები თვითმფრინავმშენებლობაში ახალი სიტყვა იყო და ივანე სამადალაშვილმაც თავისი სიტყვა თქვა ამ ახალი მანქანების „მოთვინიერებაში". არცერთი საგანგებო შემთხვევა, არცერთი კრიტიკული სიტუაცია – უავარიოდ მილიონი კილომეტრი იფრინა და პირველი „მილიონერიც" გახდა.



გულღია და ხალისიანი ახალგაზრდა ავიარაზმის სული და გული იყო. ავიატორის საერთოდ და, კერძოდ, მფრინავის პროფესიული დაოსტატების საფუძვლები ვისთვის მხოლოდ თვითმფრინავის ტრაპია, ვისთვის – ცას მიდგმულ უხილავ კიბეებზე მუდმივი აღმასვლის პროცესი. 1952 წელს, 26 წლის ივანე სამადალაშვილი უკვე იმ სამგზავრო საჰაერო ხომალდის მეთაურია, რომელიც თბილისი-მოსკოვის ავიახაზზე დაფრინავს.

სწორედ იმ ხანებში მკვიდრდება ავიაციაში რეაქტიული ტექნიკა. ვანო სამადალაშვილი – ეს მისი ხასიათია! – სწრაფად იღებს გადაწყვეტილებას. 1956 წელს იგი წარმატებით გადის ტუ-104 ტიპის თვითმფრინავის შესწავლის თეორიულ კურსს, მომდევნო წელს კი სამოქალაქო საჰაერო ფლოტის საფრენოსნო-საწვრთნელ ცენტრში ტუ-104 ტიპის თვითმფრინავის ექსპლუატაციის სრულ კურსს „ხომალდის მეთაურის" სპეციალობით.

ივანე სამადალაშვილის სახელზე სასწავლო ცენტრის მიერ გაცემულ მოწმობაში – ასეთი აკადემიური შეფასებებია: თვითმფრინავ ტუ-104-ის კონსტრუქცია – „ფრიადი", თვითმფრინავის მართვის თავისებურებანი – „ფრიადი", ავიაძრავის კონსტრუქცია – „ფრიადი", თვითმფრინავის სპეციალური მოწყობილობა – „ფრიადი".

– სასწავლო-საწვრთნელი ცენტრის უფროსი მილაშკინი ასეთი გულუხვი არავის მიმართ არ ყოფილა, – იკვირვებდნენ ცენტრის კურსანტები.

მეტიც. სწორედ მილაშკინმა შესთავაზა ვანოს რამდენიმე ხნით დარჩენილიყო სასწავლო-საწვრთნელ ცენტრში და როგორც საფრენოსნო საქმის მფრინავ-ინსტრუქტორს, მონაწილეობა მიეღო ტუ-104-ის საჰაერო ხომალდის მეთაურებისა და ეკიპაჟების მომზადებაში...

სასწავლო-საწვრთნელ ცენტრში ვანომ ჩეხოსლოვაკიელი და უკრაინელი ტუ-104-ის ხომალდის მეთაურების რამდენიმე გამოშვებას უხელმძღვანელა. შემდეგ კვლავ საქართველოს სამოქალაქო ავიაციას დაუბრუნდა და თბილისის ავიასატრანსპორტო კოლექტივში რეაქტიული თვითმფრინავების ქვედანაყოფი ჩამოყალიბდა თუ არა, სათავეში ჩაუდგა საქართველოს ავიაციისათვის ხომალდის მეთაურების მომზადების საქმეს. პილოტირების უნივერსალობამდე აყვანილი ტექნიკა, თვითმფრინავის ექსპლუატაციის ჩინებული ცოდნა, უმდიდრესი პროფესიული გამოცდილება შეერთებული ისეთ პიროვნულ თვისებებთან, როგორიცაა მომთხოვნელობა და პასუხისმგებლობა, ივანე სამადალაშვილს აქცევდა საავიაციო საქმის ნიჭიერ ორგანიზატორად, ახალგაზრდების დამრიგებლად.

მოგვიანებით მან სამოქალაქო ავიაციის აკადემიაც დაამთავრა.

* * *

– დედაჩემო, მოსკოვიდან უკან რომ მოვფრინავდით, როსტოვის თავზე ისეთ ქარიშხალში მოვხვდით, ჩვენს თვითმფრინავს ჰაერში ნაფოტივით ათამაშებდა, ხან იქით მიგვაგდებდა, ხან – აქეთ. ეკიპაჟში ტალიკ-ტალიკა ბიჭები მყავს – არავითარი პანიკა, არავითარი შიში – თავის საქმეს მშვიდად და აუღელვებლად ასრულებენ. კავკასიონზე ათი ათას მეტრ სიმაღლეზე გადმოვიფრინეთ. გადმოვიფრინეთ და გაბრდღვიალდა მთელი ქვეყანა – დარიალის ხეობა და საქართველოს სამხედრო გზა მზის სხივებში გახვეულიყო. ცა იყო, შენ რომ გიყვარს, ისეთი ცისფერი. ჩვენს ქვევით მდელოები და მინდვრები გაზაფხულს ნაირფერი ყვავილებით მოექარგა. ვინატრე, ნეტავ ახლა ეს ყვავილები დამაკრეფინა, დედაჩემს წაველო-მეთქი.

სანდომიანი შესახედაობის მოხუცი ქალი თბილისის ერთ-ერთი მრავალსართულიანი სახლის გემოვნებით გაწყობილ ოთახში ფანჯარასთან ზის და ყურადღებით უსმენს თავის ლომივით ვაჟკაცს.

– ათი ათას მეტრზე, ამბობ? – ცას გახედავს, ჩაფიქრდება, ეტყობა, გონებაში ცდილობს წარმოიდგინოს ეს თვალშეუდგამი სიმაღლე. – ბუნებას ნუ გაუთამამდები, შვილო, ის მეტია ადამიანზე.

ფრანგი მფრინავი, კაპიტანი გიომე, მისმა მეგობარმა მფრინავმა და მწერალმა „ადამიანთა მიწაში" უკვდავყო. დასანანია, რომ ვანო სამადალაშვილს თავისი ეკზიუპერი არ ჰყავდა, თორემ იგი სიტყვა „მიზიდულებას" აუცილებლად მოუძებნიდა ქართველი მფრინავის დასახასიათებლად. რადგან, როგორც გვიამბობენ, ვანო სამადალაშვილი მუდმივად ქმნიდა თავის ირგვლივ უშველებელი მიზიდულების ველს და ამ ველში თუნდაც ერთხელ მოხვედრილთ კიდევ და კიდევ უნდებოდათ სურვილი მის თვალსაწიერში ყოფილიყვნენ, მის გვერდით ეგრძნოთ, რეისში მასთან ერთად გაფრენილიყვნენ.

თვითმფრინავი ვისთვის ბოლომდე შეუცნობელი იდუმალებაა, ვისთვის სულაც უზარმაზარი ფოლადის ფრინველია, რომელიც, მართალია, ვერც ხედავს, არც სმენა აქვს და არც მეტყველებს, სამაგიეროდ ყოველივეს ზუსტად გრძნობს, ვის უპყრია მისი საჭე – დამწყებია თუ გამოცდილი პროფესიონალი, ავიაცია მისთვის მოწოდებაა თუ ჩვეულებრივი სამსახურის ადგილი. მაგრამ იმ ხელებს, ვისაც თავიანთი სიცოცხლე ჩააბარეს სალონში მსხდომმა მგზავრებმა (ტყუილად რომ იკრავენ ახლა უსაფრთხოების ქამრებს), მაშინვე გაუვლით მსუბუქი მღელვარება, როცა თვითმფრინავი ჰაერში აიჭრება და სტიუარდესა, ზეციდან ჩამოსული ანგელოზის ღიმილით წეღან რომ გვერდით ჩაგვიარათ, რადიოთი გამოაცხადებს:

– რეისს ასრულებს საქართველოს სამოქალაქო ავიაციის ავიატორთა ბრიგადა. ხომალდის მეთაურია პირველი კლასის მფრინავი ივანე სამადალაშვილი!

და თქვენ უკვე მთლიანად იწონებთ იმ აზრს, რომ თვითმფრინავი სივრცეში გადაადგილების საუკეთესო საშუალებაა. თქვენ მიფრინავთ მაღალი, თოვლით დაფარული მწვერვალების თავზე, თქვენს ქვევით კი მიწაა – მდინარეები, ტყეები, მინდვრები, დაბა-სოფლები, გზები და საერთოდ, ყველაფერი ის, რასაც ქვეყანა, ადამიანები, ცხოვრება ჰქვია.

* * *

– საოცარი სიზმარი ვნახე, დედა. ვერც კი მოვასწარი მეთქვა შენთვის ამ დილით, ისე მაგვიანდებოდა. ახლა კი გიამბობ: ღამის რეისით მოვფრინავდი. ცა ვარსკვლავებით იყო მოჭედილი. უცებ ერთი ვარსკვლავი მოწყდა, წამოვიდა ქვევით და რას ვხედავ: მთელი კაბინა განათდა. დავიხედე და ის ვარსკვლავი აგერ, მკერდზე არ მიბრწყინავს?! რას უნდა ნიშნავდეს ნეტავ?

გარეთ თუმცა მოწმენდილი ამინდია და გვარიანადაც ცხელა, ვანო მხრებზე ლაბადამოგდებული დედის წინ დგას და ღიმილის შეკავებას ცდილობს – ჭინკები დახტუნაობენ თვალებში.

დედა ყურადღებით უსმენს, მერე ფანჯარაში გაიხედავს და წყნარად ჩაილაპარაკებს:

– კარგი სიზმარია, შვილო, ღმერთმა ბედნიერად აგიხდინოს.

ამ სიტყვებზე ვანო მხრებიდან ლაბადას მოიძრობს და გმირის ოქროს ვარსკვლავი კოსტუმზე თვალისმომჭრელად აელვარდება. არის ერთი ყიჟინა, კოცნა და სიხარულის შეძახილები სამადალაშვილების ოჯახში. რა თქმა უნდა, ოჯახის წევრებმა ყველაფერი იცოდნენ. ჯერჯერობით ბებოს არ უმხელდნენ მხოლოდ. გაზეთები აჭრელებულია ივანე სამადალაშვილისათვის სოციალისტური შრომის გმირის წოდების მინიჭების ცნობით. ოქროს ვარსკვლავი დღეს ვანოს მთავრობის სახლში საზეიმო ვითარებაში გადასცეს. იქიდან კი ყველა გზა დედასთან მიდის, უნდა ახაროს – აი, რა ოქროს ბიჭი გაუზრდია!

ხვალ კი კვლავ მისი ცხოვრების მთავარი საქმე – აეროპორტი, თვითმფრინავი, ახალ საჰაერო ტრასებზე ახალი ეკიპაჟების დაკომპლექტება, საქართველოს სამოქალაქო ავიაციის სამმართველო, სადაც იგი მალე სამმართველოს უფროსად გადაიყვანეს. სამუშაო რთულია და მძიმე, მაგრამ ნაცნობი, წლების მანძილზე გათავისებული და შესისხლხორცებული. რა შეიძლება იყოს ავიატორისათვის უფრო საინტერესო, ვიდრე ახალ სამგზავრო თვითმფრინავებზე, ახალი ავიახაზების გაყვანაზე, ახალგაზრდა კადრების სწავლებასა და დაოსტატებაზე ზრუნვაა?!

სახელმწიფოს სხვა ჯილდოებიც მრავლად ჰქონდა მიღებული, მაგრამ გმირის ოქროს ვარსკვლავმა თითქოს შეაჯამა ავიაციაში ვანო სამადალაშვილის ლამის ოცდახუთწლიანი შრომა. იგი იყო პილოტი-ინსტრუქტორი, პირველი კლასის მფრინავი, აეროფლოტის წარჩინებული, სსრ კავშირის დამსახურებული მფრინავი, მაგრამ ვანო განსაკუთრებით თავისი „მილიონებით" ამაყობდა. ყოველი უავარიო მილიონი კილომეტრის ფრენის შემდეგ მფრინავებს სპეციალური სამკერდე ნიშნით აჯილდოებდნენ. ვანო სამადალაშვილს ოთხი ასეთი ნიშანი ჰქონდა მიღებული – ოთხი მილიონი კილომეტრი უავარიო ფრენა!

* * *

არც ოჯახის მზრუნველობა აკლდა, არც ნაცნობ-მეგობრების ყურადღება, სამსახურშიც უყვარდათ და აფასებდნენ, თავადაც უშურველად გასცემდა სითბოს – ყველა ქომაგობდა და შემწეობდა. ეგ იყო მხოლოდ – ბოლო ხანებში გული უფროდაუფრო შეახსენებდა თავს – მეც მომხედეო.

საქმის გულისთვის რომ ყველაფერს გაიღებდა, საკუთარი გულისთვის ვერ იცლიდა.

ცხოვრება ხან ტკბილი, ხან მწარე, თავისი კალაპოტით მიედინებოდა... მტრისას, მისი გამოცანა!

შინ, ფანჯარასთან, უკვე კარგა ხანია, სკამი ცარიელი იდგა, რაფაზე ყვავილებით ლარნაკს თუ შემოდებდნენ ხოლმე.

სიცოცხლის ბოლოს „აეროფლოტის" წარმომადგენლად გაგზავნეს ბულგარეთში.

სიკვდილიც უცხო ქვეყანაში მოიწია 58 წლის ვანო სამადალაშვილს.

ამბობენ, იმ დღეს სოფიას თავზე ჩამოსტიროდა. ქალაქში ისეთი დელგმა და ღვარცოფი მოვარდა, ქვეყნის მთავარ აეროპორტში ორი დღე თვითმფრინავი არ დაფრენილაო.

სიკვდილამდე ერთი წლით ადრე ვანო სამადალაშვილს ვარნაში, სანატორიუმ „თბილისში" შევხვდი. ჩემი მეგობარი, თბილისის სატრანსპორტო გაერთიანების გენერალური დირექტორი რობერტ ნიკურაძე და მე ნომერში ვესტუმრეთ. ხელდახელ გააწყო სუფრა – დანიური ლუდი, ბულგარული კონიაკი, ყავა, ნამცხვარი. დიდხანს ვუსხედით მაგიდას, ვსაუბრობდით, ხან რას ვიხსენებდით, ხან ვის ვიგონებდით. ამ სულით ძლიერ და ფიზიკურად სრულყოფილ ორ ვაჟკაცს, თითოეულს რომ ათას კაცში გამოარჩევდი, ორივეს გული აწუხებდა და „მიაპარვით" წრუპავდნენ სასმელს. ბოლოს ვანომ თამამი დოზით ჩამოასხა კონიაკი ჭიქებში და სიცილით თქვა: მოდი, გულიან ხალხს გაუმარჯოს.

ორი წელიც არ გავიდა იმ შეხვედრიდან და ორივენი ამ ქვეყნიდან ერთიმეორის მიყოლებით წავიდნენ.

* * *

პატივით მიაბარეს მიწას საბურთალოს საზოგადო მოღვაწეთა პანთეონში ივანე სამადალაშვილის ნეშტი.

ნეკროლოგში, რომელსაც ხელს აწერდნენ რესპუბლიკის ხელმძღვანელები, მაღალი შეფასება ჰქონდა მიცემული ივანე სამადალაშვილის ღვაწლს საქართველოში სამოქალაქო ავიაციის განვითარებაში, მის აქტიურ მონაწილეობას ქვეყნის პოლიტიკურ და საზოგადოებრივ ცხოვრებაში.

„სამშობლოს ერთგული შვილის, გულისხმიერი მეგობრისა და ამხანაგის ნათელი ხსოვნა სამუდამოდ დარჩება ჩვენს გულში". ეს სიტყვები ნეკროლოგიდანაა.

სულ მალე ივანე სამადალაშვილის გარდაცვალებიდან 15 წელი შესრულდება.

ჩვენი მიწის გამოჩენილი შვილის ხსოვნას დავიწყების მტვერი არ უნდა წაეყაროს.

* * *

შვილები, შვილიშვილები, სიძე-რძლები, ახლობლები, ყველა ეს ნაყოფით დახუნძლული სამადალაშვილების სიცოცხლის ხეა, დატოტვილი და დაფესვიანებული.

დღეს თბილისში ცხოვრობენ და საქმიანობენ ვანოს მონაგარი, მისი სისხლი და ხორცი – ექიმები, მასწავლებლები, აგრონომები, ინჟინრები, სტუდენტები...

ეს კი ნიკუშა კანკავაა, პირველკლასელი კნაჭა ბიჭი, ყოველ დილით ზურგზე აბგამოგდებული სკოლისაკენ რომ მიიჩქარის და გზად მალულად ცისკენ გააპარებს თვალს.

იცის ბიჭმა, ვისი შვილიშვილის შვილიცაა.

„და ტოტისტოტის ტოტი ყოველი", – როგორც პოეტი ამბობს...

ზიზი სამადალაშვილი,
საქართველოს „ელექტროკავშირის" გორის ტერიტორიული ფილიალის მმართველი,
ზურაბ ვაშაქიძე,
„სრ" საკ. კორ.

კოსოვოს კონფლიქტის გამო

რუსეთს ხელს არ აძლევს ევროპაში ბოლო სტრატეგიული პარტნიორის დაკარგვა

„ცივი ომის" დამთავრების შემდეგ ბალკანეთის რეგიონი უკვე მეორეჯერ იქცა მწვავე დაპირისპირების კერად, რომელსაც ფართომასშტაბიან ომად ტრანსფორმირების პოტენციალი აქვს. ბოსნიის და კოსოვოს კონფლიქტს რამდენიმე საერთო ნიშანი ახასიათებს: გეოსტრატეგიული მდებარეობა, დემოგრაფიული ასპექტი და დაინტერესებულ გარეშე ძალათა სიმრავლე. ბოსნიისაგან განსხვავებით, სადაც საერთაშორისო თანამეგობრობის ერთიანობა კონფლიქტის წარმატებით მოწესრიგების ძირითადი ფაქტორი გახდა, კოსოვოში თანამედროვე საერთაშორისო ურთიერთობის მწვავე პრობლემები იკვეთება. უპირველესად აღსანიშნავია, რომ გაეროს როლი კოსოვოს კონფლიქტთან დაკავშირებულ საკითხებში გასული წლის ოქტომბრის შემდეგ ნულოვან დონემდე დაეცა და ამჟამად მოლაპარაკებების პროცესს ექვსეროვანი საკონტაქტო ჯგუფი (აშშ, საფრანგეთი, დიდი ბრიტანეთი, გერმანია, იტალია, რუსეთი) ხელმძღვანელობს, რომელსაც ზურგს ჩრდილო-ატლანტიკური ალიანსის სამხედრო პოტენციალი უმაგრებს.

კოსოვოს კონფლიქტის მოგვარება თვით დასავლეთის თანამეგობრობისათვის ერთგვარ გამოცდას წარმოადგენს, რომლის წარმატებით ჩაბარება მნიშვნელოვნად განაპირობებს იმას, თუ რამდენად სტაბილური იქნება ევროპა მომავალ საუკუნეში. აღსანიშნავია, რომ ბალკანეთის რეგიონი და, კერძოდ, კოსოვოს ოლქი ევროპის საბოლოო კონფლიქტოგენური ნაწილია, რომლის პოტენციალის რეალიზაციას ელვისებური გავლენა ექნება ალბანეთზე, მაკედონიასა და ბულგარეთზე, რომ არაფერი ვთქვათ თვით სერბიასა და ჩერნოგორიაზე. კონფლიქტის გაღრმავება, აგრეთვე, შემაშფოთებელ შედეგს იქონიებს საბერძნეთის თურქეთთან ურთიერთობაზე და არ არის გამორიცხული დაარღვიოს ბოსნია-ჰერცეგოვინაში არსებული არამყარიც სტაბილურობა.

> კოსოვოს კონფლიქტის მოგვარება თვით დასავლეთის თანამეგობრობისათვის ერთგვარ გამოცდას წარმოადგენს, რომლის წარმატებით ჩაბარება მნიშვნელოვნად განაპირობებს იმას, თუ რამდენად სტაბილური იქნება ევროპა მომავალ საუკუნეში.

კონფლიქტის ამგვარი პოტენციალი განპირობებულია კოსოვოელ ალბანელებს, ალბანელებსა და მაკედონიელ ალბანელებს შორის არსებული კავშირებით. ეთნიკურად მრავალფეროვან მაკედონიაში, რომლის მოსახლეობაც დაახლოებით 2 მილიონს შეადგენს, ეთნიკური ალბანელები უდიდეს უმცირესობის ჯგუფს (35 პროცენტი) წარმოადგენენ და კოსოვო-მაკედონიის საზღვართან კომპაქტურად არიან დასახლებულნი. როგორც დამკვირვებლები აღნიშნავენ, ალბანელ მოსახლეობაში ძლიერია ალბანეთთან მიერთების სურვილი. 1993 წელს მაკედონიაში განალაგეს გაეროს 1200-კაციანი კონტინგენტი ე. წ. „გაეროს" წინასწარი განლაგების ძალები". 20 თებერვალს ჩინეთმა ვეტო დაადო რეზოლუციას აღნიშნული კონტინგენტისათვის მანდატის გაგრძელების თაობაზე. გაეროში ჩინეთის ელჩის განმარტებით, მაკედონიაში სიტუაცია სტაბილურია და ზედმეტი თანხების ხარჯვა არამიზანშეწონილი იქნება. თუმცა, გასათვალისწინებელია ისიც, რომ რამდენიმე ხნით ადრე მაკედონიამ ტაივანის დამოუკიდებლობა აღიარა. სავარაუდოა, რომ დებატებმა, რომლებიც გაეროს შტაბ-ბინაში მიმდინარეობს, **UNPREDEP**-ის მანდატის გაგრძელების მიზნით, ნაყოფი გამოიღოს. ამიტომ არ არის გამორიცხული, რომ მაკედონიაში უახლოეს მომავალში ნატოს ჯარები შევიდნენ. აშშ სახელმწიფო მდივნის მოადგილის ს. ტელბოტის განცხადებით, კოსოვო, ევროპასა და ახლო აღმოსავლეთს შორის გამყოფ ზოლზე მდებარეობს, ბალკანეთის რეგიონის ყველაზე არასტაბილური კუთხეა, რომლის აფეთქებაც მიმდინარე საუკუნეში მეოთხე ბალკანურ ომს გამოიწვევს, რომელშიც აშშ ნატოელი მოკავშირეები – თურქეთი და საბერძნეთი იქნებიან ჩათრეული. იგივე აზრისაა მაკედონიის პრეზიდენტი კირო გლიგოროვი. ვინაიდან კოსოვოს საკითხის მოუგვარებლობის შემთხვევაში პირველ დარტყმას მაკედონია მიიღებს, გლიგოროვი მტკიცედ უჭერს მხარს ნატოს ჯარების რეგიონში შეყვანას, ოღონდ ერთი პირობით – განიარაღებულ უნდა იქნეს „კოსოვოს განთავისუფლების არმია".

სავარაუდოა, რომ კოსოვოს კონფლიქტი ნაწილობრივ დეიტონის 1995 წლის შეთანხმების არასრულყოფილებით იქნა გამოწვეული. დეიტონში საერთაშორისო თანამეგობრობამ ყოფილი „კვაზი იმპერიის" იუგოსლავიის მშვიდობიანი დეზინტეგრაციის საშუალება მიეცა, რომლის შედეგადაც ორი სახელმწიფო – ბოსნია-ჰერცეგოვინა და ამჟამინდელი იუგოსლავია (სერბეთისა და ჩერნოგორიის) ფედერაცია აღმოცენდა. აღსანიშნავია, რომ მოლაპარაკებების პროცესში არავის არ დაუყენებია ამჟამინდელი იუგოსლავიის სახელმწიფოებრივი მოწყობის საკითხი, თუმცა, იმ პერიოდში იუგოსლავიის მთავრობა და მისი ძირითადი მხარდამჭერი რუსეთი ბევრად უფრო განწყობილნი იყვნენ კომპრომისისათვის. კოსოვო 1974 წლიდან სარგებლობდა ავტონომიური პროვინციის სტატუსით, რომელსაც ჰქონდა საკუთარი კონსტიტუცია და ეროვნული ასამბლეა. აღნიშნული ატრიბუტები 1989 წელს კონსტიტუციაში შეტანილი დამატებებით გაუქმდა. ეს ცვლილებები სწორედ მილოშევიჩის მიერ იქნა ინიცირებული.

კიდევ ერთი საკითხი, რომელიც მთელი სიმწვავით გამოჩნდა კოსოვოს კრიზისთან დაკავშირებით და რომლის სწორად გადაწყვეტას დიდი მნიშვნელობა ექნება საერთაშორისო ურთიერთობის ახალი სისტემის ჩამოყალიბებაში, გახლავთ ერთა თვითგამორკვევის უფლების და სახელმწიფოს ტერიტორიული მთლიანობის ურღვევობის პრინციპს შორის შეუთავსებლობა კოსოვოს შემთხვევაში. დასავლეთ ევროპაში დაწყებულია კლასიკური ეროვნული სახელმწიფოს რღვევის პროცესი, რომელიც ევროინტეგრაციის დინამიკური გაღრმავების ფონზე საკმაოდ უმტკივნეულოდ მიმდინარეობს. ამის მაგალითებია გაერთიანებულ სამეფოში ჩრდილოეთ ირლანდია, შოტლანდია და უელსი, ესპანეთში – ბასკეთი, კატალონია თუ ანდალუზია.

რამბუიეში ცოტა ხნის წინათ გამართული მოლაპარაკების ფონზე აშკარად გამოიკვეთა კიდევ ერთი საფრთხე, რომელიც იუგოსლავიას ემუქრება. კერძოდ, ჩერნოგორიის სერბეთისაგან თავის დაღწევის მცდელობა. ნაკლებად სავარაუდოა, რომ ჩერნოგორიის მთავრობამ იუგოსლავიის საჯარისო შენაერთებს თავის ტერიტორიაზე განლაგებისა და მისი გამოყენების უფლება მისცეს, თუმცა ის მიესალმება ნატოს ჯარების რესპუბლიკაში შემოყვანას, რაც მილოშევიჩის დიქტატისაგან განთავისუფლების ძლიერი ფაქტორი იქნება. აქვე აღსანიშნავია, რომ ჩერნოგორიის ხელისუფლების ამგვარი ნაბიჯი პირდაპირ წინააღმდეგობაში იქნება იუგოსლავიის ფედერაციის კონსტიტუციასთან, რომლის თანახმადაც „ფედერალური არმიის მიზანია იუგოსლავიის ფედერაციული რესპუბლიკის ტერიტორიული მთლიანობისა და სუვერენიტეტის დაცვა". ჩერნოგორიის დაკარგვა სერბეთისათვის დიდი დამარცხება იქნება, გეოსტრატეგიული თვალსაზრისით, ვინაიდან მას ზღვაზე გასასვლელი აღარ დარჩება.

17 დღის განმავლობაში რამბუიეში და შემდგომ პარიზში მიმდინარე მოლაპარაკება უშედეგოდ დასრულდა, თუმცა შემუშავებულ იქნა სამუშაო დოკუმენტი ე. წ. „საშუალედო შეთანხმება". შეიძლება ითქვას, რომ მოლაპარაკების შედეგად წაგებული დარჩა საერთაშორისო თანამეგობრობა, იუგოსლავებს სამხედრო ესკალაციის, ხოლო კოსოვოელებს მანევრების გაფართოების საშუალება მიეცათ. არსებობს კიდევ ერთი ნაკლებად აფიშირებული მოსაზრება კოსოვოს კონფლიქტის მოგვარების ამგვარი გაჭიანურების თაობაზე. 90-იან წლებში ჩამოყალიბდა ალბანეთის გავლით ნარკოტიკებისა და იარაღის ტრანზიტის ახალი მნიშვნელოვანი მარშრუტი. აღნიშნული ტრანზიტი ჩრდილოეთ ალბანეთისა და კოსოვოს ტერიტორიაზე გადის, სადაც, ექსპერტების აზრით, განლაგებულია გადამამუშავებელი ქარხნებიც. აღნიშნულ ტერიტორიას, ზეპირი შეთანხმების საფუძველზე, აკონტროლებდნენ, ერთი მხრივ, ს. ბერიშას მომხრეები და „კოსოვოს განმათავისუფლებელი არმია", ხოლო, მეორე მხრივ, იუგოსლავიის ადგილობრივი, კოსოვოს ადმინისტრაცია. საერთაშორისო თანამეგობრობის კოსოვოს ამბებში ჩარევის შედეგად ეს გარიგება დაირღვა. ამგვარად, ნარკობარონებს სურდათ მათი საქმიანობისათვის ნაკლებად საზიანო შეთანხმების მიღწევა. ზემოაღნიშნული მოსაზრების გათვალისწინებით ნათელია, თუ რატომ თქვეს უარი შეთანხმების ხელმოწერაზე რამბუიეში „კოსოვოს განმათავისუფლებელი არმიის" წარმომადგენლებმა და მოითხოვეს დრო „საველე მეთაურებთან" – სავარაუდოდ, ნარკობარონებთან კონსულტაციებისათვის. კოსოველების დელეგაციის ამგვარი პოზიცია სიურპრიზი იყო აშშ წარმომადგენლებისათვის, მომგებიან პოზიციაში კი სერბები აღმოჩნდნენ, ვინაიდან მათ კოსოვოს პროვინციის დემოგრაფიული სურათის შეცვლის კიდევ ერთი შესაძლებლობა მიეცათ, რასაც დიდი მნიშვნელობა ექნება მომავალში კოსოვოში რეფერენდუმის ჩატარების თვალსაზრისით. ოფიციალური მონაცემებით, რამბუიეს მოლაპარაკების დამთავრების შემდეგ კოსოვო 30 ათასმა უმეტესწილად ალბანელი ეროვნების მოქალაქემ დატოვა. რამბუიეს მოლაპარაკებიდან პრაქტიკული თვალსაზრისით გამარჯვება რუსეთმაც მოიპოვა, რომლის „ერთმორწმუნე სერბების" დამცველის იმიჯი გაძლიერდა. ამასთან, რუსეთს შესთავაზეს **KFOR**-ის (ნატოს ეგიდით კოსოვოს ძალები) შემადგენლობაში სამშვიდობო ოპერაციაში მონაწილეობის მიღება, რაც მას რენომეს შენარჩუნებაში დაეხმარებოდა. აშშ სახელმწიფო დეპარტამენტის მდივნის მოადგილემ ევროპის საქმეებში ჯეილინ მალოომ 5 მარტს განაცხადა, რომ აშშ მიესალმება რუსეთის, როგორც ნატოს პროგრამა „პარტნიორობა მშვიდობისათვის" მონაწილის თანხმობას კოსოვოში სამშვიდობო ოპერაციაში ჩართვის თაობაზე, რაც ბელგრადის პოზიციაზეც მოახდენს გარკვეულ გავლენას.

თუმცა, ნაკლებად სავარაუდოა, რომ რუსეთს ამგვარ ოპერაციაში გაეროს მანდატით თუ მის გარეშე მონაწილეობაზე თანხმობა განეცხადებინა, რადგანაც რუსეთში მოახლოებული არჩევნების ფონზე საგარეო პოლიტიკაში ამგვარი ანტისლავური ნაბიჯი კიდევ უფრო გააძლიერებს რადიკალური ძალების პოზიციებს. რუსეთს, როგორც ზესახელმწიფოს ამბიციების მქონე ქვეყანას ხელს არ აძლევს საგარეო კოალიციაში მეორეხარისხოვანი როლის თამაში; რუსეთს ხელს არ აძლევს, აგრეთვე, მილოშევიჩის, როგორც ევროპაში ბოლო სტრატეგიული პარტნიორის დაკარგვა; რუსეთისათვის, რომელიც თვითონ აღმოჩნდა სეპარატიზმის საფრთხის წინაშე, მიუღებელია ისეთი ხელშეკრულების განხორციელებაში მონაწილეობა, რომელიც სეპარაციის გზით ახალი სახელმწიფოს წარმოშობის საშუალებას იძლევა.

საინტერესოა რამბუიეს საშუალედო შეთანხმების ანალიზიც, რომელიც მართლა ტოვებს მესამე ნაწილის ბოლო პუნქტით რეფერენდუმის გზით კოსოვოს სტატუსის გადაწყვეტის საშუალებას. დიდი მნიშვნელობა ექნება იმ პროცესებს, რომლებიც კოსოვოში საშუალედო პერიოდში (3 წელი) განვითარდება. უპირატესად, გასაანალიზებელია, აქვს თუ არა კოსოვოს საერთაშორისო თანამეგობრობის დახმარებით ეკონომიკური განვითარების პერსპექტივა. აშშ წარმომადგენლების აზრით, ხელშეკრულების ხელმოწერის შემდეგ საერთაშორისო თანამეგობრობა აქტიურად ჩაებმება კოსოვოს ეკონომიკურ რეაბილიტაციაში, რაც რეგიონს ევროპასთან მჭიდრო კავშირის დამყარების საშუალებას მისცემს. თავის მხრივ, ხელს შეუწყობს ევროინტეგრაციულ პროცესებში მონაწილეობას და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში გაწევრიანების საფუძველიც გახდება. ამგვარი პერსპექტივა არ არის რეალობას მოკლებული, ვინაიდან საშუალედო პერიოდში, როგორც ამას სამუშაო ხელშეკრულება ადასტურებს, კოსოვო ფედერალური რესპუბლიკის უფლებებით ისარგებლებს. აღსანიშნავია ისიც, რომ ხელშეკრულების ხელმოწერის შემთხვევაში ფედერალურ ხელისუფლებას კოსოვოს რეგიონზე ზეგავლენის არავითარი ინსტრუმენტი აღარ დარჩება.

მნიშვნელოვანია ისიც, თუ რა პრინციპით იქნება დაკომპლექტებული პოლიცია და თვითმმართველობის ორგანოები ალბანელი მოსახლეობის უმრავლესობის გათვალისწინებით.

კოსოვოს საკითხთან დაკავშირებით თვით ნატოც არაერთგვაროვან სიტუაციაში აღმოჩნდა. ხელშეკრულების თანახმად, უსაფრთხოებისა და მშვიდობის გარანტი ჩრდილოატლანტიკური ალიანსია, ამავდროულად კითხვის ნიშნის ქვეშ რჩება საკითხი, შეძლებს თუ არა ნატო კოსოვოს იუგოსლავიის ფედერაციის ფარგლებში შენარჩუნებას. თუ მომავალში რეფერენდუმის გზით კოსოვო დამოუკიდებელ სახელმწიფო ერთეულად გარდაიქმნება, ნატოს როლი ამ პროცესის მომზადებაში უარყოფითად შეფასდება, რაც მისი სამშვიდობო კონცეფციის პოზიტიურობას ეჭვის ქვეშ დააყენებს და ჰელსინკის დასკვნითი აქტის დარღვევის პრეცედენტს შექმნის.

სანდრო ძელიძე,
საქართველოს სახელმწიფ
კანცელარიის საგარე
პოლიტიკის ანალიზ
განყოფილე

SIC!

არ გვაქვს გულგრილობის უფლება

საზოგადოება „თბილისელის" წევრებს მიგვაჩნია, რომ არ გვაქვს უფლება, არ გამოვხატოთ ჩვენი მოქალაქეობრივი პოზიცია, როცა საქმე ერის ჯანმრთელობას ეხება.

რამდენიმე წელიწადია ჩვენი ქვეყანა წალეკა ფალსიფიცირებულმა და უხარისხო საკვებმა თუ სასმელმა. მწირი საოჯახო ბიუჯეტი და იაფი პროდუქტების შოვნის სურვილი ჩვენი მოქალაქეების აბსოლუტურ უმრავლესობას ბაზრობებისაკენ, ჯიხურებისაკენ და სოკოებივით მომრავლებული მაღაზიებისაკენ მიერეკება. ქვეყანაში საუკეთესო პირობები შეიქმნა უხარისხო პროდუქციის წარმოებისა და ასეთივე უხარისხო იმპორტული საქონლის რეალიზაციისათვის. და აი, ამის შედეგიც: კვებით მოწამვლები ისე გახშირდა, რომ ლამის ჩვენი ცხოვრების თანამდევ მოვლენად იქცა. ჯერ კიდევ არ ვიცით, როგორ გავლენას იქონიებს ჩვენი მომავალი თაობის ჯანმრთელობაზე ახლა მოხმარებული უხარისხო, მავნე საკვები.

ვინ უნდა დაინტერესდეს იმით, თუ როგორ გამოდის საზღვარზე („ლიბერალურად" განწყობილი საბაჟოების თვალწინ) ეს უვარგისი და აშკარად საშიში საკვები პროდუქტები? ვინ უნდა გაუწიოს კონტროლი იატაკქვეშა საამქროებში დამზადებული სურსათის მოზღვავებას სამომხმარებლო ბაზარზე?

რა თქმა უნდა, მაკონტროლებელმა ორგანოებმა. დიდი ცოდვა იქნებოდა, გვეთქვა, რომ ასეთი დაწესებულებები საქართველოში არ მოგვეპოვება. მოგვეპოვება და მერე რამდენი! ერთ-ერთი გაზეთი იუწყებოდა, ჩვენს ქვეყანაში სურსათის ხარისხს 650 (!) ორგანოს მუშაკები ამოწმებენო. მაგრამ თუ ამოწმებენ, აანალიზებენ და აკონტროლებენ, მაშ, ეს დალოცვილები, იმას რად ველარ ამჩნევენ, რასაც ჩვენ, რიგითი მოქალაქეები შეუიარაღებელი თვალითაც ვხედავთ?

საქმეც ის არის, რომ ეს სერტიფიკაციის, ქიმიური, ორგანოლეპტიკური, მიკრობიოლოგიური ექსპერტიზის სამსახურები და პროდუქციის ხარისხის მაკონტროლებელი ორგანოები, ხშირ შემთხვევაში უწყებრივია, მოქმედებენ თავიანთი კომპეტენციის ფარგლებში და, როგორც ჩანს, პასუხისმგებლობის აღებას თავის თავზე ყველა გაურბის.

შედარებისათვის: ბავარიის მხარეში, რომელიც ფართობით დაახლოებით საქართველოს ტოლია, სურსათის ხარისხს მხოლოდ ერთი სტრუქტურა ამოწმებს. ამოწმებს და პასუხს აგებს კიდეც, თუ საკვები პროდუქტის ხარისხი სტანდარტულ ნორმებს არ შეესაბამება. ჩვენთან კი, ადამიანი რომ იწამლება, ვინ აგებს ამაზე პასუხს, რომელი ორგანიზაცია, ვინ ისჯება?

საზოგადოება „თბილისელი" გამოთქვამს შეშფოთებას აღნიშნული პრობლემის გამო და აყენებს წინადადებას: გამოიკვეთოს ერთი კონკრეტული დაწესებულება, რომელსაც პასუხი მოეთხოვება საკვები პროდუქტის ვარგისიანობის გამო.

ჩვენი ღრმა რწმენით, დაყოფილი კონტროლი – უკონტროლობაა.

საზოგადოება „თბილისელის" პრესცენტრი.

დედოზარი

საქართველოს რესპუბლიკა
ყოველთვიური დამატება
№24
30 მარტი, 1999 წელი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოსავალი

ხვნა-თესვა კუს ნაბიჯებით!

გაზაფხული თანდათან ძალას იკრებს. მიწათმოქმედნი მართლაც დიდი ამოცანის წინაშე დგანან, რადგან წელს ყველა კატეგორიის მეურნეობებში მოსახნავ-დასათესია 587 ათასი ჰექტარი. ძირითადად, საგაზაფხულო თავთავები, სიმინდი, მზესუმზირა, კარტოფილი, ბოსტნეული, ბალჩეული და სხვა კულტურები დაითესება, საკმაოდ დიდი მოცულობის სამუშაოები უნდა ჩატარდეს ბაღებსა და ვენახებში, ჩაის პლანტაციებში.

ოპერატიული მონაცემებით მზრალის ჩათვლით მხოლოდ 217 ათასი ჰექტარია მოხნული, დათესილია 12137 ჰექტარი საგაზაფხულო კულტურები. ბევრ რეგიონში საგაზაფხულო ხვნათესვის სამუშაოები, კვლავ ნელი ტემპით მიმდინარეობს, მაგალითად, გურიაში მოსახნავი ფართობის 18984 ჰექტრიდან მხოლოდ 4 პროცენტია მოხნული, სამეგრელოში 25, აჭარაში – 5,3, იმერეთში – 41, მცხეთა-მთიანეთში – 35, შიდა ქართლში – 45, კახეთში – 50 პროცენტი. რაც შეეხება ხაშურის რაიონს, აქ საგაზაფხულო ხვნის სამუშაოები გადაჭარბებითაა შესრულებული.

ადამიანი დროში

„საქართველოს აგრარული მეცნიერების განვითარებაში შეტანილი პირადი დიდი წვლილისათვის ნაყოფიერი სამეცნიერო და პედაგოგიური მოღვაწეობისათვის საქართველოს სახელმწიფო აგრარული უნივერსიტეტის ასპირანტურისა და დოქტორანტურის განყოფილების გამგე, ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორი პროფესორი **დავით გუბელაძე** დაჯილდოვდეს ღირსების „ორდენით".

საქართველოს პრეზიდენტის, ედუარდ შევარდნაძის ეს დადგენილება რომ წავიკითხე მაშინვე მივწვდი ყურმილს, დავითს ღირსეული ჯილდო მივულოცე და რედაქციაში მოვიწვიე...

იგი ჯერ კიდევ მაშინ გავიცანი, როცა პრეზიდენტის სტიპენდიანტი გახდა და ამჯერად ტელეფონით მასთან თითქმის შინაური, გულთბილი საუბარი გვქონდა.

ამ გაზაფხულის ერთ მშვენიერ დღეს დავითმა რედაქციის კარი მოსხელი გულწრფელი ღიმილით შემოაღო...

სანანებელი არ გექნება, თუ წუთისოფელს ჯანმრთელი მოევლინები

ბატონო დავით, „ღირსების ორდენს" ახლოდანაც გილოცავთ. ეგ ერთი და სხვა მრავალი. შარშანდელი წელი თქვენთვის ბედნიერი გამოდგა. ჯერ იყო და პრეზიდენტის სტიპენდია დაგენიშნათ. შემდეგ „ღირსების ორდენი" გადმოგცეს, მგონი რომელიღაც ქვეყანაშიც იმოგზაურეთ და მაღალი ტრიბუნიდან საქართველო წარმოადგინეთ. იქიდან დაბრუნდით და სალომე გუბელაძემ, ალბათ, კოცნით დაგაჯილდოვათ. რა ხნისაა ახლა?

– თითქმის წლინახევრისაა.

– გაგიზარდოთ ღმერთმა, თქვენთვის სალომეს კოცნა, ალბათ, ყველა ჯილდოზე უფრო ძვირფასია. ძალიან სამწუხაროა, რომ დღეს ჩვენს ბავშვებს უჭირთ და მათი ორგანიზმი შიმშილობს, რა გაეწყობა, ესეც, ალბათ, ღვთის ნებაა, ნეტავ რა შევცოდეთ ამისთანა?

ბატონო დავით, წარსულის გახსენება ყოველთვის სასიამოვნო არ არის, მაგრამ მაინც შეგეკითხებით. მითხარით, როგორი ბავშვობა გქონდათ?

– ტრადიციულ ქართულ ოჯახში დავიბადე. ვიზრდებოდი ბებიას და მშობლების ალერსით, არ ვიცოდი რა იყო გაჭირვება. დავამთავრე თბილისის პირველი საშუალო სკოლა. მეც, როგორც ყველა თბილისელს, მიყვარდა რუსთაველზე სეირნობა და ლაღიძეში „დროსტარება". ჩემს ბავშვობაში თბილისი უფრო ალერსიანი და თბილი იყო. სახეზე ყველას ღიმილი ეფინა და ეს ნათელი მომავლის რწმენას მღვივებდა.

ისეთი ტრადიციის მქონე სკოლაში, როგორშიც მე ვსწავლობდი, არ შეიძლებოდა უხეირო ადამიანი გამოსულიყავი. ძნელია ათი წელიწადი იარო იმ კიბეებზე, რომელზედაც ნიკოლოზ ბარათაშვილი და ბევრი სხვა გამოჩენილი ქართველი მოღვაწე დადიოდა. ისე, რომ დღესდღეობით, თუკი რაღაცას მივაღწიე, ამ ადამიანების მიბაძვის წყალობით მოხდა...

– გულმა სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტისაკენ რატომ გაგიწიათ?

– ეს გადაწყვეტილება შემთხვევით მივიღე. მეგობარი სწავლობდა და იმან მირჩია. თანაც, საინჟინრო დარგის სპეციალობები მიზიდავდა და ასეთი იქაც აღმოჩნდა.

– ასპირანტურაში შესვლა გაგიჭირდათ თუ ორივე კარები გაგიღეს?

– სამწუხაროდ, როცა ინსტიტუტი დავამთავრე, ასპირანტურაში ჩემი სპეციალობით ადგილი არ გამოცხადდა. მითხრეს ერთი წელიწადი კიდევ უნდა მოიცადოო.

მაშინ გადავწყვიტე ჩემი ძალები დამოუკიდებლად მომესინჯა და ყველასათვის მოულოდნელად მოსკოვში, სსრკ მეცნიერებათა აკადემიის წყლის პრობლემების ინსტიტუტის ასპირანტურაში ჩავირიცხე. დიდი ენერგიის დახარჯვა დამჭირდა, მაგრამ მიზანს მაინც მივაღწიე. ახალგაზრდა კაცისათვის ბრწყინვალე გამარჯვებაა, როდესაც ცხოვრებაში საკუთარ ძალებს მოსინჯავს და გაუმართლებს.

– „ღირსების ორდენი" თქვენთვის პირველი ჯილდოა თუ მანამდე სხვაც გქონდათ?

– ნაშრომთა ციკლისათვის, – „ეროზიისა და სელური ნაკადებისაგან მიწის რესურსების დაცვის ღონისძიებების შემუშავება", – 1986 წელს საქართველოს კომკავშირის პრემიის ლაურეატი გავხდი. მაშინ ეს დიდ მიღწევად ითვლებოდა.

– ლაურეატობამ თქვენს შემოქმედებით ცხოვრებაში, ალბათ, დადებითი როლი შეასრულა?

– რა თქმა უნდა. როცა შემოქმედებითი მოღვაწეობის საწყის ეტაპზე გარკვეულ წარმატებებს აღწევ და ეს ღირსეულად ფასდება, ბუნებრივია, სამეცნიერო მუშაობაში ახალი ზღუდეების დაძლევისათვის მეტი სტიმული გეძლევა.

– ამ სიტყვებმა თქვენი ბიოგრაფიის ერთი მონაკვეთი გამახსენა. წელანდელი საუბრიდან ზოგი რამ ჩავიწერე: 1988 წლიდან დღემდე, ჰიდროტექნიკისა და საინჟინრო-ეკოლოგიის კათედრაზე მოღვაწეობთ. იყავით ასისტენტი, უფროსი მასწავლებელი და სამიოდე წელიწადში დოცენტი გახდით. პარალელურად, 1989 წლიდან, აგრარული უნივერსიტეტის ასპირანტურისა და დოქტორანტურის განყოფილების გამგედ მუშაობთ. ხოლო 1994 წელს პროფესორის სამეცნიერო წოდება მოგენიჭათ...იმ დროს თქვენ 35 წლისა ხართ. შემდგომ ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხს დაეუფლეთ. 1997 წლიდან კი ეკოლოგიისა და ბუნებათსარგებლობის საერთაშორისო აკადემიის ნამდვილი წევრი გახდით. აგორჩიეს აკადემიკოსად. გამოდის, რომ დღე და ღამე შრომობდით, თორემ, ასეთ მოკლე დროში ამდენს ვერ მიაღწევდით. მითხარით, როდის ისვენებდით, მხატვრულ ლიტერატურას, კინოს, თეატრს სულ მიანებეთ თავი? ბოლოს და ბოლოს სატრფო არ გყავდათ?

– ჰოროსკოპით სასწორი ვარ და ხასიათშიც ეს ხშირად თან მყვება. როცა გადაწყვეტილებას ვიღებ, ვცდილობ, რომ გარკვეულწილად ყველაფერს ანალიზი გავუკეთო. ჩემს ამხანაგებთან ერთად კულტურული ცხოვრების ყოველ სფეროში ვმონაწილეობდი. ოღონდ ყოველთვის დროის სიმცირეს განვიცდიდი. ამის სანაცვლოდ ხშირად ღამე ვმუშაობდი და მეცნიერებისათვის განკუთვნილ დროს მაინც ვანაზღაურებდი. ჩემს თავს გეგმის დარღვევის უფლებას არ ვაძლევდი.

სხვა არჩევანი არ მქონდა, რადგან ვიცოდი, იოლად არაფერი არ მოდის, თუ შენ არ მოინდომებ, შენს გასაკეთებელს არავინ არ გააკეთებს, თუნდაც შენი მშობელი იყოს. ტალანტი ადამიანს დაბადებიდან თან ჰყვება. ხოლო შრომა და თავგანწირვა – ეს დროის ფაქტორია და ცხოვრებამ უნდა გასწავლოს.

– და, აი, ერთ დღესაც პრეზიდენტის სტიპენდიანტმა დავით გუბელაძემ „ღირსების ორდენით" დაჯილდოების ამბავიც შეიტყვეთ. მოაბიჯებთ თბილისის ქუჩებში, სადაც თქვენმა ბავშვობამ და ყრმობამ დროის „მდინარესთან" ერთად ჩაიქროლა. თქვენი განვლილი ცხოვრების რომელი ეპიზოდი გახსენდებოდათ ან რას განიცდიდით მაშინ?

– ჩემი დაჯილდოება გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის" მეშვეობით შევიტყვე. ბუნებრივია, მაშინ, ჩემი განვლილი ცხოვრების ეპიზოდები მახსენდებოდა. განსაკუთრებით ბავშვობისა. ისევ ჩემი პირველი სკოლის ეზო, იქ ამხანაგებთან თამაში... მაშინ, ჩემთვის ვინმეს ეს ბედი რომ ეწინასწარმეტყველა, ალბათ, გამიკვირდებოდა.

იმითაა ეს ცხოვრება ლამაზი, რომ სავსეა სხვადასხვა მოულოდნელობებით, ალბათ, ერთ მშვენიერ დღეს, რაკი ქვეყანას საქართველოს რესპუბლიკა აღარ ჰქვია, თქვენს გაზეთსაც სახელი შეეცვლება და ესეც ჩემთვის სასიამოვნო მოულოდნელობა იქნება. აქამდე რატომ არ მოხდა ეს, ვერაფრით ვერ ამიხსნია.

იხ. მე-6 გვ.

საქართველოს რესპუბლიკა
№83. სამშაბათი, 30 მარტი. 1999 წელი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ადამიანი დროში

სანანებელი არ გექნება, თუ წუთისოფელს ჯანმრთელი მოევლინები

(მეხუთე გვერდიდან)

— ამასაც მოესწრებით, რა გაეწყობა, მოსავალს მოცდა უნდა... თქვენ ის მითხარით, თავის მხრივ „ღირსების ორდენი" რას წარმოადგენს, როგორ გესმით მისი მნიშვნელობა?

— ჯილდო XII საუკუნეში დასავლეთ ევროპაში შემოიღეს და საზოგადოებაში პიროვნების წარმოჩენისათვის გამოიყენებოდა. იგი სახელმწიფოს საპატიო ნიშანს წარმოადგენს, რომელსაც ადამიანს განსაკუთრებული დამსახურებისათვის აძლევენ.

დღევანდელ დამოუკიდებელ საქართველოში დაწესებული „ღირსების ორდენის" რაობა თავისი სახელმწოდებით უკვე განმარტებულია. მისი გადაცემა, იმ დიდი და ნაყოფიერი შრომის დაფასებაა, რაც მოკლე სამეცნიერო მოღვაწეობის პერიოდში მე გავწიე.

ვფიქრობ, „ღირსების ორდენი" მარტო ჩემი დამსახურება კი არა, აგრარული მეცნიერების დარგისა და იმ კოლექტივის შეფასებაც არის, სადაც მე ვმუშაობ.

— ოცნებობდით ამ ორდენზე, ვის უმადლით მის მიღებას?

— გულახდილად რომ გითხრათ, არ მიოცნებია, მის მიღებაში კი განსაკუთრებით აგრარული უნივერსიტეტის რექტორის ნაპოლეონ ქარქაშაძის წვლილს გამოვყოფდი.

მალე საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის 70 წლისთავს ვიზეიმებთ და მინდა თქვენი გაზეთის საშუალებით, უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებლებს, სტუდენტ-ახალგაზრდობას, საერთოდ, მთელ კოლექტივს და ვისაც გარკვეულწილად უნივერსიტეტთან კავშირი ჰქონია, ეს ღირსშესანიშნავი თარიღი მივულოცო.

— დღევანდელ ახალგაზრდობაზე სხვადასხვა საზოგადოებრივი აზრია. საინტერესოა თქვენეული შეფასება. იგი უფრო სარწმუნო იქნება, რადგან ახალგაზრდობასთან მჭიდრო ურთიერთობა გაქვთ. სადოქტორო და სადისერტაციო ხარისხის მიმნიჭებელი საბჭოს წევრი ბრძანდებით. უშუალოდ მონაწილეობთ საქართველოს აგრარული მეცნიერების განვითარებაში და ახალგაზრდა მეცნიერ-პედაგოგთა აღზრდაში. იქნებ, შეადაროთ კიდეც რომელიმე ქვეყნის ახალგაზრდობას, თუნდაც ისრაელისას, თქვენ, იქ სტაჟირებაზე საკმაოდ დიდხანს იყავით.

— ასეთი კითხვა ხშირად ისმის და ჩემში დიდ გაკვირვებას იწვევს. ღმერთმა ნუ ქნას, ქართველი ახალგაზრდობა მოწოდების სიმაღლეზე არ იდგეს. ცუდი ყოველთვის იყო, არის და იქნება. ეს დამახასიათებელია ყველა ერისა და ქვეყნისათვის. თუ გვინდა, რომ საქართველოს ბედნიერი მომავალი ეწქროს, ღირსეული ახალგაზრდები უნდა აღვზარდოთ.

სხვა ქვეყნების ახალგაზრდობასთან ჩვენების შედარება არაფერს არ მოგვცემს. თუმცა, უნდა ითქვას, რომ ჩვენი ახალგაზრდა მეცნიერები მატერიალურად არცთუ ისე კარგ მდგომარეობაში იმყოფებიან. არადა, ახალგაზრდობა ქვეყნის, სახელმწიფოს დიდი იმედი და დასაყრდენია.

— თუ გიბხუბიათ როდისმე და რატომ?

— ჩხუბი, ალბათ, ყველას მოსვლია. სამწუხაროდ, ყოველდღიური ჩვენი ცხოვრება არც ისეა მოწყობილი, როგორც ჩვენ გვსურს. ამის მიზეზი საკმაოდ ბევრი გვხვდება. ვცდილობ, სამართლიანი ვიყო და სხვასაც გავუწიო თანაგრძნობა. ხშირად კომპრომისზე მივდივარ, ბუნებით კონფლიქტური არა ვარ, მაგრამ ჩემი თავმოყვარეობისა და ღირსების შელახვის უფლებას სხვას არ მივცემ.

საერთოდ, ადამიანს საკუთარი თავის დაცვის უნარი უნდა ჰქონდეს, თორემ ცხოვრება გათელავს.

— დღეს მშრომელი კაცი რომ ხელგაშვერილი დადის, განა ეს ღირსების შელახვა არ არის?

— რა თქმა უნდა, ეს ფაქტი კარგი ცხოვრების მანიშნებელი არ არის. არ შეიძლება სახელმწიფოში მშრომელი კაცი ხელგაშვერილი დადიოდეს, შრომას დაფასება უნდა. ყველაფერი ცრუ ბიზნესს არ უნდა ვანაცვალოთ. ჩაუცმელ-დაუხურავი არც ერის კაცი ვარგა და არც ღვთის მსახური. ასეთ მაგალითზე ახალგაზრდობის აღზრდა კარგს არაფერს მოგვიტანს. ეს ცხოვრების კანონია და ამაზე სახელმწიფომ უნდა იზრუნოს.

— თქვენი ოჯახის ბიუჯეტს პრეზიდენტის სტიპენდია შეეტყო?

— იგი უდავოდ დიდი შეღავათია, მაგრამ ამბობენ, ოჯახი უძირო ორმოაო და ახლა მივხვდი — ეს სრული სიმართლე ყოფილა. ვერ გავიზიარებ მუშნის თეორიას, რომ — ადამიანი ხელფასს უნდა მოერგოს.

— რამდენადაც ჩემთვის ცნობილი გახდა, პრეზიდენტის სტიპენდიატები ამას წინათ უნივერსიტეტში შეიკრიბეთ. ეს ბრწყინვალე ღონისძიება ვის მოაფიქრდა, რა იყო შეხვედრის მიზანი?

— იდეა საინიციატივო ჯგუფში დაიბადა. მისი ერთ-ერთი მონაწილე და ორგანიზატორი მეც გახლდით. შეხვედრის მთავარი მიზანი იყო სტიპენდიატების ურთიერთგაცნობა. მოგეხსენებათ, ისეთი პატარა ქვეყნისთვის, როგორიც საქართველოა, 40 წლამდე ახალგაზრდა მეცნიერებათა დოქტორი მეცნიერების ყველა დარგში, მხოლოდ 32 კაცია, რაც არც ისე ბევრია. უთუოდ დიდი ეროვნული საქმე გაკეთდა, რომ ასეთი შემოქმედებითი კადრების წახალისება მოხდა: უდავოდ, ისინი მომავალში კადრების აღზრდისა და ეროვნული მეცნიერების გაახალგაზრდავებისათვის დღენიადაგ იზრუნებენ.

სტიპენდიატთა საუნივერსიტეტო შეხვედრაში მხარი დაგვიჭირეს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის, ტექნიკური და აგრარული უნივერსიტეტების რექტორებმა: მათ ამით ერთხელ კიდევ გამოხატეს დიდი ზრუნვა ქვეყნის მეცნიერების შემდგომი ამაღლებისათვის.

— მახსენდება, რამდენიმე წლის უკან, ხაშურში, რაიონის ლენინის ორდენოსნების შეხვედრას დავესწარი. შეკრების ყველა მონაწილეს (გარდა სტუმრებისა) ლენინის ორდენი ამშვენებდა და ეს შეკრებას ერთგვარ ლაზათს მატებდა.

იმის თქმა მინდა, რომ იქნებ მიზანშეწონილი იყოს, პრეზიდენტის სტიპენდიატისათვის ერთგვარი სამკერდე ნიშანი დაწესდეს. ამის თაობაზე თქვენ რას იტყოდით?

— რა თქმა უნდა, საქმიანი წინადადებაა. კარგი იქნება თუ სათანადო სამსახური თქვენს ნათქვამს ყურადღებას მიაქცევს და მას რეალობად აქცევს. ამით კიდევ ერთი დიდი საქმე გაკეთდება.

ჯერჯერობით მხოლოდ ის მოვახერხეთ, რომ გადაწყდა გამოიცეს წიგნი — „საქართველოს პრეზიდენტის სტიპენდიატი ახალგაზრდა მეცნიერები". წიგნის მთავარი მიზანია ფართო აუდიტორიას გააცნოს სტიპენდიატთა ბიოგრაფიული მონაცემები, მათი კვლევის სფერო და მეცნიერული მიღწევები.

მისი გამოცემა სტიპენდიატთა ხარჯით ხდება. რომ იცოდეთ, წიგნის გარეკანი უკვე მზად არის, მალე გამოვა.

— ბატონო დავით, გთხოვთ სწორად გამიგოთ, სკოლის მერხიდან დოქტორობამდე ბრწყინვალე გზა გაგივლიათ. კაცი უკეთესს ვერც ინატრებს. ნამდვილად საამაყო შვილი, მეუღლე და მამა ბრძანდებით. გულახდილად მითხარით, მეცნიერების გრძელ და მძიმე გზაზე სანანებლად ხომ არაფერი დაგრჩათ?

— ადამიანს სიხარულისთვის მცირედიც ყოფნის. ჩემთვის ყველაზე დიდი ბედნიერება ის არის, რომ დედაც და მამაც ჯანმრთელად არიან და ჩემს თავს მდიდარ ადამიანად ვთვლი, რადგან ორივე სახეზე მყავს.

არ შეიძლება ადამიანს სანანებელი ჰქონდეს რამე, თუ იგი ქვეყანას ჯანმრთელი მოევლინა. ვფიქრობ, საკუთარი თავისა და ღვთის წინაშე სულითა და ხორცით ჯანმრთელი ვარ და ამდენად, არც სანანებელი მექნება რამე.

როლანდ ბასილაშვილი.

სურათზე: საქართველოს პრეზიდენტის სტიპენდიატ ახალგაზრდა მეცნიერთა შეხვედრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში. ცენტრში თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი, აკადემიკოსი როინ მეტრეველი, მარცხნივ ტექნიკური უნივერსიტეტის რექტორი, პროფესორი რამაზ ხუროძე და საქართველოს სახელმწიფო აგრარული უნივერსიტეტის რექტორი, აკადემიკოსი ნაპოლეონ ქარქაშაძე.

ზედამხედველობა

ვეტერინარული კონტროლი ინფექციურ დაავადებებს აგვაცილებს

საზღვარგარეთის ქვეყნებიდან ცხოველებისა და ადამიანებისთვის საერთო, ცხოველთა განსაკუთრებით საშიში და სხვა გადამდები დაავადებების შემოტანა-გავრცელებისგან საქართველოს ტერიტორიის დაცვა, ასევე საერთაშორისო დადგენილი ნორმების მოთხოვნათა შესაბამისად მათი ქვეყნიდან გატანის ალკვეთა სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის ამოცანაა.

საქართველოს ვეტერინარიის დეპარტამენტში აღდგენილია სასაზღვრო-სატრანსპორტო სახელმწიფო ვეტერინარულ-სანიტარიული ზედამხედველობის სამმართველო, რომლის საკონტროლო ვეტსანიტარიული უბნები ქვეყნის სასაზღვრო გასასვლელებში, უშუალოდ საბაჟო კონტროლის ზონაში ახორციელებენ ვეტსანიტარიულ კონტროლსა და საკარანტინო ღონისძიებებს ცოცხალ ცხოველებზე, ცხოველური წარმოშობის პროდუქტებზე, ნედლეულზე, ფურაჟზე, ცხოველთა საკვებზე... გარედან განსაკუთრებით საშიში ინფექციური და სხვა გადამდები დაავადებების შემოტანა-გავრცელების, ასევე ასეთი დაავადებების ქვეყანაში არსებობისას მათი საზღვარგარეთ გატანის აღსაკვეთად.

სასაზღვრო-სატრანსპორტო სახელმწიფო ვეტსანიტარიული ზედამხედველობის მუშაობის შესახებ გვესაუბრება სამმართველოს უფროსი მიხეილ ჩოჩია:

— უპირველესად, მინდა მკითხველმა იცოდეს, რომ საქართველო არის საერთაშორისო ეპიზოტიის ბიუროს წევრი ქვეყანა, რომლის ოფისიც პარიზში მდებარეობს. ჩვენ სისტემატურად ვიღებთ და სავეტერინარო ქსელშიც ვგზავნით ინფორმაციებს მთელ მსოფლიოში არსებული ეპიზოოტიური მდგომარეობის, დაავადებების არსებობის შესახებ.

— ბატონო მიხეილ, როგორც ვიცით, თქვენი უბნები პირდაპირ საზღვრებზეა განლაგებული. რა მდგომარეობაა ამ მხრივ იქ, გაქვთ სამუშაო პირობები?

— ქვეყანაში შექმნილი ეკონომიკური მდგომარეობიდან გამომდინარე, სასაზღვრო ზედამხედველობის ვეტუბნები შეხიზნული არიან მებაჟეთა ან მესაზღვრეთა კუთვნილ შენობებში. ამასთან, საბაჟოს ხელმძღვანელები ზოგჯერ არად აგდებენ არა მარტო ჩვენს, არამედ სამედიცინო და ფიტოსანიტარიულ სასაზღვრო-საკარანტინო სამსახურებს, კონტროლის ზონიდან მათი თვეობით გამოყვანის ფაქტებიც ყოფილა.

დასამალი არ არის ის გარემოება, რომ ყოფილი სსრკ-ს ქვეყნების საზღვრები კვლავაც დაუცველია, გრუნტიანი და მინდვრის გზებით შესაძლებელია არა მარტო ცხოველების გადაყვანა-გადმოყვანა, არამედ კარგ ამინდში ნებისმიერი ავტომანქანებით ტვირთის უკონტროლო გადაზიდვაც.

— რამდენი სავეტერინარო საკარანტინო უბანი მოქმედებს სულ ქვეყანაში?

— ასეთი პუნქტი დღეისათვის არის 27. 4 აეროპორტში, 2 — ნავსადგურებში, 2 — რკინიგზისა და 19 — სახმელეთო-საავტომობილო გადასასვლელებში. ამასთან, აფხაზეთსა და სამაჩაბლოში კონფლიქტური სიტუაციის გამო ვერ ვაკონტროლებთ სიტუაციას ისე, როგორც საჭიროა.

უახლოეს პერიოდში გაიხსნება სავეტერინარო-სანიტარიული პუნქტი საქართველო-თურქეთის საზღვარზე, სოფელ კარცახთან, სამცხე-ჯავახეთის რეგიონში.

— როგორც ჩანს, საკმაოდ რთულ პირობებში გიწევთ მუშაობა. რაში ხედავთ გამოსავალს?

— მიუხედავად ყველაფრისა, საზღვარზე განლაგებული 14 პუნქტი აღვჭურვეთ მობილური სატელეფონო აპარატებით, რაც იძლევა ინფორმაციის დროულად მიწოდების საშუალებას, ამასთან, საქართველოს მიერ 1997 წელს ევროსაბჭოში წარდგენილი წინადადებებისა და დასაბუთებული პროგრამის საპასუხოდ წლეულს, მარტის პირველ რიცხვებში ბრიუსელში მიმდინარე ევროკომისიის სხდომაზე გადაწყდა არა მარტო ჩვენი ქვეყნის, არამედ აზერბაიჯანისა და სომხეთის ბუფერულ ზონებად აღიარება და საქართველოსთვის უფასოდ 1,250 მილიონი დოზა თურქულის ვაქცინის გამოყოფის საკითხიც.

ასევე მარტში, ჟენევაში მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის წევრი ქვეყნების წარმომადგენელთა კრებაზე ჩვენი დელეგაციაც იყო მიწვეული (დელეგაციას ხელმძღვანელობდა **ნუგზარ დუჩიძე**). ამ ორგანიზაციის ამერიკის წარმომადგენელმა ჩვენს დელეგაციას თავისი ქვეყნის მხრივ მატერიალურ-ტექნიკური დახმარება და ამ საკითხთა (სასაზღვრო გასასვლელებში სასოფლო-სამეურნეო საკარანტინო სამსახურებისათვის შენობა-ნაგებობების, საკომუნიკაციო კავშირების, ღეზბარიერებისა და სადეზინფექციო მოწყობილობების, მინი ექსპრეს-ლაბორატორიების, ამოღებული კონფისკატების გასანადგურებელი კრემატორიუმების, ტრანსპორტის) სასწრაფოდ მოგვარება აღუთქვა, რის შემდეგაც წლის დამლევისათვის საქართველო მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში უნდა გაწევრიანდეს.

უკვე მეორე წელიწადია, საქართველოში იმყოფება მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის რეფორმათა ცენტრის აღმასრულებელი დირექტორი ალან შინი, რომელიც ეცნობა ფიტოსანიტარიული და სავეტერინარო-საკარანტინო სამსახურების მდგომარეობას, მათი საკანონმდებლო ბაზით დაწყებული და მატერიალურ-ტექნიკური და სპეციალისტების პროფესიული მომზადების დონით დამთავრებული. უკვე განხილულია მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის მოთხოვნათა შესაბამისად სახელმწიფო სავეტერინარო და ფიტოსანიტარიული სასაზღვრო-საკარანტინო სამსახურების მოწყობის, მატერიალურ-ტექნიკური დახმარების საკითხი. რაც მთავარია, სპონსორი ქვეყანა უკვე ნაპოვნია — ეს ამერიკაა!

— ბატონო მიხეილ, გთხოვთ დაგვისახელოთ საქართველოს საზღვაო ნავსადგურებში, აეროპორტებში და სახმელეთო გასასვლელებში თქვენი სამსახურების მიერ აღკვეთილი ტვირთები.

— 1998 წლის მონაცემებით დაავადებაზე, საკვებვარგისიანობაში ეჭვის მიტანის, ვეტერინარული საბუთების არქონის მიზეზით აღკვეთეთ სასაზღვრო გასასვლელებში ექსპორტ-იმპორტის სახით მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვი — 376 სული, წვრილფეხა რქოსანი პირუტყვი — 735 სული, ძაღლი — 2 სული, ღორი — 57 სული, ფრინველი — 3346 სული, ხორცი — 2470 კგ, თევზი — 4755 კგ, ძეხვი — 910 კგ, ცხვრის ტყავი, მატყლი, ცხიმი, რძის პროდუქტები, ნაკელი, თივა... აღნიშნულ ღონისძიებებს ჩვენ კვლავაც გავატარებთ...

საზღვარზე ვეტერინარული კონტროლი ჩვენს მოსახლეობას ააცილებს მრავალ ინფექციურ დაავადებას. ამიტომ არის ესოდენ მნიშვნელოვანი და საჭირო ჩვენი არსებობა...

ლია ჭიღლაძე.

ვეტერინარია

ეპიზოოტიიდან ეპიდემიამდე ერთი ნაბიჯია

ბევრჯერ ითქვა და დაიწერა, რომ ადამიანის ჯანმრთელობისათვის მავნე პროდუქციამ წალეკა ჩვენი ბაზრები და თქვენ წარმოიდგინეთ, მსხვილი სავაჭრო ცენტრებიც კი.

ფალსიფიკატორები ისეთ დონეზე მუშაობენ, ვეტერინარიული შემოწმების გარეშე პრაქტიკულად შეუძლებელია ამა თუ იმ პროდუქტის ვარგისიანობის დადასტურება, ამას ემატება ისიც, რომ მომხმარებლის მსყიდველობითი უნარი ჯერჯერობით ისევ საგრძნობლად დაბალია, ურჩევნია იაფი საქონელი იყიდოს. მაგრამ როდემდე შეიძლება ასე გაგრძელდეს?

ვეტერინარული კანონის შექმნის სათავეები შუა საუკუნეებიდან მოდის, როცა სხვადასხვა ქვეყანაში ოფიციალურ დონეზე უმარტივეს ღონისძიებებს ახორციელებდნენ, რომელთა მეშვეობითაც დაავადებულ ცხოველებს გზას გადაუკეტავდნენ ხოლმე.

საქართველომაც, თავის დროზე, ვეტერინარიის განვითარებაში, მისი საკანონმდებლო ბაზის ჩამოყალიბებაში მეორე როლი როდი შეასრულა. დღეისათვის 5 ათეულზე მეტი სხვადასხვა ფორმის, შინაარსისა და მოცულობის ხუცურად, თუ მხედრულად დაწერილი ქართული დოკუმენტია ცნობილი... ეს დოკუმენტები უცილობლად მიანიშნებენ, რომ ამ პროფესიას ჩვენს ქვეყანაში დიდი ხნის ისტორია აქვს. საგულისხმოა ის ფაქტიც, რომ პირველი ქართული ვეტერინარული წიგნი, კარაბადინის სახით, პეტერბურგში საკუთარი ინიციატივით გამოსცა ბატონიშვილ ბაგრატ ბაგრატიონმა 1818 წელს.

ვეტერინარია დღესაც მეტად აქტუალური დარგია, რადგან ცხოველებისა და ადამიანის საერთო დაავადებათა რიცხვი ამჟამად ორასამდეა, მათგან 150 ინფექციურია. ამიტომ ვეტერინარი არა მარტო ცხოველს იცავს, არამედ, უპირველესად, ადამიანს. უფრო მეტიც, მან უნდა დაიცვას მოსახლეობა კვების პროდუქტებით მოწამვლისაგან. ამიტომაც არის, ალბათ, რომ ვეტერინარია ცივილიზებულ ქვეყნებში ოდითგანვე პრესტიჟულ პროფესიად ითვლებოდა. საყოველთაოდ ცნობილია, რომ ვეტერინარულ კეთილსაიმედობას აღწევენ მხოლოდ ის ქვეყნები, სადაც ზედმიწევნით სრულდება მარეგულირებელი აქტებით გათვალისწინებული მოთხოვნები, წინააღმდეგ შემთხვევაში, უცხოელები უარს ამბობენ მათთან ურთიერთობაზე.

საქართველოში ვეტერინარულ სამსახურს სოფლის მეურნეობისა და სურსათის სამინისტროს ვეტერინარიის დეპარტამენტი ახორციელებს, რომელსაც **გია ჯიქია** ხელმძღვანელობს. ამას წინათ ამ სტრუქტურაში რეორგანიზაცია მოხდა, ჩამოყალიბდა საქართველოს ვეტერინარული დიაგნოსტიკისა და ექსპერტიზის ეროვნული ცენტრის თბილისის რეგიონული სამსახური და თბილისის ვეტერინარიის ინსპექცია, რომელიც ქალაქის მერიისა და საკრებულოს დაქვემდებარებაშიც არის.

– თბილისის ვეტერინარიის ინსპექციის მუშაკები ქალაქის ტერიტორიაზე განლაგებულ ობიექტებს (მაღაზიები, ფირმები, კორპორაციები, ერთი პირის საწარმოები, რომლებიც ხორცისა და რძის პროდუქტებს ამზადებენ ან ჰყიდიან) შეამოწმებენ, მითხრა **ინსპექციის უფროსმა, თბილისის მთავარმა ვეტერინარ ინსპექტორმა ბატონმა ნუკრი ზუზუშვილმა**, მასთან მთელ რიგ პრობლემებზე ვისაუბრეთ, – ადრე ინსპექცია და დიაგნოსტიკისა და ექსპერტიზის ეროვნული ცენტრი ერთ სტრუქტურას, ვეტერინარიის სამმართველოს შეადგენდა, მაგრამ კოლეგიისა და უცხოეთიდან ჩამოსულმა ექსპერტებმა და მსოფლიო ბანკის წარმომადგენლებმა უცილობლად მიიჩნიეს დიაგნოსტიკური ცენტრისა და ინსპექციის ცალ-ცალკე გამიჯვნა. უკვე ჩამოყალიბდა დიდუბის – ჩუღურეთის, სამგორის, ისნის რაიონების ვეტ. სან. ექსპერტიზის კაბინეტები, რომლებიც თანამედროვე სტანდარტების დონეზეა აღჭურვილი, მალე ყველა რაიონში იქნება ასეთი კაბინეტები. მერიამ, საკრებულომ და რაღა თქმა უნდა, გამგეობებმა ყველაფერი გააკეთეს იმისათვის, რომ ამ საქმეში თავიანთი წვლილი შეეტანათ, და ჩვენ მადლობის მეტი არაფერი გვეთქმის.

ცენტრი ანალიზებს შეამოწმებს, ინსპექცია კი მათ მუშაობას უხელმძღვანელებს. იქნება გეგმიური შემოწმებები არა მარტო ცალკეულ ობიექტებში, არამედ თბილისში არსებულ ყველა ბაზარსა თუ ბაზრობებზე.

მაგრამ როგორც ბატონმა ნუკრიმ აღნიშნა, ვეტინსპექციის მთავარი დანიშნულება მარტო ხორცისა და რძის პროდუქტების შემოწმება როდია, უპირველესად იგი ცხოველთა დაავადებებთან მებრძოლი ორგანოა. თუ ცხოველი ჯანმრთელია, შესაბამისად მისი ხორციც ჯანმრთელი იქნება. ჩვენი მთავარი მიზანია ცხოველი იყოს ჯანმრთელი. ამიტომ განუხრელად ვანხორციელებთ, ეპიზოოტის საწინააღმდეგო ღონისძიებებს, რომელთა მიზანია გადამდები დაავადების პროფილაქტიკა, დაავადებათა კერების ლოკალიზაცია-ლიკვიდაციის მიზნით, და ქალაქის ტერიტორიის დაცვა ცხოველთა გადამდები დაავადებების აღმძვრელის შემომტანისა და გავრცელებისაგან.

1996-97 წლებში თბილისში ცოფით 9 ადამიანი გარდაიცვალა, რამაც საგანგაშო მდგომარეობა შექმნა. მთლიანად რესპუბლიკაში განხორციელდა მთელი რიგი ღონისძიებები ამ საშიში დაავადების სასწრაფო ლოკალიზაციისათვის. მერიამ გამოყო თანხა, ამ ფულით შევიძინეთ სათანადო ვაქცინები, რითაც მოხერხდა ამ საშიში დაავადების კერის ჩაქრობა. 1998 წელს დედაქალაქში როგორც ცხოველის, ისე ადამიანის ცოფით გარდაცვალების არცერთი ფაქტი არ დაფიქსირებულა. ყოველივე ეს განხორციელდა მეცნიერებისა და პრაქტიკის ვეტერინარიის სამსახურის მუშაკების მიერ შემუშავებული პროგრამით, რომელიც 12 ათასი ლარი დაჯდა, მაშინ როცა უცხოელების მიერ შედგენილ პროგრამაში ხარჯთაღრიცხვა 500 ათას დოლარს ითვალისწინებდა.

1998 და 1999 წლის დასაწყისისათვის თბილისი, მართალია, ეპიზოოტიის მხრივ კეთილსაიმედო იყო, და არის, მაგრამ ეს მდგომარეობა დამშვიდების საშუალებას როდი გვაძლევს, თქვა ქალაქის მთავარმა ვეტინსპექტორმა, – მით უმეტეს, **მაწანწალა ძაღლების მიგრაცია თბილისისაკენ ძალიან დიდია**, გარდა ამისა, 5000-მდე პირუტყვია აღრიცხული თვით თბილისში, თითოეული სტრატეგიული დაავადების მატარებელია, დროულად ტარდება ვაქცინაცია, როგორც მოგეხსენებათ, ციმბირული წყლულის და თურქულის ვაქცინაცია უფასოა, ფინანსდება მერიის მიერ გამოყოფილი თანხით, კარგია, რომ ამუშავდა ტაბახმელის ბიოკომბინატი, საიდანაც შედარებით დაბალ ფასში (უცხოეთთან შედარებით) ვიღებთ თურქულის საწინააღმდეგო ვაქცინას.

ამ მუშაობის პარალელურად, როგორც უკვე მოგახსენეთ, სისტემატურად განვახორციელებთ გეგმიურ შემოწმებებს ბაზრობებსა და ბაზრებში. უახლოეს ხანში, როცა თბილისის ყველა რაიონს ექნება ვეტსან ექსპერტიზის კაბინეტები, ამ მხრივ კონტროლი კიდევ უფრო გაძლიერდება. არ შეიძლება ბუნებრივად ჩაითვალოს ის მდგომარეობა, რომ მაღაზიებში და ბაზარში ადამიანის ჯანმრთელობისათვის საშიში პროდუქტი იყიდებოდეს. მომხმარებელი დარწმუნებული უნდა იყოს, რომ მის სიცოცხლეს საფრთხე არ ემუქრება. ცენტრალურ ბაზარს და ზოგ ბაზრობას ვეტლაბორატორია აქვთ, სადაც სპეციალისტები საკვებპროდუქტების ვარგისიანობას ადგილზევე ახორციელებენ. ბევრ სუპერმარკეტში ჩვენი მოთხოვნით ვეტექიმის შტატიც არსებობს.

მთავარი ჩვენს მუშაობაში დაფინანსება და მაღალი მოთხოვნილობაა.

წარმოდგენაც არ შეიძლება, დედაქალაქში რა მდგომარეობა იქნებოდა, მერია რომ არ გვაფინანსებდეს და ცხოველისა და ადამიანის საერთო დაავადებათა ლიკვიდაციისათვის საკმაო თანხა არ იხარჯებოდეს?

ჩემს შეკითხვაზე, თუ შარშან რა რადიკალური ღონისძიებები გაატარეს, ინსპექციის მუშაკებმა სპეციალურ დავთარში ჩამახედეს, სადაც აღნიშნული იყო, რომ სახელმწიფო ვეტერინარული ინსპექციის თანამშრომლების მიერ შემოწმების შედეგად შარშან, 70-მდე ობიექტი გააფრთხილეს, – 50-მდე ობიექტი დაიკეტა, სამართალდამცავ ორგანოებს კი 4 საქმე გადაეცა...

გლდანის ბაზრის მიმდებარე ტერიტორიაზე (ფორე მოსულიშვილის ქ. 1-ში) არსებულ ხორცის გადამამუშავებელ საამქროს აეკრძალა მუშაობა და შემდეგ გაუქმდა.

წლეულს, 2 თვეში, მუშაობა აუკრძალეს 2 ობიექტს, გაფრთხილდა 6, სამართალდამცავ ორგანოებს გადაეცა 1 საქმე. ვეტინსპექცია გვაფრთხილებს გასაყიდად გამოტანილი ყველა პროდუქტი ვეტსანექსპერტიზის კაბინეტში უნდა იყოს შემოწმებული, რის საფუძველზეც გაიცემა შესაბამისი სერტიფიკატიც (უხარისხო პროდუქტი ნადგურდება). ნებისმიერ მოქალაქეს, რომელსაც ეჭვი შეეპარება შეძენილი პროდუქტის ვარგისიანობაში, ვეტლაბორატორიები უფასოდ მოემსახურებიან და სათანადო კონსულტაციას გაუწევენ.

ქვეყანაში შექმნილმა მძიმე სოციალურმა მდგომარეობამ ჩვენს ერთგულ, უღალატო მეგობარ ძაღლებსაც დარია ხელი. როგორც ვეტინსპექციაში მითხრეს, სოფელში რომ საკბილო გამოელიათ, ქალაქისაკენ დაიძრნენ. ხროვა-ხროვა მოედენენ თბილისში მომრავლებულ ბაზრობებისა და რესტორნების სანაგვეებს, თქვენ წარმოიდგინეთ, თავიანთი სათარეშო უბნებიც კი დანაწილებული აქვთ და ძაღლური კანონის თანახმად, იქ სხვა თანამოძმეს არ უშვებენ.

ქალაქის ეპიდემიოლოგიურ და სანიტარიულ მდგომარეობაზე ზრუნვა მარტოოდენ ვეტერინარული ინსპექციის საქმე როდია, ამაზე მთელი საზოგადოებაც უნდა დაფიქრდეს.

ნაზი იმნაიშვილი.

თანადგომა

საკრედიტო კავშირები დევნილთა დასახმარებლად

აფხაზეთის, გალის რაიონისა და ცხინვალის რეგიონის ეკონომიკური და სოციალური რეაბილიტაციის საგანგებო კომისიის მიერ დამტკიცებული პროგრამის შესაბამისად, საკრედიტო საბჭოს (თავმჯდომარე გ. ...ებარიძე) კრედიტების მართვისა მართვის ადმინისტრაციული ჯგუფის მიერ ჩატარებულია მნიშვნელოვანი მუშაობა აფხაზეთიდან და სამაჩაბლოდან დევნილთა საკრედიტო კავშირების შესაქმნელად.

საერთაშორისო პრაქტიკაში მიღებული გამოცდილების საფუძველზე შემუშავებულია ნორმატიული დოკუმენტები დევნილთა საკრედიტო კავშირების საქმიანობის გაუმჯობესებისათვის. მისი ჩამოყალიბების ძირითად კრიტერიუმად განსაზღვრულია დევნილთა კომპაქტურად დასახლება, მათი ნათესაურ კავშირში ყოფნა, ცხოვრების [illegible]. კავშირების შექმნისათვის საჭირო მასალების მომზადებაში მონაწილეობდნენ მსოფლიო ბანკის ადგილობრივი ექსპერტები.

აღსანიშნავია, რომ დევნილთა საკრედიტო კავშირები იქმნება საფრანგეთის მთავრობის სასურსათო დახმარების მონეტიზაციის შედეგად მიღებული თანხების გამოყენებით.

საფრანგეთის მხარესთან შეთანხმებით, 1998 წელს ზუგდიდის რაიონში და ცხინვალის რეგიონში უკვე ჩამოყალიბდა სამი საცდელი გლეხთა საკრედიტო კავშირი, რომელშიც გაერთიანდა 90 ლტოლვილი, მათ შორის 36 ქალია. კავშირებს განეკუთვნა 22 ჰექტარი სახნავი მიწა და 18 ჰა საძოვარი, აგრეთვე სხვადასხვა დანიშნულების შენობა-ნაგებობანი და სასოფლო-სამეურნეო ტექნიკა.

ზუგდიდის რაიონის სოფელ ჩხორიაში ჩამოყალიბებულია საკრედიტო კავშირი სახელწოდებით „აჩიგვარა“, რომელიც აერთიანებს 30 დევნილს. გალის რაიონის სოფელ აჩიგვარადან კავშირი ძირითადად მეცხოველეობით, მეთევზეობითა და მემცენარეობითაა დასაქმებული. ისინი 8 ჰა სახნავი მიწას, 50 სულზე მეღორეობის ფერმას, მსხვილფეხა რქიანი პირუტყვის სადგომსა და სატბორე მეურნეობას განაგებენ. ამის გარდა, ზუგდიდის რაიონის სოფელ ერგეტაში შეიქმნა საკრედიტო კავშირი „როკონა“, რომელშიც გაერთიანებულია 30 დევნილი გალის რაიონის სოფელ ბარღებიდან. ისინი ფლობენ 3 ჰა სახნავ მიწას, პირუტყვისათვის – ფერმასა და სხვადასხვა დამხმარე ნაგებობას.

ცხინვალის რაიონის სოფელ ერედეში ჩამოყალიბდა საკრედიტო კავშირი „ლიახვი“, რომელიც ცხინვალის რეგიონიდან დევნილ 30 წევრს აერთიანებს. კავშირის წევრთა ძირითადი საქმიანობაა მეცხოველეობა, სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოება, შესყიდვა და გასაღება. „ლიახვს“ ეკუთვნის 15 ჰა სახნავი მიწა, 14 ჰა საძოვარი, მეცხოველეობის ფერმა და სასაწყობო მეურნეობა.

ზემოთ აღნიშნულ სამივე საკრედიტო კავშირზე 1998 წელს გაცემულია სადამფუძნებლო გრანტი, თითოეულზე 4950 ლარი და სარეგისტრაციოდ – 400 ლარი. სამივე კავშირზე გაცემულმა თანხამ 16.050 ლარი შეადგინა. გარდა ამისა, მიღებულია გადაწყვეტილება საორგანიზაციო გრანტების გაცემაზე, თითოეულ კავშირზე 1150 ლარის ოდენობით. აღსანიშნავია, რომ საკრედიტო კავშირის თითოეული წევრის პირადმა საპაიო შენატანმა შეადგინა 5 ლარი, რის შედეგადაც თითოეული კავშირის საწესდებო ფონდია 5100 ლარი. სამივე კავშირმა არსებული წესით უკვე გაიარა სასამართლო რეგისტრაცია და წარმოადგენენ დამოუკიდებელ იურიდიულ პირებს. კავშირის წევრებთან ჩატარებულია წინასწარი მოსამზადებელი ახსნა-განმარტებითი სამუშაოები და რეიტინგი საბუღალტრო დოკუმენტაციის სწორად შედგენაზე, უკვე დაიწყო კავშირის წევრებზე კრედიტების გაცემა.

აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის ეკონომიკური და სოციალური რეაბილიტაციის საგანგებო კომისიის (თავმჯდომარე ბ. გულუა) გადაწყვეტილებით და საფრანგეთის მხარესთან შეთანხმებით დაგეგმილია 50 დევნილთა საკრედიტო კავშირის შექმნა. ჩატარებული მუშაობის შედეგად 1999 წლის 1 იანვრისათვის უკვე ჩამოყალიბებულია 30 საკრედიტო კავშირი. კერძოდ, სამეგრელოს მხარეში – 17 კავშირი, იმერეთის მხარეში – 4, ცხინვალის რეგიონში – 3, მცხეთა-მთიანეთში – 2, ქვემო ქართლში – 2 და თბილისის გარეუბანში – 2 კავშირი. აღნიშნულ კავშირებში გაერთიანებულია 912 დევნილი, რომელთაგან 456 ქალია, გალის, ოჩამჩირის, გულრიფშის, სოხუმის, გუდაუთის რაიონებიდან. ცხინვალის რეგიონიდან, ქალაქებიდან სოხუმიდან და გაგრიდან.

ფრანგულ მხარესთან საბოლოო შეთანხმების მიღების შემდეგ, 1999 წლის იანვრის ბოლოს, აღნიშნულ კავშირებზე გაიცემა დასამფუძნებლო და სარეგისტრაციო გრანტი, რაც კავშირებს შესაძლებლობას მისცემს გატარდნენ რეგისტრაციაში და შეუდგნენ წესდებით გათვალისწინებულ სამეწარმეო და საფინანსო საქმიანობას.

დევნილთა დასაქმებისა და მათი სოციალური პირობების გაუმჯობესებისთვის საკრედიტო კავშირის შექმნას დიდი მნიშვნელობა აქვს, ამიტომაა, რომ დევნილები საკრედიტო კავშირების შექმნას მოწონებით ხვდებიან.

მიმდინარე წლის 15 იანვარს აფხაზეთის, პირველ ეტაპზე გალის რაიონის და ცხინვალის რეგიონის ეკონომიკური და სოციალური რეაბილიტაციის საგანგებო კომისიამ თავის სხდომაზე, რომელსაც ამ კომისიის თავმჯდომარე ბატონი ბაკურ გულუა უძღვებოდა, განიხილა დევნილთა საკრედიტო კავშირების შესაქმნელად გაწეული მუშაობის შედეგები და სამომავლოდ დასახა სათანადო ღონისძიებები, კომისიამ თხოვნით მიმართა მსოფლიო ბანკის პროექტს – „საქართველოს სოფლის მეურნეობის განვითარება“, საკრედიტო საბჭოსა და კრედიტების მართვის ადმინისტრაციულ ჯგუფთან ერთად მსოფლიო ბანკის გეგმით გათვალისწინებული ტრეინინგის პროგრამაში ჩამოყალიბებული საკრედიტო კავშირების ჩაბმა.

დევნილთა ტექნიკური დახმარების გაწევის მიზნით, გათვალისწინებულია, რომ ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის კრედიტით შემოტანილი „სინტან-180“ მარკის ტრაქტორები ჰუმანიტარული დახმარების სახით 120 ცალი გაიცეს დევნილებზე, მათ შორის 50 ტრაქტორი გაიცემა საკრედიტო კავშირებზე. ამ რაოდენობიდან დღეისათვის უკვე გაცემულია 64 ტრაქტორი. ტრაქტორების დანარჩენი რაოდენობა მათზე გაიცემა მიმდინარე წელს.

გატარებული ღონისძიებების შედეგად შორს აღარ არის ის დრო, როცა დევნილებს ამ დახმარებებთან ერთად სხვა მნიშვნელოვანი ფინანსური და ტექნიკური დახმარებაც რეალურად გაეწევათ.

ირაკლი დვალი.

მთა

ბერმუხა წაიქცა!...

შარშან, ოქტომბრის თორმეტს, საქართველოს მთიანეთის ერთ მიკარგულ და უჩინო სოფელში გულის უკმარისობით გარდაიცვალა სამოცდათერამეტი წლის კაცი – მოთა გოგოლაური. დიდი ამბავიო, – იტყვის ზოგიერთი. დღეს სიკვდილი ვის უკვირს, თანაც, სამოცდათერამეტი წლის კაცისაო... შეიძლება მეც ასე მეფიქრა, ცოტა უფრო მეტი რომ არ ვიცოდე საბუდარაზე, მის წარსულსა და დღევანდელობაზე, მოთა და დარო გოგოლაურებზე, იმათ მთამომავლებზე. მოთა გოგოლაური ივლისში, მისი გვარის სახელობის დღეობაზე გავიცანი, თანაც – ზუსტად თორმეტ რიცხვში. ამის მერე ჩემმა კეთილმა და გამორჩეულმა მასპინძელმა ზუსტად სამი თვე იცოცხლა...

ნათქვამია, ზოგი მკვდრად იბადება, ზოგი სიკვდილის შემდეგაც სიცოცხლეს აგრძელებსო. მე მგონია, მოთა გოგოლაური, რომელსაც არც სამეცნიერო ხარისხები ჰქონია და არც მაღალი თანამდებობები სჭერია, სწორედ ისეთი კაცია, ვინც ძალიან დიდხანს არ დაგავიწყდება.

არ დაგავიწყდება, რადგან... სწორედ ის აცოცხლებდა ერთ ქართულ სოფელს და მისი სიკვდილით დაესვა წერტილი მის ყოფნა-არყოფნას...

ნუ მიწყენენ სხვა გოგოლაურები – ნურც მოთას მონაგარნი და ნურც მისი ბიძა-ბიძაშვილები. წლების მანძილზე ისინი ზაფხულობით დასასვენებლად ან დღეობაში მამა-პაპათა სულის მოსახსენიებლად, საგვარეულო ნიშთან საკლავის მისაყვანად და სანთლის დასანთებად თუ ამოდიოდნენ მთაში, მოთა და დარო გოგოლაურები კი წლიდან წლამდე ფეხმოუცვლელად იქ ცხოვრობდნენ. ხნავდნენ და თესავდნენ, თოხნიდნენ და მკიდნენ, თიბავდნენ, საქონელს ზრდიდნენ, ფუტკარს უვლიდნენ, პატარა ხეობაში ჩადგმულ წისქვილს ამუშავებდნენ და საკუთარი მარჯვენით მოწეულ პურსა ჭამდნენ. სხვისთვის არასოდეს უთხოვიათ შემწეობა. პირიქით, სხვების შემწე და დამხმარენი იყვნენ. ისინი ახმიანებდნენ ამ მართლაც სამოთხეს ზამთარშიც და ზაფხულშიც, მხოლოდ ამათ ღობეზე შემხტარი მამალი ამცნობდა ხოლმე ქვეყანას ბორჩხალა მზის დაბადებას, ამათ ღობეზე მიბმული ჭრელა ჭიმავდა ხოლმე ჯაჭვს, რათა ავი განზრახვით მოსული ოთხფეხა თუ ორფეხა ნადირისთვის მადა დაეკარგვინებინა.

და მიწის ერთგული მთიელი ტკბებოდა სიცოცხლით. ისიც ეამაყებოდა, რომ ამ მთას, ამ პაწია სოფელს მისით ედგა სული...

და აი, ბერმუხა წაიქცა...

სულ ერთი დღე გავატარე მოთა გოგოლაურთან. ის ძალიან ჰგავდა ზეპირ თქმულებებში შემორჩენილ დევგმირს, რომელიც ნიადაგ სამშობლოს კეთილდღეობაზე ფიქრობს. ტრიბუნებს კი არ ითხოვდა, რომ თავისი ნამოქმედარის შესახებ ქვეყანა შეეყარა, ნახეთ, რა ბიჭი ვარო! არა! უხმოდ, უჩუმრად აკეთებდა ყოველდღიურ, თითქმის პროზაულ საქმეს: აწარმოებდა მინამეურნეობას, თავკაცობდა კოლმეურნეობის ბრიგადას, მთაში მოწეული სარჩო-საბადებელით ამარაგებდა მიზეზთა და მიზეზთა გამო ბარად ჩასახლებულ შვილებს, შვილიშვილებს. და ამ ყოველდღიური საზრუნავით ასრულებდა თავის უზენაეს ადამიანურ მისიას – სიცოცხლეს უხანგრძლივებდა მთის პაწია სოფელს, თავისი მამა-პაპის სალოცავებს...

მე ვნახე მისი საცხოვრისი, ოთხფეხით სავსე ბოსელ-საბძელი, აქოჩრილი სიმინდის ყანა და აყვავებული კარტოფილი, მოზუზუნე საფუტკრე და მხიარული წისქვილი, ვიყნოსე მთის ქალბატონის – დაროს ხელით გამომცხვარი პურის სურნელი. გოგოლაურების მამაპაპეულ ნიშში მეც იმათებურად დავანთე სანთელი, დავილოცე და გადაეკარი ქიპიტაური – ერთნახადი ხილის არაყი.

იმ დღეს გოგოლაურების ეზოში რატო სამოცმა კაცმა არ მოიყარა თავი, მერე კი გაბრიელ გოგოლაურმა – მოთას ბიძაშვილმა, თავისთან გადაგვიპატიჟა. ხმაში ფოლადი ერია ჩვენს თამადას, გოგოლაურის უმრწემეს ვაჟს ზურაბს. ისმოდა დიდებული სიმღერები – „მრავალჟამიერით" დაწყებული და „ჩაკრულოთი" დამთავრებული. მღეროდნენ ამ საქმის დიდოსტატები – ლევანი, იური, გოგი, გივი, სუმელჯი... მოთა გოგოლაურის შვილიშვილები მაია და ლელა... ამ სიმღერებში იყო რაღაც შეუცნობელის შეცნობის სურვილიც, მონატრებაც, თითქოს ვიღაცისადმი საყვედურიც.

ეს ხალხი, ეს ახალგაზრდები, ცხოვრების მკაცრმა პირობებმა გაარიდა ამ მართლაც სამოთხეს. მხოლოდ მოთასთანა „ჯიუტები" დარჩნენ მამა-პაპის კერაზე. მერე უსაშველოდ მძიმე ჯაფაში გავიდა წლები და ისინიც თანდათან გაეპარნენ წუთისოფელს. დარჩა იმათი თვალებამოღამებული სახლები, აჭინჭრებული ეზოები, დრო-ჟამისაგან ჩაშლილ-ჩაშავებული ღობეები. ხამუშ-ხამუშ ამოსული ახალგაზრდები წამიერად გააცოცხლებდნენ მიდამოს. მათი ომახიანი სიმღერები შეეხლებოდა ამწვანებულ მთათა კალთებს. მერე მიტოვებულ ეზოებში ისევ საყდრული მყუდროება ისადგურებდა, რათა მოთმინებით დალოდებოდნენ მომავალი წლის ამ დღეს...

მოთა გოგოლაურმა ფეხმოუცვლელად აქ გაატარა ღვთისაგან ბოძებული სიცოცხლე. მხოლოდ ცხრაასორმოცდაერთში მიატოვა აქაურობა – იმანაც იარაღი აისხა. სამი წლის შემდეგ დაბრუნდა დაჭრილ-დასახიჩრებული. ქოხი ჩადგა, კერაზე ცეცხლი დაანთო, დაროსთან ერთად შვილები დაზარდა. მერე სოფელი შემოჩვეულმა მეწყერებმა შეაწუხა და რადგან საშველი არსაიდან ჩანდა, შვილები ქალაქში ჩამოიყვანა. ახლა თეიმურაზსაც, ზეზვასაც და ზურაბსაც თავ-თავისი ფუძე აქვთ. ისინიც შვილებსა და შვილიშვილებს ზრდიან. ისინიც თავისებურად იხდიან საქვეყნო ვალს. დროდადრო ამოდიან მთაში, ხან მოვალეობის, ხან აუცილებლობის გამო. შეატყეს, რომ მამას ძველებურად ვეღარ მოსდევდა მუხლი. ნელ-ნელა შეაპარეს, ბარში უნდა წამოგვყვეო. განა არ იცოდა მოთამ, რომ ეს დღე დადგებოდა, მაგრამ მაინც იდარდა – ან კერის ერთგულ ჭრელას რა უყოს, ან საქონელს. როგორ გამოკეტოს კარი, როგორ დატოვოს ყველაფერი ღვთის ანაბარა! ამ გაუსაძლისმა დარდმა და ვარამმა გული გამოუჭამა.

და ერთ დღეს უმცროსმა გოგოლაურმა მამა წისქვილთან, მამბნარში პირქვეჩამხობილი ნახა... სამ დღეს კიდევ იცოცხლა და სული ისე მიაბარა უფალს, გონი არ დაუკარგავს. აქეთ ამხნევებდა შეფიქრიანებულ, ქალაქიდან შურდულივით ავარდნილ შვილებს.

მიიცვალა კაცი და... ეჭქვეშ დადგა კიდევ ერთი სოფლის ბედი.

ნურავინ დამძრახავს – ნურც თეიმურაზი, ნურც ზეზვა, ზურაბი, სუმელჯი, გივი, სხვები და სხვები. ისინი ქალაქს შეეჩვივნენ, ყველას თავთავისი საფიქრალი აქვს. კი, როცა ბარის საქმეს მოითავებენ, ორიოდე დღით ავლენ მთაში, მაგრამ მხოლოდ ორიოდე დღით... მერე, ალბათ, ესეც მობეზრდებათ – ცხოვრებაა ასეთი. როცა სოფელს გზა-კვალი არა აქვს, როცა იქ სულიერი აღარ ჭაჭანებს, ყველა ერიდება და გაურბის... განწირულია საბუდარაც, რომელსაც უპირველესი მზრუნველი და ერთგული მეციხოვნე მოთა გოგოლაური მოუკვდა. სხვებს – არა მარტო ხალხს, მთავრობასაც, ჯერჯერობით მისი ყოფნა-არყოფნა არც ახსოვთ და არც ძალიან ადარდებთ.

აი, კიდევ ამიტომ დამწყვიტა გული მოთა გოგოლაურის სიკვდილმა.

რამდენი მოთა გოგოლაური დაგვრჩა დღეს საქართველოს მთიანეთში?

რამდენ სოფელს ელოდება საბუდარას ბედი?

როდის მოვა დრო, როცა მეც, შენც, პეტრესაც და პავლესაც დააფიქრებს ეს მწარე ამბავი, რომ ერთხელ კიდევ ჯიქურ შევხედოთ თვალებში უამურ რეალობას? ტყუილად ხომ არ წუხს მურმან ლებანიძე:

„შქმერს სათიბზე
არ დაობენ მეზობლები,
ძაღლი არ ჰყეფს,
ძაღლი არ ჰყეფს ბარისახოს!
ვაი თუ ვინმეს,
მოეწონოს ეს სოფლები,
ვაი თუ ვინმე
მოვიდეს და დაესახლოს!"

არ დასახლებულა თუ რა...

• • •

...ისევ მოვა გაზაფხული. ისევ ახველდება საბუდარას ხევი, მაგრამ იქ საქონელს დასარწყულებლად აღარ ჩარეკავს მოთა გოგოლაური...

ელგუჯა ლებანიძე.

სალი აზრი

თანდათან ვსწავლობთ უკეთ ცხოვრებას

რადგან სოფელი ქვეყნის ეკონომიკის საფუძვლად, მისი ძლიერების გარანტად მიგვაჩნია, ჩვენი უპირველესი ყურადღებაც სოფელს, მის სატკივარს უნდა მიექცნას. მართალია, საერთო მდგომარეობა სტაბილურობისაკენ მიდის, მაგრამ გასაკეთებელი კვლავ ბევრია და პრობლემაც საკმარისზე მეტია. სწორედ ამის გათვალისწინებით შეიქმნა ასოციაცია „ქართული სოფელი", მისი პრეზიდენტია პროფესორი **ბიძინა სარჯველაძე**.

სწორედ ამ ასოციაციის მიერ წარმოდგენილი სახელმწიფო, მიზნობრივი პროგრამა „თხილი" განიხილა ამას წინათ სოფლის მეურნეობის და სურსათის სამინისტროს გაფართოებულმა კოლეგიამ.

აგრარიკოს მეცნიერთა ერთმა ჯგუფმა, ითქვა კოლეგიაზე, საგანგებოდ შეისწავლა თხილის ნარგავების დღევანდელი მდგომარეობა საქართველოში და მეცნიერები იმ დასკვნამდე მივიდნენ, რომ ამ კულტურას სახელმწიფომ მეტი მხარდაჭერა და დახმარება უნდა გაუწიოს, რადგან იგი ჩვენი ბიუჯეტისა და მოსახლეობისათვის სოლიდურ შემოსავალს შემოიტანს. საგრძნობლად გააუმჯობესებს მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკურ მდგომარეობას.

ჩვენს ქვეყანაში სტრატეგიულ კულტურათა დღემდე დამკვიდრებულ ფართო „სპექტრში" (ხორბალი, ვენახი, ჩაი, ხეხილი, ციტრუსი, ტექნიკური კულტურები და სხვა) კაკლოვან კულტურებს სათანადო ყურადღება არ ექცეოდა. არადა, თავისი სამეურნეო მნიშვნელობით თხილს წამყვანი ადგილი უჭირავს. თხილის კულტურის ძვირფასი თვისებების გამო მსოფლიო ბაზარზე მოთხოვნილება მასზე დღითიდღე იზრდება, თხილის გული სამკურნალო თვისებებითაც გამოირჩევა, იგი საკონდიტრო მრეწველობის ერთ-ერთი შეუცვლელი კომპონენტიცაა.

ყოველივე ამის გამო „ქართულმა სოფელმა" გადაუდებელ ამოცანად მიიჩნია პროგრამა „თხილი" შეემუშავებინა და ფართო სამსჯავროზე წარმოადგინა.

პროგრამა „თხილს" გაეცნო და დადებითად შეაფასა ქვეყნის პრეზიდენტმა. იგი დაყოფილია ორ ეტაპად. პირველი 1999-2003, მეორე – 2003-2008 წლებს მოიცავს. თხილის პლანტაციები გაშენდება 50 ათას ჰექტარზე, ყოველწლიურად შესაძლებელი გახდება 100 ათას ტონაზე მეტი თხილის წარმოება. ათასობით სამუშაო ადგილი გაჩნდება.

განხილვაზე აღინიშნა, რომ სოფლის მეურნეობისა და სურსათის სამინისტრო აქტიურად დაუჭერს მხარს აღნიშნულ პროგრამას.

გადაწყდა, ერთი კვირის ვადით პროგრამა გადაეცეს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიას საბოლოო დასკვნისათვის...

შეჯერებული ვარიანტი უახლოეს დღეებში დასამტკიცებლად ეკონომიკის სამინისტროს გადაეცემა..

ალორძინება

მიწის პატრონის თანადგომაზე არ ფიქრობენ

ერთ დროს ზესტაფონის რაიონის როდინაულის მეცხოველეობის მეურნეობა-კომპლექსი თავისი შრომითი მაჩვენებლებით ქუხდა. მეურნეობიდან 1000 ტონაზე მეტ ხორცს, რძეს და სხვა პროდუქტებს აბარებდნენ სახელმწიფოს. ამ სოფელში მოდიოდა საუკეთესო ყურძენი, ხილი, სიმინდი, სოია, ლობიო და სხვა კულტურები.

უკვე თითქმის 10 წელზე მეტია, რაც ამ სოფელში მთლიანად განადგურდა მეცხოველეობის კომპლექსი, გაიჩეხა ვენახი, აღარც მარცვლეული, აღარც პარკოსანი მცენარეები, ყველაფერი გაქრა და დავიწყებას მიეცა.

აი, ასეთ სიტუაციაში გამოთქვეს სურვილი რაიონის ცნობილმა მიწათმოქმედებმა ბესიკ დათიაშვილმა, არჩილ ჭანკოტაძემ, ომარ და ნოდარ მერკვილაძეებმა მიწის იჯარით გაპიროვნებისა და მეურნეობის აღდგენის თაობაზე.

რაიონის გამგეობამ მათი გადაწყვეტილება მოიწონა, სატენდერო წესით ჩაატარა იჯარით მიწის გაცემა, და შესაბამისი დადგენილებით, 330 ჰექტარი მიწის ფართობი, რომელიც თითქმის არ ითესებოდა, 10 წლის ვადით ზემოთ ჩამოთვლილ მოიჯარეებს მიამაგრა.

ბევრი, როგორც რაიონში, ისე სოფელში, ამ ღონისძიებას სკეპტიკურად შეხვდა. მაგრამ გამოცდილმა სამეურნეო მუშაკებმა არად ჩააგდეს ეს მცდარი შეხედულებები, შეადგინეს მოქმედების გეგმა, აღადგინეს მეურნეობის ყოფილი ტექნიკა, მოიმარაგეს სუპერელიტური ხორბლის თესლი „ვარძია" და „უფხო-1" (25 ტონა) და სათესი აპარატებით შემოდგომით თესლი მიწას მიაბარეს. ახლა ამ ნაკვეთებში ჯეჯილი საუცხოოა, სიმაღლე 20-30 სანტიმეტრს აღემატება. ამინდიც ხელს უწყობს და თუ ასე გაგრძელდა, მოიჯარეები ხორბლის სარეკორდო მოსავალს მოიყვანენ.

დავათვალიერეთ ეს ნათესები, ამ დროს მექანიზატორებს ამონიუმის გვარჯილა შეჰქონდათ ნიადაგში, შევხვდით მექანიზატორს გოგი აბულაძეს, ინჟინერ-მექანიკოსს ედუარდ დაველაძეს, საქმის მწარმოებელს გიორგი გოგბერაშვილს და სხვებს. ისინი ნიადაგის განოყიერებას მალე დაამთავრებენ და შემდეგ ჯეჯილების პერბიციდებით დამუშავებას აპირებენ.

მოიჯარეებმა სამი სატბორეც აღადგინეს, სადაც მალე კობრისა და სქელშუბლას ლიფსიტებს გაუშვებენ... ბიზნეს-გეგმით გათვალისწინებული აქვთ, აგრეთვე, მეცხოველეობის დარგის აღორძინება, მაგრამ პრობლემად რჩება ის გარემოება, რომ 10 წელიწადი მეცხოველეობის განვითარებისათვის არ კმარა და მიწების მიმაგრებას 50 წლით თხოულობენ. საკითხი თითქმის ერთი წელიწადია დასვეს, მაგრამ შედეგი არა და არ ჩანს. გარდა ამისა, მეცხოველეობის შემდგომი აღორძინებისათვის საჭიროა მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, რომელიც თავის დროზე თითქმის განადგურდა, რაც შემორჩა, მის გადაცემას ქონების მართვის სამსახურები აჭიანურებენ. არადა, ისედაც გაძარცული ნაგებობანი კიდევ უფრო ნადგურდება.

თუ სადმე სამართალია, წესით მოიჯარეებს, სესხიც უნდა მიეცეთ, მაგრამ სოფლის მეურნეობისა და სურსათის სამინისტრო ამის თაობაზე დუმს.

მოიჯარეები სამინისტროში რამდენჯერმე იყვნენ სესხისათვის, მაგრამ იქ სანუგეშო ვერაფერი უთხრეს. სოფლის მეურნეობის აღორძინებისათვის ასეთ ენთუზიასტ მუშაკებს წინ ბიუროკრატიული ბარიერები ეღობებათ და მათი გადალახვა შეუძლებელი ხდება.

მიწას პატრონი გაუჩნდა, მაგრამ მათ დახმარებაზე არავინ ფიქრობს. გადასახადების მისაღებად, კი გაგიხარია, მათ მოსვენებას დაუკარგავენ.

ჰენრი შარიძაძე.

სარედაქციო კოლეგია: როლანდ ბასილაშვილი (რედაქტორი), ნაზი იმნაიშვილი, გივი მელიქიშვილი (ტექნიკური რედაქტორი), სპარტაკ ძობულია, ლია ჭილლაძე.

კოსოვოს ჩიხი



ბელგრადი წინასწარ აგებს საინფორმაციო ომს

როგორც ცნობილია, იუგოსლავიის ხელისუფლებამ მიიღო გადაწყვეტილება, ქვეყნიდან გაეძევებინათ ნატოს წევრი სახელმწიფოების წარმომადგენელი ყველა ჟურნალისტი. პრეზიდენტ სლობოდან მილოშევიჩს ყოველთვის ჰქონდა უნარი, ეწარმოებინა საინფორმაციო ომი, ხორვატიისა და ბოსნიის კონფლიქტების დროს მოუქნელმა, უღიმღამო, იდეოლოგიური შტამპებით გადატვირთულმა სერბულმა პროპაგანდამ ცხადყო თავისი სრული უსუსურობა. ხორვატიისა და განსაკუთრებით ბოსნიის ხელისუფლებმა გაცილებით მეტი მოქნილობა გამოიჩინეს. უცხოელი ჟურნალისტები მათს ქვეყნებში სასურველი სტუმრები იყვნენ. დუბროვნიკის, სარაევოსა და გორაჟდის მცხოვრებლებთან ერთად აფარებდნენ ისინი თავს სერბთა ბომბებს, სურათებს უღებდნენ დასახიჩრებულ ბავშვებს, ინტერვიუს — დაღუპულთა უნუგეშო ახლობლებს. ბუნებრივია, ყოველივე ეს გავლენას ახდენდა რეპორტაჟების ტონალობაზე.

დღეს როლები შეიცვალა. ბომბები და რაკეტები უკვე ბელგრადს ცვივა. თითქოს, არაფერი არ უშლიდა ხელს მილოშევიჩს, ესარგებლა ყოფილი მოწინააღმდეგეების გამოცდილებით და მოეპოვებინა მსოფლიო პრესის სიმპათიები. ყველა პროპაგანდისტული კოზირი მის მხარეს იყო. მაგრამ იუგოსლავიის პრეზიდენტმა უკვე მერამდენედ გამოამჟღავნა, რომ ვერ ასცილდება ერთი რიგითი პარტმუშაკის დონეს, რომელსაც შეუძლია მხოლოდ აკრძალოს, დახუროს, გააძევოს.

დღეს მთელ სერბეთში უცხოელ რეპორტიორებზე ნამდვილი ნადირობაა გაჩაღებული. მათ იჭერენ, აკავებენ, საათობით ამყოფებენ დაკითხვაზე, მერე კი ბადრაგით მიჰყავთ ხორვატიის საზღვართან და აძევებენ.

თუ რას მოიმკის ბელგრადი თავისი ქცევით, არ არის ძნელი განსაჭვრეტი. ჟურნალისტები, რომლებიც უბოდიშოდ გაყარეს რესპუბლიკიდან, თვალნათლივ დარწმუნდნენ მილოშევიჩის რეჟიმის ავტორიტარულ, პოლიციურ არსში.

ახლა დასავლელი ტელემაყურებლები ვერ ნახავენ ვერც დანგრეულ სახლებს, ვერც აქვითინებულ მშვიდობიან მცხოვრებთ და ვერც დაჭრილ მოხუცებსა და ქალებს ბელგრადის საავადმყოფოებში. არადა, სწორედ ასეთი სიუჟეტები მოახდენდა გავლენას ნატოს ქვეყნების საზოგადოებრივ აზრზე, განაწყობდა მათ თანაგრძნობით ავიაიერიშების მსხვერპლისადმი, დააფიქრებდა, რამდენად საჭირო იყო ძალისმიერი აქცია.

მაგრამ, ყოველივე ეს არ იქნება იმიტომ, რომ სლობოდან მილოშევიჩი, სერბეთის კომპარტიის ყოფილი მეთაური, ვერ ელევა ჩვეულ, წლობით გამომუშავებულ ქცევის ნორმებს. არ შეუძლიათ კომუნისტური სისტემის აღზრდილებს იმუშაონ პრესასთან, დაარწმუნონ იგი თავის სიმართლეში, მოთმინებით აიტანონ კრიტიკული გამოხდომები.

როგორც არ შეეძლოთ ათი წლის წინათ, ისევე არ შეუძლიათ დღესაც — ვერ ისწავლეს. და ამაში გვარწმუნებს არა მარტო იუგოსლავიისა, არამედ ყოფილი სოციალისტური ბანაკის სხვა ქვეყნების მაგალითი, მეტადრე იმათი, სადაც ხელისუფლების სათავეში რჩებიან ან ბრუნდებიან „ძველი გვარდიის" წარმომადგენლები.

ღირს კია ამის შემდეგ გვიკვირდეს საინფორმაციო ომების წაგება? და სხვა ვინ უნდა დავადანაშაულოთ ყოველივე ამაში, თუ არა საკუთარი თავი?!

RADIO LIBERTY,
BBC, CNN

აშშ პრეზიდენტმა ბილ კლინტონმა განაცხადა, რომ კოსოვოს მშვიდობიანი მოსახლეობის წინააღმდეგ რეპრესიების ესკალაცია საჭიროს ხდის, გაგრძელდეს ნატოს სამხედრო აქცია. მან მხარი დაუჭირა ამ ორგანიზაციის გენერალური მდივნის ხავიერ სოლანას გადაწყვეტილებას, გადავიდნენ საჰაერო დარტყმების ახალ ფაზაზე — გაანადგურონ სამიზნეების სექტორი, რომელშიც ამიერიდან შევა კოსოვოს დამსჯელი ოპერაციების მონაწილე სერბეთის სახმელეთო ჯარების ქვედანაყოფებიც. გერმანიის თავდაცვის მინისტრის რუდოლფ შარპინგის თქმით, იუგოსლავიის პრეზიდენტი მილოშევიჩი სამართალში უნდა მიეცეს როგორც სამხედრო დამნაშავე, ვინაიდან სერბეთის ხელისუფალნი კოსოვოში გენოციდის პოლიტიკას ატარებენ. ამჟამად კოსოვოში ალბანეთის საზღვარზე 50 ათასამდე კოსოველია თავმოყრილი.

ბუდაპეშტში საგანგებოდ ჩასულმა „მართალი საქმის" ბლოკის ლიდერებმა ეგორ გაიდარმა, ბორის ნემცოვმა და ბორის ფედოროვმა აშშ სპეციალურ დესპანთან რიჩარდ ჰოლბრუკთან ერთად განიხილეს იუგოსლავიის კრიზისის გადაწყვეტის შესაძლებლობანი. მოლაპარაკების შემდეგ ჰოლბრუკმა თქვა, რომ ამერიკის პოზიცია უცვლელი რჩება. რუსეთის დელეგაციის მეთაურის ეგორ გაიდარის თქმით, თუ ნატო არ შეწყვეტს ობიექტების დაბომბვას, შეიძლება „ცივი ომი" განახლდეს.

ПРИШТИНА 29.3.1999. око 02.30
репортер Милован Дрецун

იუგოსლავიის „ტანიუგ" საინფორმაციო სააგენტოს ცნობის მიხედვით, გრძელდება ნატოს საჰაერო დარტყმების სერია, კერძოდ, დაიბომბა ქალაქის ჩაჩაკი — ბელგრადის სამხრეთ-დასავლეთით 150 კილომეტრზე. სამიზნეები ბელგრადში, აგრეთვე 4 ბომბი ჩამოვარდა სერბეთის სამხრეთში მდებარე პრიზრენის სამხედრო ყაზარმებში. მსხვერპლის შესახებ არაფერს იუწყებიან. პრიშტინაში აფეთქება მოხდა ქალაქის ცენტრში — რაკეტა ადგილობრივი ტელევიზიის მთავარი რედაქციის შენობისგან 200 მეტრზე დაეცა.

რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტრომ სინანული გამოთქვა იმის გამო, რომ აშშ მოსკოვის საელჩოს შენობას ცეცხლი დაუშინეს. კვირას, დღის ორ საათზე „ჯიპიდან" გამოხტა კამუფლაჟიანი ნიღბოსანი, რომელმაც სცადა ყუმბარმტყორცნი ესროლა საელჩოსთვის, მაგრამ არ გამოუვიდა, რის შემდეგაც შენობას ავტომატის ცეცხლი დაუშინა. დაპატიმრებულია სამი ეჭვმიტანილი. რუსეთის პრეზიდენტის პრესმდივნის იაკუშკინის თქმით, ეს აქტი ჩრდილს აყენებს რუსეთს, რომელიც ამჟამად „ტიტანურ ძალისხმევას მიმართავს იუგოსლავიის კრიზისის მოსაგვარებლად".

ორმოცდაათამდე კაცი დაიღუპა ინდოეთის უტარ-პრადეშის შტატში 7 ბალი მიწისძვრის შედეგად. პირველ ბიძგს მოჰყვა კიდევ რამდენიმე, შედარებით სუსტი. მსხვერპლთა შორის არიან პატიმრები, რომლებიც პოლიციის უბნის შენობის ნანგრევებში მოჰყვნენ. დაშავებულთა რაოდენობა ასს აღემატება. მიწისძვრის ეპიცენტრი მდებარეობდა ჰიმალაის მთისწინეთში, მაგრამ ბიძგები იგრძნობოდა ვრცელ ტერიტორიაზე, მათ შორის ინდოეთის დედაქალაქ დელიში.

Chamoli
Delhi
Varanasi
INDIA

აშშ პრეზიდენტმა კლინტონმა მაღალი შეფასება მისცა ამერიკელ მაშველთა სპეციალური ჯგუფის ძალისხმევას, რომლებმაც სერბეთის ტერიტორიიდან ნატოს ბაზაში გადაიყვანეს საბრძოლო დავალების შესრულებისას ჩამოვარდნილი „სტელს" გამანადგურებელ-ბომბდამშენის პილოტი. ჯერჯერობით უცნობია, „უჩინარმა" თვითმფრინავმა ავარია განიცადა, თუ ჩამოაგდეს. სერბეთის ტელევიზიის ცნობების თანახმად, ნატოს არაერთი თვითმფრინავია ჩამოგდებული.

პარაგვაის პრეზიდენტი რაულ კუბასი გადადგა, რასაც წინ უძღოდა პოლიტიკური ძალადობის ერთკვირიანი კამპანია. სენატში განახლდა მოსმენა პრეზიდენტის იმპიჩმენტთან დაკავშირებით ძალაუფლების ბოროტად გამოყენების ბრალდების გამო. ქვეყნის დედაქალაქ ასუნსიონში ქუჩაში გამოსული ხალხი ერთმანეთს ულოცავს პრეზიდენტის გადადგომას. პარაგვაის სახელმწიფოს ახალი მეთაური გახდება სენატის პრეზიდენტი ლუის გონსალეს მაჩი.

ანტისემიტიზმი

რატომ არ უყვართ რუსები

ანტისემიტიზმის პრობლემა არ შემოიფარგლება რუსეთის პოლიტიკურ ცხოვრებაში შოვინისტური ყაიდის მოღვაწეებისა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების მოღვაწეთა არსებობით — არიან ისინი გაცილებით უფრო კეთილსაიმედო, მათ შორის, სამართლებრივი თვალსაზრისით, — სახელმწიფოებშიც.

რუსეთის ხელისუფალნი და საზოგადოებრიობა პრაქტიკულად არ რეაგირებენ შოვინიზმისა და მისი საყვარელი პირმშოს — ანტისემიტიზმის გამოვლინებათა გამრავლებასა და გაძლიერებაზე, მათ აშკარა შეჭრაზე ხელისუფლებაში. უყურადღებოდ ტოვებენ უამრავ ფაქტს, რომლებიც მოწმობს, რომ „პროცესი დაიძრა" — უყურადღებოდ ტოვებენ იმიტომ, რომ უმრავლესობა იზიარებს ანალოგიურ შეხედულებებს.

მოდით, მოვეშვათ თვალთმაქცობას და ვუწოდოთ საგნებს თავიანთი სახელები: ანტისემიტიზმი, აგდებული დამოკიდებულება ეროვნული უმცირესობებისადმი და შოვინიზმის სხვა გამოვლინებანი ახასიათებს რუსი ხალხის მნიშვნელოვან (თუ არა — უდიდეს) ნაწილს. სწორედ იქ, ხალხში ღვივის ეს დამოკიდებულება ბიოლოგიურ დონეზე. სწორედ ამ წიაღიდან გადადის ხელისუფლებაში, როდესაც იქ ზიუგანოვის ტიპის „პატრიოტები" ამოიზრდებიან ხოლმე: სწორედ ხალხის შუაგულიდან გამოინთხევა ებრაელების, „კავკასიური ეროვნების პირებისა" და სხვა ნაციონალური უმცირესობებისადმი სიძულვილის ნიაღვარი.

მართალია, რუსული ანტისემიტიზმი ახლოსაც ვერ მივა, მაგალითად, პოლონურთან — იქ შეძლეს საბოლოოდ განედევნათ ქვეყნიდან ნაცისტური გენოციდის შემდეგ სასწაულებრივად გადარჩენილი ერთი მუჭა ებრაელები, მაგრამ ეს ვერაფერი გამართლებაა. მე ვლაპარაკობ „რუსული ხალხური ანტისემიტიზმის" არსებობის ფაქტზე და ეს უნდა ვაღიაროთ, თუ გვსურს, რაღაც მოვიმოქმედოთ მდგომარეობის გამოსასწორებლად. ეს უნდა გავიცნობიეროთ და ვცნოთ — როგორც გააკეთა გერმანელმა ხალხმა ნაციზმის აღმოფხვრისას. თორემ, სანამ რუსეთში ყველაფერს „ურიებსა და მასონებს, სიონისტებს" — და არა თვით რუსებს — ვაბრალებთ, ცხოვრება უკეთესობისაკენ არ შეიცვლება.

სავალალო დასკვნა: ანტისემიტიზმი რუსეთში ღრმად ხალხურია და ამიტომ თვალსაწიერ მომავალში — უძლეველი.

ჩვენში ბევრს ლაპარაკობენ და წერენ რუსულენოვანი (უმთავრესად — რუსი) მოსახლეობის მძიმე ხვედრზე ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკებში. იქ რუსი კაცი იძულებული გახდა, გასცნობოდა „მე-5 პუნქტს" და საკუთარ ტყავზე გამოეცადა — რას ნიშნავს ეროვნული ნიშნის მიხედვით დისკრიმინაცია: არ გიღებენ სამუშაოზე, შენს შვილებს უარს ეუბნებიან უმაღლეს სასწავლებლებში მიღებაზე, შეურაცხყოფას გაყენებენ ყოველ ფეხის ნაბიჯზე ყოფით ურთიერთობაში, გდევნიან, თანდათან გაძევებენ. ეს სამწუხაროა, მაგრამ აქამდე ხომ ყოველივე ეს „გამოიცადა და დაიხვეწა" რუსეთსა და სსრ კავშირში ებრაელებზე, და არა მარტო მათზე, — რუსების უმრავლესობის მონაწილეობითა თუ წაქეზებით.

დღეს რუსებს ვერ გაუგიათ, რბილად რომ ვთქვათ, რატომ არ უყვართ ისინი (და რატომ ეშინიათ მათი) იმათ, ვისაც ოდითგან ქედმაღლურად ეკიდებოდნენ და აგდებულად უწოდებდნენ „ურიებს", „ჩურკებს", „შავებს", „შავ ტრ.....ბს", „ხოხოლებს", „ჩუხონცებს", „ჩუჩმეკებს" და ა. შ. და ა. შ., სწორედ განცდილი ეროვნული დამცირების, დიდმპყრობელური შოვინიზმისათვის არ უყვარვართ! ეს უნდა ახსოვდეთ იმათ, ვინც მკერდზე მუშტებს იბრაგუნებს და რუსოფობიაზე გაჰკივის, წერს გიორგი კუზნეცოვი გაზეთ „იზვესტიაში".

უცხოეთის სააგენტოებისა და ჟურნალ-გაზეთების მიხედვით უძღვებიან

არჩილ მანჯგალაძე, კახა ძორიძე.

ფეხბურთი

შანსი მაინც რჩება

გადახედეთ „ევრო-2000"-ის II შესარჩევი ჯგუფის სატურნირო ცხრილს და დარწმუნდებით — ქულებში საგრძნობი დანაკარგის მიუხედავად, საქართველოს ფეხბურთელთა ნაკრები მაინც ინარჩუნებს სანუკვარ პირველ ან მეორე ადგილზე გასვლის შესაძლებლობას. საამისოდ კი აუცილებელია საკუთარ თავზე ამაღლება და ერთ მუშტად შეკვრა, თანაც, რაც შეიძლება სწრაფად — ნორვეგიელებთან მომდევნო საკვალიფიკაციო შეხვედრამდე ხომ მხოლოდ თვეღა დარჩა.

სკანდინავიელები თბილისს ამაღლებული განწყობილებით ეწვევიან — მათ გასულ შაბათს ათენში მნიშვნელოვანი გამარჯვება მოიპოვეს ბერძნებთან — 2:0 და 7 ქულით დაწინაურდნენ. ხვალ რიგაში ლატვიის ნაკრები მთავარ მწვრთნელგამოცვლილ საბერძნეთის გუნდს მასპინძლობს (ამ უკანასკნელთა რუმინელი დამრიგებელი ანგელ იორდანესკუ ნორვეგიელებთან მარცხის შემდეგ გადადგა და მის ადგილზე „პანათინაიკოსის" ყოფილი თავკაცი ვასილის დანიილი დანიშნეს) და, წარმატების შემთხვევაში, წამყვან პოზიციას დაიბრუნებს.

ნორვეგია — 7, ლატვია — 6, საბერძნეთი, სლოვენია — 5-5, საქართველო — 4, ალბანეთი — 2 ქულა.

გაგაცნობთ დანარჩენი შესარჩევი მატჩების შედეგებს:

I ჯგუფი. დანია-იტალია 1:2, ბელორუსია-შვეიცარია 0:1.

იტალია — 9, უელსი — 6, შვეიცარია — 4, დანია — 2, ბელორუსია — 1 ქულა.

III ჯგუფი. ჩრდილოეთ ირლანდია-გერმანია 0:3, თურქეთი-მოლდოვა 2:0.

თურქეთი — 9, გერმანია, ფინეთი — 6-6, ჩრდილოეთ ირლანდია — 4, მოლდოვა — 1 ქულა.

IV ჯგუფი. საფრანგეთი-უკრაინა 0:0, სომხეთი-რუსეთი 0:3, ანდორა-ისლანდია 0:2.

უკრაინა — 10, საფრანგეთი, ისლანდია — 8-8, სომხეთი — 4, რუსეთი — 3, ანდორა — 0 ქულა.

V ჯგუფი. ინგლისი-პოლონეთი 3:1, შვედეთი-ლუქსემბურგი 2:0.

შვედეთი — 9, ინგლისი — 7, პოლონეთი — 6, ბულგარეთი — 1, ლუქსემბურგი — 0 ქულა.

VI ჯგუფი. ესპანეთი-ავსტრია 9:0 (!), ისრაელი-კვიპროსი 3:0.

კვიპროსი-9, ისრაელი, ავსტრია — 7-7, ესპანეთი — 6, სან-მარინო — 0 ქულა.

VII ჯგუფი. რუმინეთი-სლოვაკეთი 0:0, პორტუგალია-აზერბაიჯანი 7:0, უნგრეთი-ლიხტენშტეინი 5:0.

რუმინეთი — 8, პორტუგალია, უნგრეთი, სლოვაკეთი — 7-7, ლიხტენშტეინი — 3, აზერბაიჯანი — 0 ქულა.

VIII ჯგუფი. ბალკანეთის ნახევარკუნძულზე გაჩაღებული საომარი მოქმედებების გამო გადაიდო შეხვედრები იუგოსლავია-ხორვატია, მაკედონია-ირლანდია.

ირლანდია, მაკედონია, იუგოსლავია, ხორვატია — 6-6, მალტა — 0 ქულა.

IX ჯგუფი. ჩეხეთი-ლიტვა 2:0, შოტლანდია — ბოსნია ზემოთ აღნიშნული მიზეზის გამო გადაიდო.

ჩეხეთი — 12, შოტლანდია — 7, ლიტვა — 5, ესტონეთი, ბოსნია — 4-4, ფარერის კუნძულები — 1 ქულა.

სურათზე: ფრაგმენტი საქართველო-სლოვენიის მატჩიდან: გიორგი ქინქლაძის მორიგი უშედეგო გარღვევა.

ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო.

გუშინ

თბილისის „არსენალისა" და რუსთავის „გორდას" მატჩით დაიწყო ფეხბურთელთა ეროვნული ჩემპიონატის XX ტური. ანგარიშით 1:0 გაიმარჯვეს არმიელებმა. ტურის დანარჩენი შეხვედრები დღეს და ხვალ მოეწყობა.

რაგბი

ბორის პაიჭაძის სახელობის ეროვნული სტადიონი. მსოფლიოს თასის (4) შესარჩევი საპასუხო მატჩი რაგბიში. 28 მარტი, 1999 წ. (30 ათასი მაყურებელი).

საქართველო-ტონგა 28:27 (12:10).

საქართველოს ნაკრები („ბორჯღალოსნები") №15 — ვასილ აბაშიძე, 14 — მალხაზ ურჯუკაშვილი, 11 — ბადრი ხეხელაშვილი, 13 — ბესიკ ხამაშურიძე, 12 — ილია მაისურაძე (16 — არჩილ ქავთარაშვილი), 10 — პალიკო ჯიმშელაძე (17 — კახაბერ მაჩიტიძე, 18 — ირაკლი გიორხელიძე), 9 — მალხაზ ჯანელიძე (1 — გოდერძი შველიძე), 2 — აქვსენტი გიორგაძე (22 — სანდრო ესაკია), 3 — ლევან ცაბაძე (19 — სოსო ნიკოლაენკო), 4 — გია რაფავა, 5 — სოსო პარწყაანაშვილი (20 — კახაბერ კობახიძე), 6 — ვასილ კაცაძე, 7 — გია ლაბაძე (21 — ზაზა ლეჟავა), 8 — ზურაბ მჭედლიშვილი (კაპიტანი).

ტონგას ნაკრები („იკალე ტაჰი") 15 — ტაუმალოლო, 11 — ჰალა, 14 — ტიუეტი, 13 — ტატაფუ, 12 — ე. ვუნიპოლა (კაპიტანი), 10 — ვეელი, 9 — მარტენსი (1 — პენისინი), 2 — ტაიჰეა, 3 — ფალეპაკა, 4 — კივალუ, 5 — მაფი, 6 — ტეპოუ, 7 — კოლო, 8 — ტოლიკე (16 — მ. ვუნიპოლა), 17 — ლუტუი, 18 — ტონგა, 19 — ფაკაოსიფოლაუ, 20 — ფატონი, 21 — ედვარდსი, 22 — მოა.

მსაჯი — დიდიე მენე (საფრანგეთი).

როცა მოგება გამარჯვებას არ ნიშნავს

საქართველოს მორაგბეთა ნაკრებმა მეხუთე მატჩი მოიგო ეროვნულ სტადიონზე (1995 15. X. გერმანიასთან 14:3; 1996 20. X. რუსეთთან 29:20; 1997 12. X. ხორვატიასთან 29:15; 1998 20. V. რუსეთთან 12:6).

მსოფლიოს რაგბის ერთ-ერთი ვარსკვლავი 23 წლის გიგანტი ჯონა ლომუ ტონგელია, რომელიც ახალი ზელანდიის ნაკრებში („ოლ ბლექ") თამაშობს. ტონგის სამეფო წყნარი ოკეანის სამხრეთ დასავლეთ ნაწილშია, სამ კუნძულზე (ტონგატაპუ, ვავაუ და ჰააპაი) 700 კვ. კმ უჭირავს. ქვეყანაში 110 ათასი კაცი ცხოვრობს, დედაქალაქ ნუკუალოფაში — 50 000 ათასი. ყოველ მესამე ბიჭი აქ რაგბის თამაშობს.

მატჩის წინ მრავალრიცხოვანმა ქართველმა გულშემატკივრებმა ეროვნული სტადიონის ცენტრში იხილეს ტონგელთა ეგზოტიკური ცეკვა — „სიპიტაუთი".

შეხვედრა ქართველი მორაგბეების გამუდმებული შეტევებით დაიწყო. ჩვენი თავდამსხმელები იყენებდნენ ძალისმიერ ჯგუფურ ბრძოლებს და, შესაბამისად, ჯარიმდებოდნენ ტონგელები. მეშვიდე წუთზე მოედნის კიდეში აუტში მოგებული ბრძოლის შემდეგ ჩვენები ტონგელთა ელოში შევიდნენ და ლევან ცაბაძემ იმარჯვა, 5:0. განსაკუთრებით ლამაზი და ეფექტური იყო ჩვენების მეორე ლელო, როცა მალხაზ ჯანელიძემ მშვენივრად ჩაჰკიდა მაღალი ბურთი ტონგის მხარეს, სადაც ბადრი ხეხელაშვილმა დაამიწა კიდეც.

ჩვენმა მორაგბეებმა მაქსიმუმი გაიღეს მატჩის მოგებისათვის, იყო თავგანწირვა და შემართება, მაგრამ ტონგელები, როგორც ვვარაუდობდით, ერთობ ძლიერი ბიჭები აღმოჩნდნენ. გამართლდა პოლინეზიელ ტონგელთა ეუროსი მწვრთნელის (ახალზელანდიელი, მაგრამ სამხრეთ აფრიკაში მცხოვრები) დეივ უოტერსტოუნის საპასუხო მატჩისწინა ვარაუდი — მეორე მატჩს ქართველები მოიგებენ, მაგრამ შემდეგ წრეში მაინც ტონგა გავა! სამწუხაროდ, ტონგაში პირველ მატჩში ჩვენებმა 31 ქულის სხვაობით დათმეს და 28 მარტს 32 ქულით მაინც უნდა გაგვემარჯვა, რომ გაგვეგრძელებინა ბრძოლა საწყისში ჯგუფში, მაგრამ კვირას მხოლოდ 1 ქულის სხვაობით გავიმარჯვეთ (28:27). თამაში ქართველებმა ბოლო 10 წუთში მოიგეს, როცა 20:27-ს ვაგებდით. ერთობ მკვირცხლად უძვრებოდა ჩვენებს ხელიდან ტონგელი [illegible] ტატაფუ. მატჩის ბოლო მონაკვეთში კახა კობახიძემ ისე დაარტყა, რომ ბურთი ხარიხას მოხვდა და ტონგელთა კარის ძელებს შორის გაიარა.

ქართველმა მორაგბეებმა ოთხი ლელო გაიტანეს — (ლევან ცაბაძე, ბადრი ხეხელაშვილი, გოდერძი შველიძე, კახა კობახიძე) ერთი გარდასახვა — მალხაზ ურჯუკაშვილმა, ერთი საჯარიმო — კახა კობახიძემ და ერთი საჯარიმო — მალხაზ ურჯუკაშვილმა — 28 ქულა. ტონგელებმა კი ხუთი ლელო გაიტანეს (ტიუეტი, ტაუმალოლო (3) და ლუტუი). ერთი გარდასახვა შეასრულა ტაუმალოლომ (27 ქულა).

ჩვენმა მორაგბეებმა მატჩი მოიგეს, მაგრამ, ორი მატჩის ჯამში ვერ გაიმარჯვეს და, რაღა თქმა უნდა, მსოფლიოს თასის (IV) ფინალურ ოცეულში უელსში სათამაშოდ წლევანდელ შემოდგომაზე ვერ გაემგზავრებიან, მაგრამ ამ მატჩითაც „ბორჯღალოსნებმა" კიდევ ერთხელ დაანახეს ქართველ გულშემატკივრებს, რომ ისინი თავგანწირული ათლეტები არიან, ოღონდ ზოგჯერ არის მომენტი, როცა ძალა ვეღარ ხნავს აღმართს.

გაბრიელ ბარჯაძე.

სურათზე: მატჩის ერთი მომენტი.

ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო.

კალათბურთი

უკომპრომისოდ

კალათბურთელ ვაჟთა მერვე ეროვნული ჩემპიონატის საფინალო მატჩებიდან „აზოტი" — ხდასუ გამორჩეული გახლდათ. ამ გუნდების პრინციპულ ურთიერთობას რომ თავი დავანებოთ, ინტრიგას სტუდენტთა მიერ წინა დღეს „ვითასთან" მოპოვებული სენსაციური გამარჯვებაც აძლიერებდა.

ხდასუს სასახელოდ უნდა ითქვას, რომ მან ჩემპიონატის ერთპიროვნულ ლიდერსაც შეუპოვარი წინააღმდეგობა გაუწია და მხოლოდ მძაფრ ბრძოლაში დამარცხდა — 92:94. რუსთაველებს განსაკუთრებით მაშინ გაუჭირდათ, როცა 5-5 პერსონალური შენიშვნის გამო წამყვანი გამთამაშებლები ქლენტი და გაბისონია გამოაკლდათ, მაგრამ „გრძელი ხამი" მათი საიმედო მეკავშირე აღმოჩნდა.

ყველაზე შედეგიანები: გოგობერიშვილი — 37, ჯაფარიძე — 24 („აზოტი"), უძილაური — 30, თორთლაძე — 23 (ხდასუ) ქულა.

არანაკლებ საინტერესოდ გვესახებოდა „ვითა" — „დინამოს" დუელი, მაგრამ, სამწუხაროდ, მოლოდინი გაგვიცრუვდა — ქვეყნის ექვსგზის ჩემპიონები მაქსიმალურად მობილიზებულნი გამოვიდნენ მოედანზე და სასტიკი მარცხი აგემეს მეტოქეს — 92:57. თამაშის ბედი მეორე ტაიმის დასაწყისში გადაწყდა, რომელიც „ვითამ" 18:0 (!) მოიგო. ასე რომ, დინამოელთა და ეროვნული ნაკრების თავკაცის ლევან მოსეშვილის მუქარა — „ვითას" და მის პრეზიდენტს თემურ დათიკაშვილს ალღურს ვაჭმევო, უქმი აღმოჩნდა.

კატეგორიულობას მოგვაგონებდა სტუსა და „მაკაბის" პაექრობა. მართალია, საბოლოოდ პოლიტექნიკოსებმა მინიმალური სხვაობით გამარჯვება იზეიმეს — 95:88, მაგრამ მათი უპირატესობა მთელი შეხვედრის განმავლობაში ეჭვს არ იწვევდა.

უმაღლეს ლიგაში დასარჩენად მებრძოლების — არმიის სპორტული კლუბისა და „მევარდენის" ჭიდილში გაიმარჯვეს არმიელებმა 79:70. შედეგიანად ითამაშეს მეტოქეთა გამთამაშებლებმა კაზანჯიანმა (32 ქულა, „მევარდენი") და ნათაძემ (24 ქულა, ასკ).

თსუმ უპრობლემოდ სძლია სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის გუნდს — 103:85. ყველაზე შედეგიანები: ქარაბაკი — 29, მგალობლიშვილი — 25, წოწელია — 21 (თსუ), უგრეხელიძე — 23 (სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი) ქულა.

თამაშები ვერის ბაღში 3 და 4 აპრილს განახლდება, მანამდე კი, 31 მარტს 14 საათზე დაიწყება უშუქობის გამო გადადებული შეხვედრა თსუ-ხდასუ.

გია პლატონიშვილი.

ყოველი მხრიდან

ჩემპიონატი გადაიდო

კოსოვოს ამბებმა, ნატოს ჯარების მიერ იუგოსლავიის დაბომბვებმა არა მარტო ბალკანეთის ამ ქვეყნის, არამედ მსოფლიოს სპორტულ ცხოვრებაზეც დიდი გავლენა მოახდინა. სხვა მრავალი ღონისძიების ჩაშლასთან ერთად, გადაიდო მსოფლიო ჩემპიონატი მაგიდის ჩოგბურთში, რაც 26 აპრილიდან 9 მაისამდე უნდა გამართულიყო ბელგრადში.

45-ე მსოფლიო პირველობაზე მონაწილეობის სურვილი ასზე მეტმა ქვეყანამ გამოთქვა. მაგიდის ჩოგბურთის საერთაშორისო ფედერაციის (ITTF) პრეს-რელიზში ნათქვამია, რომ უახლოეს დღეებში რიგგარეშე კონგრესზე გადაწყდება გადადებული ჩემპიონატის ჩატარების ვადები და ადგილი.

წესების თანახმად, ეს ტურნირი ორ წელიწადში ერთხელ ეწყობა.

რიჰარდი და ვინუსი

ქი-ბისკეინში დამთავრდა დიდი საერთაშორისო ტურნირი, რომლის საპრიზო ფონდი იყო 4775000 დოლარი. ვაჟთა ფინალში ჰოლანდიელმა რიჰარდ კრაიჩეკმა დაამარცხა ფრანგი სებასტიან გროჟანი და პირველი პრიზი დაისაკუთრა.

ქალთა ტურნირის ფინალში ერთმანეთს დაუპირისპირდა ორი ამერიკელი შავკანიანი ჩოგბურთელი, დები უილიამსები — ვინუს და სერენა. ამჯერად ბედმა გაუღიმა უფროს დას — ვინუსს და პირველ პრიზთან ერთად სოლიდური თანხაც მიიღო.

ზედიზედ, მეორედ

ერთი შეხედვით, თავდაპირველად საქმე ისე აეწყო, რომ მოკლე პროგრამის შესრულებისას წინ ჩინელი მოციგურავეები შენ სიუე და ჩჟაო ხონბო გაიჭრნენ და ბევრმა განგაში ატეხა (რა თქმა უნდა, პრესამაც), ელენა ბერეჟნაია და ანტონ სიხარულიძე მსოფლიო ჩემპიონობას გამოეთხოვებიანო. მაგრამ პესიმისტების პროგნოზი არ გამართლდა — უკვე საკმაოდ ცნობილმა წყვილმა პირველი მარცხის შემდეგ ძალები მოიკრიბა და ერთხელ კიდევ გაახარა ამ ლამაზი სპორტის თაყვანისმცემლები. მათ უკვე მეორედ, თანაც ზედიზედ მოიპოვეს წყვილთა ფიგურულ სრიალში მსოფლიო ჩემპიონის საპატიო ტიტული, რაშიც დიდი დამსახურება მათ მწვრთნელს თამარა მოსკვინასაც მიუძღვის.

სურათზე: ორგზის მსოფლიო ჩემპიონები ფიგურულ სრიალში — ელენა ბერეჟნაია და ანტონ სიხარულიძე.

უძღვება

ანზორ ბასილაია.

საეკლესიო კალენდარი

წმინდა ამბროსი აღმსარებელი

(პირველი გვერდიდან)



წმინდა ამბროსიმ 1901 წელს სწავლა დაამთავრა, იმავე წელს ბერად აღიკვეცა და საქართველოში დაბრუნდა.

სამშობლოში დაბრუნებული ღირსი მამა, ერის სხვა საუკეთესო შვილებთან ერთად, დაუღალავად იბრძოდა საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენისათვის, ამის გამო 1905 წელს რუსეთში გადაასახლეს. სამშობლოში დაბრუნების შემდეგ იგი აკურთხეს არქიმანდრიტად და ჭელიშის მონასტრის წინამძღვრობა დაავალეს.

მამა ამბროსიმ ბევრი იღვაწა ოდესღაც უმდიდრესი ჭელიშური ხელნაწერების მოსაძიებლად და აღსადგენად. ერთხელ, ეკლესიის ეზოში გამოსული წინამძღვრის ყურადღება მიიპყრო ყრუ ხმამ, რომელიც მიწის სიღრმიდან ამოდიოდა, გაათხრევინა ის ადგილი და უძველესი სახარება აღმოაჩინა.

1908 წელს მამა ამბროსის საშინელი ცილი დასწამეს: ბრალად დასდეს ეგზარხოს ნიკონის მკვლელობაში მონაწილეობა და რუსეთში გადაასახლეს.

1917 წელს წმინდა ამბროსი დაბრუნდა საქართველოში და კვლავ საქართველოს სამოციქულო ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენისათვის ბრძოლის ერთ-ერთი აქტიური მონაწილე გახდა.

1917 წლის 12 (25) მარტს მცხეთის სვეტიცხოვლის ტაძარში საზეიმოდ გამოცხადდა ქართული ეკლესიის ავტოკეფალია, ხოლო 16 მარტს თბილისში შედგა სასულიერო მოღვაწეთა კრება, რომელმაც დაადგინა, რომ ამიერიდან სიონის ტაძარში ღვთისმსახურება ქართულ ენაზე უნდა აღსრულებულიყო.

წმინდა ამბროსი ჯერ, ჭყონდიდის, შემდეგ კი აფხაზეთის მიტროპოლიტად გაამწესეს.

1921 წელს იგი საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქია. 1921 წლის 25 თებერვალს საქართველოს კვლავ დაედგა მძიმე სამარცხვინო მონობის უღელი. საბჭოთა ხელისუფლებამ ჩვენს სამშობლოში ფეხის შემოდგმის დღიდანვე დაიწყო სარწმუნოების დევნა: მთავრობა ცეცხლითა და მახვილით მოედო ეკლესიებს, დაანგრია და გააუქმა 1200 ტაძარი, დაატუსაღა და დახვრიტა მრავალი სასულიერო მოღვაწე.

ერის სულიერმა მამამ და მწყემსმა 1922 წლის 7 თებერვალს გენუის კონფერენციის წარმომადგენლებს გაუგზავნა მემორანდუმი, რომლის თითოეული სიტყვა არა მხოლოდ სამშობლოს სიყვარულითა და ჭირისუფლობით არის გამსჭვალული, არამედ მასში წინასწარმეტყველურად არის დანახული ქრისტიანული სათნოების გარეშე დარჩენილი ერისა და სახელმწიფოს ბედი, მისი უნუგეშო მომავალი.

გენუის კონფერენციაზე მემორანდუმის გაგზავნა უპრეცედენტო შემთხვევა იყო. ამ ფაქტს მთავრობა გულხელდაკრეფილი არ შეხვდრია და მალე წმინდა ამბროსი დააპატიმრეს.

სასამართლო პროცესზე პატრიარქთან ერთად საკათოლიკოსო საბჭოს წევრებიც განისჯებოდნენ. მათ ბრალად დასდეს: გენუის კონფერენციისადმი მემორანდუმის გაგზავნა, საქართველოს ეკლესია-მონასტრების საგანძურის გადამალვა, სამხედრო ტაძრის კომკავშირისათვის გადაცემისა და სატრაპეზოს დამლის პროცედურაში საპატრიარქოს წარმომადგენლის გამოუცხადებლობა. ის თამამად ამხელდა მთავრობას ბოროტებაში, უსამართლობაში, მკრეხელობაში. ერთ-ერთ დაკითხვაზე პატრიარქმა თქვა: „სარწმუნოება არის ხალხის სულიერი მოთხოვნილება".

სასამართლო პროცესის ბოლოს, მსჯავრდებულის საბოლოო სიტყვაში წმინდა ამბროსიმ ჯალათებს უთხრა: „სული ჩემი ეკუთვნის ღმერთს, გული – საქართველოს, გვამს კი, რაც გნებავთ, ის უყავით".

სასამართლომ სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს 7 წლით, 9 თვითა და 28 დღით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა.

1924 წლის ბოლოს გამოცემული ამნისტიით ამბროსის და საკათოლიკოსო საბჭოს წევრებს სასჯელი მოუხსნეს, მაგრამ უკვე ხანშიშესულ და ჯანგატეხილ ერის მამას დიდხანს არ უცოცხლია: იგი სამი წლის შემდეგ 1927 წელს გარდაიცვალა.

1994 წელს საქართველოს ეკლესიის გაფართოებულ კრებაზე განიხილეს საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, ამბროსი ხელაიას ცხოვრება. ერისა და ეკლესიის წინაშე დამსახურებისათვის იგი შერაცხილ იქნა წმინდათა დასში ამბროსი აღმსარებლის სახელით, იქვე წარმოადგინეს მისი ხატი და ხსენების დღედ 16 (29) მარტი განაწესეს.

ნანა სულავა.

სახელმწიფო და ახალგაზრდობა

მამების მცდარ პოლიტიკას შვილები არ უნდა შეეწირონ

(პირველი გვერდიდან)

აზერბაიჯანიდან, სომხეთიდან ჩამოსულ ახალგაზრდობასთან ერთად მასში მონაწილეობდნენ აშშ საინფორმაციო სააგენტოს, საერთაშორისო კვლევისა და გაცვლის საბჭოს, აფხაზეთიდან დევნილი სოხუმის უნივერსიტეტის, ცხინვალის, საქართველოს სახელმწიფო კანცელარიის, დიპლომატიური აკადემიის, რუსეთის, აზერბაიჯანის, სომხეთის საელჩოების სტრატეგიული კვლევის ცენტრის, „ალტერნატივის", კავკასიური ცენტრის, კავკასიური კავშირის, ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის, გაეროს ასოციაციის წარმომადგენლები, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საერთაშორისო სამართლისა და ურთიერთობის, იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტები.

კონფერენციის მიზანი იყო სამხრეთ კავკასიის ქვეყნების ახალგაზრდების შეხვედრა, იდეებისა და მოსაზრებების გასაცვლელად, მშვიდობიანი გზების გამოსანახად და პრობლემურ საკითხებში კონსენსუსის მისაღწევად. იგი გახსნა პროექტის დირექტორმა მერაბ დავითაშვილმა. ფორუმის მონაწილეებს მიესალმნენ აკადემიკოსი როინ მეტრეველი, ახალგაზრდობის საქმეთა დეპარტამენტის უფროსი ზურაბ გაბარაშვილი.

სამი დღის განმავლობაში დისკუსიებითა და ცხარე კამათით მიმდინარეობდა კონფერენციის მონაწილეთა მოხსენებების განხილვა, აზრთა გაზიარება ისეთ საკითხებზე, როგორიცაა: „კავკასია – საერთო ინტერესები" (დავით როგავა, საერთაშორისო ურთიერთობის კომიტეტი), „კონფლიქტების მიზეზები და კავკასიის სპეციფიკა" (გოგი ხუციშვილი, კონფლიქტებისა და მოლაპარაკებების საერთაშორისო ცენტრი), „კავკასიური კონფლიქტების მიმოხილვა (ჯენიფერ მია, CEP), „მასმედიის როლი კავკასიის კონფლიქტებში" (კახა ძებისაშვილი, სახელმწიფო კანცელარია), „ახალგაზრდების დრო" (კახა ჩიტაია, საქართველოს პარლამენტი), „ახალგაზრდული არასამთავრობო ორგანიზაციების როლი კონფლიქტის მოგვარებაში" (კარენ სარგსიანი, ერევანი), „ეთნიკური კონფლიქტები კავკასიაში და ახალგაზრდული მოძრაობის როლი მათს მოგვარებაში" (რამიდ გადჟიბალაევი, ბაქო), „კონფლიქტის მოგვარების საერთაშორისო სამართლებრივი ასპექტები" (ალექსი კომაევი, ცხინვალი) „კონფლიქტის მოგვარების ეკონომიკური ასპექტები" (დათო სანაკოევი, ცხინვალი), „კონფლიქტი აფხაზეთში და ახალგაზრდობის როლი მათ მოგვარებაში" (ერეკლე ურუშაძე, თბილისი), „სოხუმი – ომის შედეგები" (მიხეილ ანთელავა, აფხაზეთიდან დევნილი უნივერსიტეტი), „ყარაბაღის კონფლიქტების მოგვარების მეთოდები" (გაიანე გრიგორიანი, ერევანი), „კონფლიქტი სომხეთსა და აზერბაიჯანს შორის, საერთაშორისო სამართლებრივი ასპექტები" (გუსეინ გუსეინოვი, ბაქო), „კონფლიქტის მოგვარების ისტორიული ასპექტები" (ადა ცარიტოვა, ცხინვალი), „კონფლიქტი ცხინვალში და ახალგაზრდობის როლი მის მოგვარებაში" (თორნიკე თურმანიძე, თბილისი) და ა. შ. მოხსენებების მთელი ციკლი იქნა განხილული ცხარე კამათსა და დისკუსიებში.

პირველი, რაც კონფერენციის მონაწილეებმა თქვეს, იყო ის, რომ აუცილებელია ასეთი შეხვედრები თბილისში თუ სამხრეთ კავკასიის სხვა ქალაქებში. თვით ფაქტი, რომ შეხვედრის ორგანიზატორი, მასპინძელი და წარმმართველიც საქართველოს სტუდენტობა გახლდათ, მისასალმებელია. უაღრესად მნიშვნელოვნად ჩაითვალა კონფერენციის მიზანი, რამაც შეკრიბა ისინი.

მადლიერებით მოიხსენიეს კონფერენციის დამფინანსებელი ამერიკის შეერთებული შტატების საინფორმაციო სააგენტო და საერთაშორისო კვლევის და გაცვლის საბჭო. კონფერენცია მოაწყვეს შეერთებული შტატების საინფორმაციო სააგენტოს პროგრამის მონაწილეებმა და ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საერთაშორისო სამართლისა და ურთიერთობის ფაკულტეტის სტუდენტებმა. აღსანიშნავია ისიც, რომ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტები, ყოველთვის მონაწილეობენ ასეთ ღონისძიებებში.

... ეთნოკონფლიქტები დღეს უმნიშვნელოვანესი პრობლემაა მსოფლიოში, რომელშიც ძირითადად პოლიტიკაა ჩარეული. კონფერენციაზე წარმოჩინდა, რომ ეს აღელვებს ახალგაზრდობას, გრძნობს, რაოდენ მნიშვნელოვანი როლი აკისრია მას ამ პროცესში და მისი გადაწყვეტის ერთადერთ გზად – მშვიდობიანი გზა მიაჩნია. ყურადღება გამახვილდა, [illegible] როგორ შეიძლება მოგვარდეს ეთნოკონფლიქტები და რა როლი უნდა შეასრულოს სამხრეთ კავკასიის სახელმწიფოების ახალგაზრდობამ ამ პრობლემის მოგვარებაში. თავად საქართველო კი მზად არის ღია ურთიერთობისა და მეგობრობისათვის. ყურადღების ცენტრში მოექცა ისეთი საკითხები, როგორიცაა კავკასია, როგორც საერთო ინტერესების სივრცე, სამხრეთ კავკასიის სამი ქვეყნის ურთიერთდაახლოების გზები, პასუხისმგებლობა საკუთარი ხალხის წინაშე, მოლაპარაკების, დიალოგის გზით უფრო ახლოს მისვლა ერთმანეთთან და ა. შ.

კონფერენციის მიზანი არ ყოფილა იმის გარჩევა, თუ ვინ არის დამნაშავე, არამედ ეს იყო ძიება, თუ რა როლი ეკისრება ახალგაზრდობას მომავალი კეთილგანწყობისათვის, რამ მიიყვანა კავკასია ეთნოკონფლიქტებამდე (დასანანია, რომ მიუხედავად კონფერენციის ორგანიზატორთა მცდელობისა, ამ დიდ საუბარში აფხაზური სეპარატიზმის ხელმძღვანელთა მიზეზით არ ჩამოვიდნენ ახალგაზრდები სოხუმიდან).

... ასპარეზზე გამოდის სტუდენტობა, ახალგაზრდა პოლიტიკოსები, ის, ვინც უნდა მართოს სამხრეთ კავკასია XXI საუკუნეში, ისინი, [illegible] საკუთარი ქვეყნის სახელით უნდა წარმართონ, ერთმანეთს მხოლოდ მეგობრობის [illegible] რომ [illegible] სათვის, იცხოვრონ უკონფლიქტოდ, რომ ამ სახლის ჭერქვეშ არ განმეორდება მამების მცდარი პოლიტიკა, არ შეეწირება მას ახალგაზრდების სიცოცხლე.

კონფლიქტს არც ერთი ქვეყნისთვის არ მოუტანია სიკეთე, ამას ჩააფიქრა კონფერენციამ მისი მონაწილენი. რომელიმე მათგანი უთუოდ მოვა პოლიტიკაში და წარსულის შეცდომები, ალბათ, არ განმეორდება. მათ შესწევთ ძალა დაუპირისპირდნენ დიქტატურას, რადგან ახალგაზრდობა ნიშნავს შემართებას, განახლების წყურვილს, პიროვნული და საზოგადოებრივი პერსპექტივის ნათელ ხედვას, დაბრკოლებათა გადალახვის უნარს და, თუ დასჭირდა, ბრძოლისთვისაც მზადყოფნას. სწორედ მათი ეს პასუხისმგებლობა იგრძნობოდა სამი დღის განმავლობაში პლენარულ სესიებზე: „კავკასიური კონფლიქტების ზოგადი მიმოხილვა", „კავკასიური კონფლიქტების ზოგადი მიმოხილვა ახალგაზრდობის მიერ", „კავკასიის კონკრეტული კონფლიქტების ახალგაზრდული მიმოხილვა".

კონფერენციამ მიიღო დეკლარაცია.

ნათელა ფაილოძ

გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის" გამომცემელმა შპს „პრესამ" ცალკე წიგნად გამოსცა მაღალ პოლიგრაფიულ დონეზე შესრულებული კანონები:

„საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი"
„საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ"

დაინტერესებულ გამსაღებელ იურიდიულ და ფიზიკურ პირებს წიგნის დიდი რაოდენობით ან უშუალოდ გამომცემლისგან შესყიდვის შემთხვევაში გაეწევათ შეღავათი.

მისამართი:
მ. კოსტავას 14,
მე-4 სართული,
ტელ: 93-26-99.

ყურადღება!
სააღდგომო ფასდაკლება 10-15%

შპს „ნოვამენეჯმენტჯორჯია" წარმოადგენს გერმანიის საავტომობილო კომპანია „ფოლქსვაგენი"-ს ოფიციალურ დილერს საქართველოში.

სადემონსტრაციო დარბაზი, ავტოსალონი, ავტოსერვისი, სათადარიგო ნაწილები, ყველაფერი ეს თქვენ შეგიქმნით მომსახურების საუკეთესო დონეს.

ჩვენი კომპანია გთავაზობთ:
- „ფოლქსვაგენი"-ს ნებისმიერი მარკის, მათ შორის, ბრონირებულ და სპეცდანიშნულების ავტომანქანებს
- გარანტია — 1 წელი
- ნებისმიერ სათადარიგო ნაწილებს მ. შ. შეკვეთით
- თქვენთვის სასურველი მანქანის შეკვეთას (ჩამოყვანის ვადა 1 თვე).

აირჩიეთ „ფოლქსვაგენი!!!"
თბილისი, გულიას ქ. №1 ტელ: (99532) 72-51-83;
ტელ/ფაქსი: (99532) 75-51-82.

ხსოვნა

რამაზ კობიძე

75 წლისა გარდაიცვალა გამოჩენილი მწერალი და მეცნიერი, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი **რამაზ (ნუკრი) კობიძე**. მისი სამწერლო დებიუტი მოგვიანებით შედგა, რადგან ჯერ კიდევ სტუდენტი პოლიტიკური მოტივებით დააპატიმრეს და შორეულ ჩრდილოეთში გადაასახლეს, სადაც თერთმეტი წელი დაჰყო.

რამაზ კობიძის პირველი მოთხრობები და ნარკვევები 1959 წელს დაიბეჭდა გაზეთ „ლიტერატურულ საქართველოში" და ჟურნალ „დროშაში". მას შემდეგ მისი მხატვრული თხზულებები და ლიტერატურულ-კრიტიკული წერილები, სამეცნიერო შრომები სისტემატურად ქვეყნდებოდა პრესაში, იცემოდა ცალკე წიგნებად. საყოველთაო ყურადღება მიიპყრო მისმა რომანებმა: „გვიმრის ფოთლები", „ნამდვილი და მოგონილი", მოთხრობების კრებულებმა „სიცილის ბიჭი", „გაქირავება მიჩვენე", მოგონებების წიგნმა „ციხიდან ციხემდე". მისი პიესები წარმატებით იდგმებოდა რესპუბლიკის თეატრებში.

რამაზ კობიძე აქტიურ მთარგმნელობით საქმიანობასაც ეწეოდა. აღსანიშნავია ილფისა და პეტროვის „თორმეტი სკამის", „ერთსართულიანი ამერიკის", ვერესაევის „ექიმის ჩანაწერების" მისეული თარგმანები.

ათეული წლების მანძილზე რამაზ კობიძე ნაყოფიერ სამეცნიერო საქმიანობას ეწეოდა შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის როგორც სწავლული მდივანი და წამყვანი მეცნიერი თანამშრომელი. 1964 წელს დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია პოლიკარპე კაკაბაძის დრამატურგიაზე, 1993 წელს – სადოქტორო თემაზე – „ტრაგიკული ახალ ქართულ ლიტერატურაში".

რამაზ კობიძის გარდაცვალებით მწერალთა და მეცნიერთა ოჯახს დააკლდა ერთი პატიოსნებით სავსე, ამაგდარი წევრი. მისი სახელი და ნაღვაწი დიდხანს დარჩება ქართველი საზოგადოებრიობის მეხსიერებაში.

**საქართველოს მწერალთა კავშირი,
შოთა რუსთაველის სახელობის ქართული
ლიტერატურის ინსტიტუტი.**

რევაზ ჩაჩანიძე

მოულოდნელად გარდაიცვალა სპეტაკი, შრომისმოყვარე, უანგარო და ერთგული მეგობარი, ეკონომიკის სამინისტროს სამმართველოს უფროსი **რევაზ გიორგის ძე ჩაჩანიძე**. მან მხოლოდ ახლახან გადააბიჯა 70 წლის ასაკს. დაიბადა 1929 წლის 5 თებერვალს ქ. თბილისში, წარჩინებით დაამთავრა საშუალო სკოლა და საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტი.

1952 წლიდან იწყებს ბატონი რევაზი შრომით საქმიანობას ინჟინერ-კონსტრუქტორის თანამდებობაზე ე. წ. საფოსტო ყუთ 149-ში, შემდეგ კი საქართველოს სახალხო მეურნეობის საპროექტო-ტექნოლოგიურ ინსტიტუტში განყოფილების უფროსად. იგი მოღვაწეობდა რესპუბლიკურ გაერთიანება „საქსოფლტექნიკაში", მეცნიერებისა და ტექნოლოგიის კომიტეტში, ხოლო 1979 წლიდან 1991 წლამდე საქართველოს მინისტრთა საბჭოს აპარატში პასუხსაგებ თანამდებობაზე.

1995 წლის იანვრიდან რევაზ ჩაჩანიძე მუშაობდა ეკონომიკის სამინისტროში სამმართველოს უფროსის მოადგილედ და შემდეგ უფროსად.

თავისი ხანგრძლივი შრომითი მოღვაწეობის პერიოდში რევაზ ჩაჩანიძე გამოირჩეოდა ერუდიციით, შრომისმოყვარეობით, მაღალი პროფესიონალიზმით, მომთხოვნელობისა და პასუხისმგებლობის განსაკუთრებული გრძნობით, ხელქვეითებისა და მეგობრების მიმართ საქმიანი და გულისხმიერი დამოკიდებულებით. თავისი ადამიანური თვისებებით სარგებლობდა დამსახურებული ავტორიტეტით და დიდი სიყვარულით.

წავიდა ჩვენგან საყვარელი ადამიანი, კარგი ხელმძღვანელი და მეგობარი, კარგი მეუღლე, მამა და ბაბუა, ოჯახის, საქმისა და მეგობრებისადმი ერთგული და თავდადებული ადამიანი.

რევაზ ჩაჩანიძის ხსოვნა მარად დარჩება ყველას გულში, ვინც მას იცნობდა და ვისთან ერთადაც იგი შრომობდა და მოღვაწეობდა.

საქართველოს ეკონომიკის სამინისტრო.

სამწუხარო რეალობა!
ხანძარი განათლების სამინისტროში
შეიძინეთ სავალდებულო ხანძარსაწინააღმდეგო დაზღვევის პოლისი!
სადაზღვევო კომპანია „ალდაგი"
თბილისი 380062, ჭავჭავაძის გამზ. 62 ტელ.: 291905, 251015

განცხადება

მარტვილის რაიონის სასამართლოს 1999 წლის 26 მარტის № 25/4-38 დადგენილების საფუძველზე გაუქმდა შპს „სერგიეთი".

დირექცია.

ნიკო ლეკიშვილი ოჯახით ღრმა მწუხარებით იუწყება
რეზო სოხაძის
გარდაცვალებას და თანაუგრძნობს განსვენებულის ოჯახს.

მოსაშვილის ქ. №2-ის მცხოვრებნი ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა
ქეთევან ოლიფანტის ასული მარშანია
და თანაგრძნობას უცხადებენ განსვენებულის ახლობლებს.

ბანკი „რესპუბლიკას" თანამშრომლები თანაუგრძნობენ გოჩა მაცაბერიძეს დედის
ლეილა მაცაბერიძე-ნუცუბიძის
გარდაცვალების გამო.

საქართველოს მწერალთა კავშირი და შოთა რუსთაველის სახელობის ლიტერატურის ინსტიტუტი მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა ცნობილი მწერალი და მეცნიერი
რამაზ (ნუკრი) კობიძე
პანაშვიდი 30, 31 III, 5 სთ. გამოსვენება 1 IV, 3 სთ. მცხეთის ქ. №8.

დედა ელენე გორგაძე, მამა ავთანდილი, ძმა თეიმურაზი, რძალი ნინო კარჭაშვილი, ძმისწული ელენიკო, ბიძაშვილები, მამიდაშვილები ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა
თამაზ ავთანდილის ძე გოგოლაძე
პანაშვიდი 30, 31 III, 3 სთ. გამოსვენება 1 IV, 2 სთ. შატბერაშვილის [illegible] №10.

რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალების პუბლიკაციისთვის ჰონორარი არ გაიცემა.

საქართველოს რესპუბლიკა
САКАРТВЕЛОС РЕСПУБЛИКА
SAKARTVELOS RESPUBLIKA
გამომცემელი - შპს „პრესა-98"

სარედაქციო კოლეგია: არმაზ სანებლიძე (მთავარი რედაქტორი), ვახტანგ აბაშიძე, ალეკო ასლანიშვილი, ნანული ბარათაშვილი, ანზორ ბასილაია, ზურაბ ზოზიაშვილი, რუსუდან ლორთქიფანიძე, არჩილ მანჯგალაძე, ბონდო მძინარაშვილი, დავით ონოფრიშვილი, რუსლან რუსია, სპარტაკ ქობულია, ბადრი ხატიძე, ოთარ ხუციშვილი.

დამფუძნებლები - „საქართველოს რესპუბლიკის" ჟურნალისტები

ნომრის მორიგე რედაქტორი
სპარტაკ ქობულია.

ინდექსი 66434

რედაქციის მისამართი: 380096, თბილისი, მ. კოსტავას ქ. №14.
ტელ: 99-73-24.
სარეკლამო განყოფილება — ტელ: 93-28-13.

იბეჭდება გამომცემლობა „სამშობლოს" საგაზეთო კორპუსში, ხომარაულის 29.